

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები: დისკუსიების და ნერაპივიების როლი

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები: დისკუსიების და ნარატივების როლი

სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ
გამოხატავენ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი დოქტ. შტეფან მაისტერი	4
ქართული პოლიტიკური კლასი კრემლის აგენტებისა და დამჯახების ძიებაში ოთარ კობახიძე	7
საქართველო რუსულ დისკურსებში: კრიტიკული მოსაზრებები ანდრეი მაკარიჩევი	22
რუსულ-ქართული ურთიერთობები: კოვიდ-19-ის ეპოქაში: უწყინარი უგულბეალებოება ალექსანდრა იაცვიკი	40

დოქტ. შტეფან მაისტერი

გერმანიის საგარეო ურთიერთობათა საბჭო (DGAP)

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის და შემდგომში რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავი ინტეგრაციის შედეგად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა. საქართველოსთვის რუსეთი აღიქმება აგრესორად და მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მთავარ საგარეო საფრთხედ. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საგარეო პოლიტიკას ანტირუსული/პროდასავლური ნარატივის ირგვლივ აყალიბებდა. მან ყოველგვარი საღი დისკუსია რუსეთის საკითხის შესახებ ჩაახშო და „მტრის მხარდაჭერად“ მონათლა. ბიძინა ივანიშვილმა, სააკაშვილის დე ფაქტო შემცვლელმა და პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, საკუთარი პოლიტიკა დაახასიათა როგორც პრაგმატული და სახელმწიფოს ინტერესებს მორგებული. თუმცა, მისი პოლიტიკის არაფორმალურობამ და „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში გამჭვირვალობისა და გადაწყვეტილების მიღების ზოგადმა ნაკლებობამ გაართულა იმის გაგება, თუ რა სარგებელს მოუტანს საქართველოს ეს „პრაგმატული“ მიდგომა.

რუსეთთან ურთიერთობა გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს შიდა დისკურსში. საქართველოში პოლიტიკური აქტორები ხშირად მიმართავენ ოპონენტის დისკრედიტაციას „რუსეთის ბანქოს“ გათამაშებით, ანუ მოწინააღმდეგეს პრორუსული ორიენტაციის ქონაში ადანაშაულებენ. საქართველოს უაღრესად პოლარიზებულ პოლიტიკურ სისტემაში ეს ანტირუსული ნარატივები აღვივებს დამატებით პოლარიზაციას პოლიტიკასა და საზოგადოებაში და ძირს უთხრის რუსული პოლიტიკისა და ინტერესების გონივრული განხილვის ნებისმიერ შესაძლებლობას. ამასთანავე, ასუსტებს საქართველოს მიდგომას როგორც ჩრდილოეთი მეზობლის, ისე სადავო რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, მიმართ. ამავდროულად, ასეთი ნარატივები ხელს უწყობს მოსკოვის მცდელობებს, შეაფერხოს საქართველოს დემოკრატიზაცია და გადასვლა ისეთ პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც კომპრომისსა და მდგრად რეფორმებს ეფუძნება. სამთავრობო პოლიტიკა უნდა ემსახურობდეს ქვეყანას და არა მხოლოდ პირადი ინტერესების მქონე მცირე ჯგუფს, რომელიც საკუთარი წარუმატებლობებიდან ყურადღების გადასატანად მტრის პარადიგმას იყენებს.

ეს პოლარიზაცია არის საწყისი წერტილი რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციისთვის, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებს ემყარება. ეს რუსული დეზინფორმაციის კამპანია ევროპასა და მთელ მსოფლიოში ხელს უწყობს დასავლეთის ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების შელახვას ტრადიციულ ღირებულებებზე დებატებისა და სოციალური გაუცხოების წინააღმდეგ ბრძოლის მეშვეობით. ეს დისკურსი ემთხვევა საქართველოში არსებული კონსერვატიული აქტორების იდეებს. ჩვენ ვხედავთ მსგავს ტენდენციას ბევრ ევროპულ

საზოგადოებაში - განსაკუთრებით მემარჯვენე პოპულისტებს შორის, რომლებიც ცდილობენ შეასუსტონ ღია, მრავალფეროვანი და დემოკრატიული საზოგადოებები. მიუხედავად ამისა, პოლარიზაციის პოლიტიკა იდეოლოგიზებული დისკურსის მეშვეობით აღრმავებს უფსკრულს საქართველოსა და მის ევროპელ პარტნიორებს შორის და ართულებს საქართველოს გზას ტრანსატლანტიკური ინტეგრაციისკენ.

კრებულში შესული სამი სტატიიდან პირველის ავტორი, ოთარ კობახიძე, განიხილავს ნარატივებს რუსეთის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (2003-2012) და „ქართული ოცნების“ (2012 წლიდან) ხელისუფლების დროს. ორივე პარტია ახდენს მოწინააღმდეგის, როგორც პრორუსულის, დემონიზებას. ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, პოლიტიკოსები თავიანთ ოპონენტებს „კრემლის აგენტობას“ ან „რუსეთის მარიონეტობას“ აბრალებენ. ავტორი ამტკიცებს, რომ რუსულ ნარატივებზე დაყრდნობით პოლიტიკური აქტორები ზედმეტად ამარტივებენ კომპლექსურ რეალობას და დიდწილად უგულებელყოფენ სხვა საკითხებს, მათ შორის, არაერთ სოციალურ პრობლემას, რომლებიც მნიშვნელოვანია ფართო ქართული საზოგადოებისთვის. რუსული ნარატივი შიდა პრობლემების ექსტერნალიზების მთავარი ინსტრუმენტიცაა, რაც, თავის მხრივ, ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას, აძლიერებს პოლარიზაციას და შლის საზღვარს ქვემარტებასა და რეალობას შორის. ეს ხელს უწყობს ოპონენტების დემონიზებას და კონსპირაციული განწყობის შექმნას ქართულ საზოგადოებაში. რუსული ნარატივი ქართული ელიტის ვირტუალური პოლიტიკის ნაწილია და მიზნად ისახავს საზოგადოების მობილიზებას მტრის პარადიგმის მეშვეობით, ქვეყნის წინაშე არსებული ძირეული პრობლემის გადაუჭრელად.

მეორე სტატიაში, საქართველოს შესახებ არსებული რუსული დისკურსის განხილვისას, ანდრეი მაკარიჩევი გამოყოფს ოთხ პერსპექტივას, რომლებიც ერთმანეთს ამყარებენ და, ამავდროულად, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან. პირველ რიგში, ეს არის გეოპოლიტიკური ნარატივი, რომელიც ევროკავშირსა და ნატოსთან კონფლიქტურ ურთიერთობებში საქართველოს „პროდასავლურ“ ქვეყნად მოიაზრებს. შემდეგ, ბიოპოლიტიკური ნარატივი, რომელიც საქართველოს შეერთებული შტატების მარიონეტად წარმოაჩენს. ეს ნარატივი, რომელიც ეპიდემიების შესახებ არსებული კონსპირაციული თეორიის მეშვეობით ვრცელდება, უკავშირდება რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრს, აშშ-ის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ბიოლოგიურ-კვლევით დაწესებულებას, რომელიც თბილისის შემოგარენში მდებარეობს.

ორივე ზემოხსენებული მოსაზრება შეგვიძლია აღვიქვათ რუსეთის სახელმწიფოს კოლონიური დამოკიდებულების კონტექსტში, რომელიც საქართველოს მოაზრებს რუსეთის იმპერიული მემკვიდრეობის ნაწილად, რომელმაც არასწორი გზა აირჩია. ანალოგიური მიმართულებით მიდის რელიგიური პერსპექტივაც, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით საქართველოს განიხილავს გლობალური მართლმადიდებლური საზოგადოების წევრად, რომელსაც რუსეთთან აკავშირებს საზიარო კონსერვატული ღირებულებები და ტრადიციული ეროვნული იდენტობა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის დასავლურ ლიბერალიზმთან (უმცირესობათა დაცვა, მულტიკულტურალიზმი და სექსუალური ემანსიპაცია).

რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გატარებულ ამ სამ ნარატივს

ენინააღმდეგება პოპულარული თვალსაზრისი რუსულ სოციალურ მედიაში, სადაც რუსული ტურისტული ინდუსტრიისა და რუსულ საზოგადოებაში არსებული ნოსტალგიური „მეგობრული“ ნარატივების გავლენით, საქართველოს გრასრუთ რეპრეზენტაცია ხდება. სწორედ ისინი უყრიან საფუძველს რეალურ გამოცდილებას „ნორმალური ადამიანებისთვის“, რომლებიც მიემგზავრებიან საქართველოში და შეხება აქვთ ქვეყანასთან. შედეგად, რუსეთში არ არსებობს ერთიანი დისკურსი საქართველოს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფო ეწევა საქართველოზე არსებული პერსპექტივის გეოპოლიტიკურ სეკურიტიზაციას და მას ზედმეტად ნორმატიულ დატვირთვას აძლევს, რუსული საზოგადოება ამ ნარატივებს ქართველებთან უშუალო კონტაქტის პოზიტიური გამოცდილებით უპირისპირდება. ისინი საქართველოს მეგობრულ, სტუმართმოყვარე და საცხოვრებლად კომფორტულ ადგილად წარმოაჩენენ (ასევე, ადარებენ რუსეთს) და ძირს უთხრიან ყველა იმ სტერეოტიპსა და ნარატივს, რომლებიც რუსულ სახელმწიფო პროპაგანდას უკავშირდება.

მესამე სტატიამ ალექსანდრა იაცივი საქართველოს შესახებ რუსეთის სახელმწიფო მედიის ნარატივებს COVID-19-ის პანდემიის კონტექსტში აანალიზებს და ასკვნის, რომ რუსულ მედიაში საქართველო გამოყვანილია არა როგორც პირდაპირი მოწინააღმდეგე, არამედ როგორც „შეცდომაში შეყვანილი ოჯახის წევრი“, რომელიც „დასავლეთის მარიონეტად“ იქცა. პატრონაჟული დამოკიდებულების მქონე ყოფილი იმპერია მზადაა, საქართველოს დაეხმაროს დასავლური კონტროლისგან გათავისუფლებაში და მას პოლიტიკური და ეკონომიკური მფარველობა შესთავაზოს. გამოკითხვების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ავტორი გვიჩვენებს, რომ საქართველო ნაკლებად მოწყვლადია რუსული პირდაპირი დეზინფორმაციისადმი. თუმცა, მართლმადიდებლური ღირებულებებისა და სოციალურ-კონსერვატიული შეხედულებების (განსაკუთრებით სექსუალურ უმცირესობებზე) მქონე ქართული საზოგადოების გარკვეული ჯგუფები მართლაც უფრო მოწყვლადები არიან არაპირდაპირი დეზინფორმაციისადმი. ამ კონტექსტში ბევრ რამეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია COVID-19-ის პანდემიის დროს ვაქცინაციის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსია. აქ, ანტირუსულ ნარატივთან, როგორც ქართული პოლიტიკისა და საზოგადოების პოლარიზაციის ნაწილთან, ქართული მმართველი ელიტების მეშვეობით წრე იკვრება. ამავდროულად, ეს ელიტები იზიარებენ იმავე „კონსერვატიულ ღირებულებებს“, რომლებსაც „რუსი მტერი“ უჭერს მხარს.

ეს პუბლიკაცია გამოადგებათ სტუდენტებს, მეცნიერებსა და მკვლევრებს, რომლებიც მუშაობენ საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირზე, ასევე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე. სტატიების კრებულის მიზანია, საღად გააანალიზოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ის არაიდეოლოგიური შეხედულებები, რომლებიც ამ ქვეყნებში ერთმანეთთან დაკავშირებით არსებობს.

ქართული პოლიტიკური კლასი კრემლის აგენტებისა და დამპყმების ძიებაში*

ოთარ კობახიძე

Civil.ge

შესავალი

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, საქართველოში რუსეთი მთავარ საგარეო საფრთხედ აღიქმება. 2008 წლის აგვისტოს ომმა, რასაც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონების აღიარება მოჰყვა, ქვეყანაში მოსკოვის, როგორც მთავარი აგრესორის შესახებ შეხედულება კიდევ უფრო გაამყარა. იმ ფონზე, როცა რუსეთი ქვეყანაში მთავარ საფრთხედაა მიჩნეული, საქართველოს პოლიტიკური აქტორები ერთიმეორის დემონიზაციისათვის პრორუსულობის იარაღის მიწებებს არ იშურებენ და ხშირად თხზავენ შეთქმულების თეორიებს „კრემლის აგენტების“, „მეხუთე კოლონიის“ თუ „რუსეთის დამპყმების“ შესახებ, რაც, ჩვეულებრივ, მტკიცებულებებს არ ემყარება.

საკითხისადმი კვლევის ინტერესი მაშინ გამიჩნდა, როცა შევნიშნე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისა და 2019 წლის ე.წ. გავრილოვის დამის კვალდაკვალ ოპონენტებისადმი დისკურსი შეცვალა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი“ პრორუსულობის იარაღის მიწებება დაიწყო. ეს იმ ფონზე, როცა 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლისას „ქართულმა ოცნებამ“ წინამორბედი ადმინისტრაციის დროინდელი რიტორიკა რუსეთისადმი შეარბილა და მოსკოვისადმი კონსტრუქციული პოლიტიკა წამოიწყო. ოპონენტებისადმი პრორუსულობის მიწერის ტენდენცია მმართველმა პარტიამ ჯერ კიდევ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს აჩვენა, თუმცა პროცესი უფრო შესამჩნევი 2019 წლის 20 ივნისის ანტისაოკუპაციო აქციების შემდეგ გახდა. ამ დღეს, საქართველოს ათასობით მოქალაქემ პარლამენტის წინ მოიყარა თავი, სადაც რამდენიმე საათით ადრე რუსეთის დუმის კომუნისტი მართლმადიდებელი დეპუტატი სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა. ანტისაოკუპაციო აქციებმა, ერთგვარად, მოსახლეობაში „ქართული ოცნების“ რუსეთისადმი პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილებაც აჩვენა, რამაც პარტიას რუსეთისა და ოპონენტების წინააღმდეგ დისკურსის ცვლილებისაკენ უბიძგა.

* სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავენ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ქართული მედია ამ საკითხით ხშირად ინტერესდება, თუმცა ზედაპირულად, ხოლო აკადემიურ თუ ანალიტიკურ ლიტერატურაში ქართული პოლიტიკური კლასის მიერ რუსეთისა და პრორუსულობის თემის გამოყენებისადმი ინტერესი მოიკოჭლებს. ეს ერთგვარად საპირისპიროა იმ ცხოველი ინტერესისა, რასაც მკვლევრები საქართველოში ევროპის შესახებ დისკურსისადმი იჩენენ. არადა, ძალზე ხშირად, ევროპისა და რუსეთის შესახებ ნარატივები საქართველოში ერთი მედლის ორი მხარეა. წინამდებარე სტატიაში გავანალიზებ რუსეთისა და პრორუსულობის იარლიყების გამოყენებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას (2003-2012), შემდეგ კი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში და შევხები ამ დისკურსის უწყვეტობასა თუ ცვალებადობას. სტატია ეცდება ორ მთავარ შეკითხვას გასცეს პასუხი: 1) როდის ჩნდება რუსეთის ფაქტორი ქართულ პოლიტიკურ დისკურსში? და რატომ იყენებენ, ხშირად გადამლაშებით, პრორუსულ იარლიყებს ოპონენტების წინააღმდეგ ქართველი პოლიტიკოსები? მართალია, ოფიციალური პოლიტიკა ხშირად შესაძლოა არ მიჰყვებოდეს პოლიტიკურ დისკურსებს, თუმცა ამ უკანასკნელის შესწავლა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმაზე, თუ როგორ იყენებენ პოლიტიკური მოთამაშეები მსგავს იარლიყებს ერთმანეთის დემონიზაციისა და დელეგიტიმაციისათვის, თუ ძალაუფლების შენარჩუნებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამართლებისათვის.

2003-2012: „ჩამორჩენილი“ რუსეთი და „ჩვენი სასარგებლო იდეოტები“

პოლიტიკური იარლიყის მიწებება პოლიტიკური დაპირისპირებისას დიდ როლს თამაშობს. ერთი მხრივ, ასეთ იარლიყებს პოლიტიკური კონფლიქტები წარმოშობს, მეორე მხრივ, კონფლიქტს თავად იარლიყების გამოყენება აძლიერებს და აცოცხლებს (van den Broek, 2017). მაგალითად, პოლიტიკური აქტორები თავიანთ თავს პატრიოტებად ნათლავენ, ოპონენტებს კი – პრორუს მოღალატეებად. მსგავსი იარლიყები პარტიებს შორის უნდობლობასა და დაპირისპირებას აღრმავებს და ამძაფრებს კონფლიქტსა და პოლიტიკურ პოლარიზაციას. მართალია, იარლიყების მიწებება საზოგადოებისა და პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რაც ხშირად გამოსადეგიც კია პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემაში მოსაყვანად, მათი გამოყენება შესაძლოა მარტივად იქცეს შეცდომაში შეყვანისა თუ კრიტიკური აზროვნების ჩანაცვლების საშუალებად (Reed, 2001).

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა. მან ელუარდ შევარდნაძე შეცვალა, რომელიც ქვეყანას 11 წლის განმავლობაში მართავდა. ქართულ-რუსული ურთიერთობები ჯერ კიდევ შევარდნაძის (ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის) მმართველობისას იყო დაძაბული, რის არაერთ შესაძლო მიზეზს შორის შევარდნაძის რუს „სილოვიკებთან“ (ძალოვნებთან) რთულ ურთიერთობასაც ასახელებენ (Stronski and Vreeman). ამ ფონზე, მმართველობის პირველ თვეებში, სააკაშვილი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას შეეცადა. თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ ორივე ქვეყნის მმართველები „ნამდვილად დაინტერესებულნი იყვნენ თანამშრომლობით“ (Tsygankov and Tarver-Wahlquist, 2009). 2004 წლის იანვარში, ინაუგურაციის სიტყვაში, ევროპული ინტეგრაციის საჭიროებაზე საუბრის პარალელურად, სააკაშვილმა რუსეთს „მეგობრობის ხელი“ გაუწოდა

(სამოქალაქო საქართველო, 2004). 2008 წლის მიწურულს, აგვისტოს ომიდან მალევე, სააკაშვილი ამბობდა, რომ 2004 წელს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ცდილობდა რუსეთთან თანამშრომლობას. მაგალითად, მისი თქმით, საქართველოს მთავრობა რუსეთს საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის საზღვრის უკანონო კვეთის ალაგმვაში დაეხმარა (სამოქალაქო საქართველო, 2008). 2005 წლის თებერვალში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა რუსეთთან მეგობრობის ხელის გაწვდენის სურვილი, თუმცა ასევე შენიშნა, რომ რუსეთი შემხვედრი ნაბიჯების გადადგმისაგან თავს იკავებდა (სამოქალაქო საქართველო, 2005). საბოლოოდ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მომავლის შესახებ განსხვავებულმა ხედვებმა, 2004 წლის შეტაკებებმა ცხინვალში, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ბაზების ყოფნა-არყოფნის თემამ თუ სხვა საკითხებმა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გააუარესა.

2006 წლის ჯაშუშების სკანდალი

აგვისტოს ომამდელ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში 2006 წელი გამორჩეულად დაძაბული გამოდგა. რუსეთმა ანტიქართული კამპანია წამოიწყო, ივნისში ქვეყნიდან გამოაძევა რამდენიმე ათასი ქართველი იმიგრანტი და აკრძალა ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტი (Paton, 2006). ურთიერთობათა გაუარესება საქართველოში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დაემთხვა, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოულოდნელად დეკემბრიდან ოქტომბერში გადმოწია, რამაც ოპოზიციას მცირე დრო დაუტოვა მოსამზადებლად (სამოქალაქო საქართველო, 2006a). არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოთხი ოფიცერი და მათთან თანამშრომლობის ბრალდებით 11 ქართველი დააკავა. ჯაშუშების სკანდალს საქართველოს მთავრობის მხრიდან რუსეთისადმი რიტორიკის გამწვავება მოჰყვა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ „რუსეთი არის ჩვეულებრივი უსუსური ქვეყანა“ და რომ საქართველომ წარსულს ჩააბარა „მითი მისი დაზვერვის სამსახურების ყოვლისშემძლეობაზე“. მერაბიშვილის თქმით, ამ მითის დამსხვრევა ქართველების ხელით განსაკუთრებით მტკივნეული იყო მოსკოვისათვის. რუსეთის სისუსტეზე ხაზგასმით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, თავი მოეწონებინა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების აშენებით, რომელთაც რუსეთის დაზვერვის გამოამკარავება შეეძლოთ (სამოქალაქო საქართველო, 2006d). აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ არჩევნებს წინ უძღოდა რამდენიმე თვით ადრე 28 წლის სანდრო გირგულიანის მკვლელობის ამბავი, რაც პირველი დიდი დარტყმა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებისათვის (სამოქალაქო საქართველო, 2006c). ჯაშუშების სკანდალი მთავრობას დაეხმარა ამ საქმის თუ სხვა პრობლემების ფონზე ამომრჩევლის მობილიზებაში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამ სკანდალით ხელისუფლებამ შეძლო, „ადგილობრივი პრობლემებიდან ყურადღება წარმატებით მიემართა „გარე მტრისკენ“ და შეესუსტებინა განსხვავებული [ოპოზიციური] აზრი“ (Cheterian, 2008, გვ. 698).

ჯაშუშების სკანდალამდე სამი კვირით ადრე, ხელისუფლებამ მოსკოვში გახიზნულ უშიშროების ყოფილ უფროსთან, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებული რამდენიმე ოპოზიციონერი დააკავა. გიორგაძე სამშობლოში სახელმწიფო დელატისა და გადატრიალების მცდელობისათვის იძებნებოდა. მთავრობამ ხელი რუსეთისაკენ გაიშვირა. მერაბიშვილის თქმით, დაკავებული ოპოზიციის წევრები

მოსკოვიდან ფინანსდებოდნენ და მიზნად მთავრობის დამხობას ისახავდნენ (ჯიმშერ რეხვიაშვილი, 2006). ამ საკითხს მწვავედ გამოეხმაურა თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც 2006 წლის არჩევნებშიც დედაქალაქის მერად არჩევისათვის იბრძოდა. გიორგაძის მომხრეების დაკავებაზე საუბრისას, უგულავამ პარალელები 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ქართველი ბოლშევიკების დახმარებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიასთან გაავლო. მან 1921 წლის „მოტალაქე“ ბოლშევიკები თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, გიორგაძის თანამოაზრეებს შეადარა. სიმბოლურად, უგულავას მიმართვა საბჭოთა ოკუპაციის ახლად გახსნილ მუზეუმში ჩაიწერა (სამოქალაქო საქართველო, 2006b). ნიშანდობლივია, რომ საქართველოში დღევანდელი რუსეთი საბჭოთა კავშირის გამგრძელებლად მიიჩნევა (Kakachia and Minesashvili, 2015). საქართველოში ეს ორი ხშირად ერთმანეთთანაა გაიგივებული, რაც ქართველი პოლიტიკოსების გამოსვლებშიც ხშირად შეიმჩნევა. მაგალითად, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 2021 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის მიერ თბილისის დაპყრობის 100 წლისთავზე განაცხადა, რომ რუსული ოკუპაცია საბჭოთა ოკუპაციის გაგრძელებაა (სამოქალაქო საქართველო, 2021b).

საერთაშორისო პოლიტიკის მკვლევარი ჯენიფერ მილიკენი (1999), დერიდას შრომებზე დაყრდნობით წერდა, რომ დისკურსები ორმაგი (ბინარული) ოპოზიციური წყვილის სახითაა ჩამოყალიბებული, რომელშიც ხაზგასმულია ერთ-ერთი მხარის უპირატესობა. ასე მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, ასეთი ოპოზიციური წყვილებია „აღმოსავლეთი და დასავლეთი“, „პრორუსულობა და პროევროპულობა“, „რუსული ოკუპაცია და საქართველოს დამოუკიდებლობა“ და სხვა. ერთი მხრივ, მტრული უცხო სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ძალად საკუთარი თავის, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური ოპონენტების რუსეთის აგენტებად წარმოჩენით, ხელისუფლება ცდილობდა თავისი რეპუტაციის ამაღლებას, წინასაარჩევნოდ მხარდამჭერთა მობილიზებას, სხვადასხვა პრობლემიდან ყურადღების გადატანასა და ოპოზიციის დისკრედიტაციას. ამით, მმართველი პარტია ცდილობდა თავი იმ უკონკურენტო ძალად წარმოეჩინა, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ებრძოდა ოპონენტებს, არამედ – მტრულად განწყობილ უცხო ძალებსაც.

თავის მხრივ, პრორუსულობის ბრალდებების ადრესატი თავად სააკაშვილის მთავრობაც იყო. გიორგაძის მომხრეების დაკავებაზე საუბრისას, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ სააკაშვილს ეშინოდა მისი რეჟიმი ისე არ დაემხოთ, როგორც თავად გადაადგომევარდნაძე „ამერიკისა და რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით“. ნათელაშვილმა მოითხოვა, შეერთებული შტატებისა და რუსეთის სპეცსამსახურებს სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსების შესახებ გამოექვეყნებინათ ინფორმაცია. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, სააკაშვილს და მის „ბინძურ ბანდას“ ორი ძირითადი ცენტრი აფინანსებდა: ვაშინგტონი და მოსკოვი. „ვაშინგტონი გასაგებია – [ჯორჯ] სოროსი და მისი ამალა. რაც შეეხება მოსკოვს, იქაც კარგი მსხვილი მილიარდლები უყოფდნენ სააკაშვილს ულუფას: კახა ბენდუქიძე, ზურაბ წერეთელი, ბიძინა ივანაშვილი და სხვები“, ამბობდა ნათელაშვილი (სამოქალაქო საქართველო, 2006e).

2007 წლის დემონსტრაციები და კრემლის აბენტაჟის ძიება

რუსეთის აგენტის იარღიყის გადამეტებული გამოყენებით გამოირჩეოდა 2007 წლის ნოემბრის პერიოდი, როცა სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობამ პიკს მიაღწია. მზარდი უკმაყოფილება „ვარდების რევოლუციის“ მთავრობისადმი კიდევ უფრო გააძლიერა სააკაშვილის ყოფილი მოკავშირის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებამ. ოქრუაშვილმა მთავრობას კორუფციაში, სააკაშვილს კი ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის ბრძანების გაცემაში დასდო ბრალი. ოპოზიციამ ვადამდელი არჩევნების, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის, „პოლიტიკური პატიმრების“ გათავისუფლებისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით მასობრივი საპროტესტო მოძრაობა წამოიწყო. სააკაშვილი მოთხოვნებს არ დათანხმდა. მისი თქმით, ოპოზიციის პროტესტს „კონკრეტული ოლიგარქიული რუსული ძალა აფინანსებდა“ (სამოქალაქო საქართველო, 2007a).

7 ნოემბერს, ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით დაშალა საპროტესტო გამოსვლა. ცოტა ხანში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა დემონსტრაციის ლიდერები რუსეთისაგან ზურგგამაგრებული გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ხელისუფლებამ მიიღო ცნობები, რომელთა თანახმადაც, მოსკოვში უკვე შეიქმნა ალტერნატიული მთავრობა, რომელსაც მისი მთავრობა უნდა ჩამოეგდო. სააკაშვილმა გავლენიან მილიარდერ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს, რომელსაც იგი „ერთ-ერთ რუს ოლიგარქს“ უწოდებდა, მთავრობის გადაგდების მოწოდებებში დასდო ბრალი. 9 ნოემბერს პატარკაციშვილი პროკურატურამ გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილად ცნო (Human Rights Watch, 2007).

7 ნოემბერსვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუდიოჩანაწერები გაავრცელა, რომლებზე დაყრდნობითაც ხელისუფლება აცხადებდა, რომ რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი, თანასწორობის ინსტიტუტის წევრი გიორგი ხაინდრავა, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია და ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომლებსაც რუს დიპლომატებთან ჰქონდათ კონტაქტი, რუსეთის კონტრდაზვერვასთან თანამშრომლობდნენ (სამოქალაქო საქართველო, 2007b). ოპონენტების რუსეთის აგენტებად გამოცხადებით, ხელისუფლება ცდილობდა საპროტესტო აქციის ძალადობრივი დაშლა გაემართლებინა. „კრიზისის საერთაშორისო ჯგუფმა“ მაშინ დასავლელ დიპლომატებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მთავრობამ ოპონენტების რუსეთის აგენტობაზე მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ შეძლო. ჯგუფის თანახმად, რუს დიპლომატებთან უბრალო კომუნიკაცია ვერ ჩაითვლებოდა მტკიცებულებად, რომ ოპოზიცია ძირს უთხრიდა ქვეყანას. ჯგუფმა მაშინ ისიც შენიშნა, რომ პატარკაციშვილის რუსეთის აგენტობა ნაკლებად იყო სავარაუდო იმ ფონზე, როცა იგი რუსეთში ფინანსური მაქინაციების ბრალდებით იძებნებოდა (International Crisis Group, 2007).

2008 წლის შედეგოვი დისკურსი რუსეთზე

თავისი მთავრობის დამსახურებების წარმოსაჩენად, პრეზიდენტი სააკაშვილი ხშირად საუბრობდა საქართველოზე, როგორც რეფორმატორ ქვეყანაზე და შეუპირისპირებდა მას „ჩამორჩენილ“ რუსეთს, რომელთანაც, მისი თქმით, ოპოზიციას ჰქონდა კავშირი. 2010 წლის 25 მაისს, დამოუკიდებლობის წინა დღეს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც საქართველო „მოდერ-

ნიშნული რუსეთის სასურველი პარტნიორი გახდება“ და რომ „აღრე თუ გვიან რუსეთი დაადგება მოდერნიზაციის გზას და ეს ბევრად აღრე მოხდება, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია“. მან მოლდოვის მაგალითიც მოიხმო და აღნიშნა, რუსეთისადმი დათმობებზე წასვლით საქმე არ კეთდებაო. ამ კონტექსტში, მან ოპონენტები გააკრიტიკა და თქვა, რომ საქართველოში იყვნენ პოლიტიკოსები, რომელთაც „ვიღაცის ჩექმების კოცნის მოთხოვნა აქვთ დღე და ღამე“. ამ ხალხს სააკაშვილმა ლენინის კვალად „სასარგებლო იდიოტები“ უწოდა (სამოქალაქო საქართველო, 2010a).

2010 წლის სექტემბერში, სიმბოლურად ანაკლიაში, ოკუპირებული აფხაზეთიდან რამდენიმე ასეულ მეტრში გაკეთებული განცხადებისას, სააკაშვილმა რუსეთი კვლავაც ჩამორჩენილ, არამოდერნულ ქვეყნად წარმოაჩინა, რომლის მთავარი კონკურენტი იდეოლოგიური თვალსაზრისით საქართველო გახდა. პრეზიდენტის თქმით, რუსეთის „იმპერიის ხელმძღვანელობამ“ იცოდა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების ქართული მოდელი „სასიკვდილო საფრთხეს“ უქმნიდა მოსკოვს. მისი თქმით, მოსკოვი საქართველოს „მიბაძვის რეჟიმში“ იყო და რომ მათ ეს „მიბაძვა არ გამოუვათ“, რადგანაც „შეუძლებელია ფეოდალურ ქვეყანაში [რუსეთში] აშენდეს თანამედროვე, 21-ე საუკუნის საზოგადოება“. რუსეთის ჩამორჩენილობაზე ხაზგასმასთან ერთად, სააკაშვილი შინაურ პოლიტიკურ ოპონენტებსაც აკრიტიკებდა: 2009 წლის ანტისამთავრობო გამოსვლები მან „ფუნდამენტურად ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ“ პროტესტად შერაცხა, რომელსაც „ევროპაში მოქმედი რუსულ-ქართული“ მაფია აფინანსებდა (სამოქალაქო საქართველო, 2010b).

„რუსეთის დამქაშების“ შესახებ რიტორიკა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მთელ მმართველობას გასდევდა რეფრენად, განსაკუთრებით გააქტიურდა 1990-იან წლებში რუსეთში გამდიდრებული მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში 2011 წლის ოქტომბერში გამოჩენის შემდეგ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ივანიშვილი და მისი პარტია, რუსეთის ინტერესების გატარებაში დაადანაშაულა. 2011 წლის ოქტომბერშივე, ენმ-ის დეპუტატი ლაშა თორდია, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ამბობდა, რომ ივანიშვილის გამოჩენა წარმოადგენდა „პუტინის მცდელობას, ბიძინა ივანიშვილის ხელით შეისყიდოს საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს საზოგადოება და მასმედია“. მისი კოლეგა ნუგზარ წიკლაური კი აცხადებდა, რომ პუტინს სურს „საქართველოს მომავალი იყიდოს რუსი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის ფულით“ (სამოქალაქო საქართველო, 2011).

2012 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მეოთხე წლისთავზე საუბრისას – მნიშვნელოვან საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვით აღრე – სააკაშვილმა თქვა, რომ ივანიშვილის სახით მოსკოვს ახალი გეგმა ჰქონდა, რომელიც მიზნად საქართველოს „შიგნიდან გატეხვასა“ და დამორჩილებას ისახავდა. „მოსკოვში ჯერ კიდევ ცოცხლობს საბჭოთა ოცნება, შესაბამისად, მათ ახალი გეგმა აქვთ საქართველოსთვის... ახლა მათ გადაწყვიტეს, რომ ჩვენი ქვეყნის დამორჩილება სჯობს ისევ ქართველთა ხელით“, თქვა სააკაშვილმა. მისი თქმით, „რამდენიც არ უნდა იოცნებონ ჩვენმა დამპყრობლებმა და მათმა ადგილობრივმა დამქაშებმა, საბჭოთა კავშირი არ აღდგება“ (სამოქალაქო საქართველო, 2012). ბარინჰა (2011) წერდა, რომ აგრესიული არგუმენტების მოხმობის თუ იარაღიერების მიწებებისას, პოლიტიკური აქტორები ცდილობენ ეს ისე გააკეთონ, სუსტ მოთამაშეებად არ გამოჩნდნენ, რომელთაც საფრთხეების

განეიტრალება არ შეუძლიათ. ამ შემთხვევაშიც, სააკაშვილი კრემლის „დამქაშებს“ ისე აკრიტიკებდა, რომ თავად წარმოჩენილიყო ძლიერ ლიდერად, რომელსაც შეეძლო წინ გადადობებოდა რუსეთის საფრთხეს თუ საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობებს.

ოპოზიციის უცხო ქვეყნის ძალად წარმოჩენით, ენმ და პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობდნენ, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ ერთგვარ რეფერენდუმად წარმოეჩინათ. მსგავსი სტრატეგიის შედეგი პრობლემური იყო: იგი წარმოადგენდა ერთგვარ სიმპტომსაც და საფუძველსაც იმ მრავალწლიანი პოლიტიკური პოლარიზაციისა და სიძულვილისა, რომელიც დღესაც საფრთხეს უქმნის საქართველოს შეუმდგარ დემოკრატიას და რომელსაც მუდმივად გადააქვს ყურადღება ნამდვილი პოლიტიკური პრობლემებიდან. 2012 წლის ოქტომბერში ენმ ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან“ დამარცხდა, თუმცა კვლავაც გააგრძელა მეტოქის პრორუსულ ძალად წარმოჩენა. მმართველობის რამდენიმე წლის შემდეგ, მსგავსი სტრატეგიის მიმართა „ქართულმა ოცნებამაც“, რომელმაც ოპოზიციას, სხვა მრავალთა შორის, რუსეთის აგენტის იარაღივით მიაჩნდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება – 2012 წლიდან დღემდე

2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რაც საქართველოში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის პირველი შემთხვევა იყო, „ქართულ ოცნებას“ ენმ-ის მიერ წარმოებული იარაღიები პრორუსულობის შესახებ უპასუხოდ არ დაუტოვებია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ რუსეთისადმი წინამორბედთა რიტორიკა შეარბილა და ჩრდილოელ მეზობელთან კონფლიქტის – რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით დასრულდა – ესკალაციაში დამნაშავეს ძიებაში ხელი სააკაშვილისკენ გაიშვირა. თუმცა, „ოცნებამ“ თავისი აწ უკვე 9-წლიანი მმართველობა, რომელიც რუსეთისადმი რიტორიკის შერბილებით დაიწყო, ენმ-ის მსგავსად ოპონენტებში კრემლის აგენტების ძიებით გააგრძელა.

„ოცნების“ პირველმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილი რუსეთისადმი ხისტი რიტორიკით საქართველოს ინტერესების დაზიანებაში დაადანაშაულა. ივანიშვილის თქმით, სააკაშვილი რუსეთს აღიზიანებდა „აი, შენატოში შევალ“ მიდგომით და მსგავსი შეცდომების გამო იყო, საქართველომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას რომ ვერ მიაღწია. „ნატოს წევრი ჩვენ უკვე ვიქნებოდით, თუ არა ეს რიტორიკა, ეს გამდაფრებული, ეს პიონერული და კომკავშირული გამოხტომები“ წინა ხელისუფლების მხრიდან, ამბობდა ივანიშვილი (სამოქალაქო საქართველო, 2013).

ნატოში ინტეგრაციის გაცხადებული მიზნის პარალელურად, ივანიშვილი რუსეთთან აგვისტოს ომის შემდეგ თითქმის გაწყვეტილი ურთიერთობების აღდგენასაც ესწრაფოდა. მისი თქმით, მშვიდი, კონსტრუქციული, თუმცა პრინციპული პოზიციით, მეტი მოთმინებითა და ნაკლები ემოციით გაჯერებული პოლიტიკა უკეთეს შედეგებს მოიტანდა (სამოქალაქო საქართველო, 2012a). ამით, ივანიშვილი „ემოციური“ სააკაშვილის დისკრედიტაციასაც ცდილობდა, რომელსაც რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებაში დადანაშაულებდა. ოპონენტის დისკრედიტაციის მცდელობით, ნებისით თუ უნებლიეთ, ივანიშვილს რუსულ-ქართული კო-

ნფლიქტის ბრალი ნაწილობრივ მაინც რუსეთიდან სააკაშვილზე გადმოჰქონდა. 2012 წლის ნოემბერში ივანიშვილმა სპეციალურ წარმომადგენლად რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე წარადგინა. აბაშიძის წარდგენისას მან აღნიშნა, რომ საქართველო უკვე ნატოს წევრიც იქნებოდა და რუსეთთანაც „კარგი ურთიერთობები“ ექნებოდა, რომ არა მისი წინამორბედების შეცდომები. ივანიშვილმა სააკაშვილი 2008 წლის ომის წინ „პროვოკაციების“ მოწყობასა და რუსეთის ლიდერებისადმი „არადიპლომატიურ გამონათქვამებში“ დაადანაშაულა: „პროვოკაციები მან განახორციელა 2008 წელს და მანამდე, არადიპლომატიური გამონათქვამები, რომელიც მან გამოიყენა რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ, დღემდე, მე მგონი, ტოვებს გარკვეულ აგრესიას რუსეთის მხრიდანაც“, – ამბობდა ივანიშვილი. სააკაშვილის მთავრობისაგან ფრიალ განსხვავებულ რიტორიკაში, ივანიშვილი ხაზს უსვამდა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელახლა ცნობის შემდეგ, ურთიერთობები „უნდა გადაიზარდოს ღრმა მეგობრობაში და ამის ისტორიული საფუძველი ჩვენ გაგვაჩნია“ (სამოქალაქო საქართველო, 2012b).

ივანიშვილის შემცვლელმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, თავის მხრივ, კიდევ უფრო გააძლიერა რიტორიკა „ნაციონალური მოძრაობისა“ და მათი რუსეთისადმი პოლიტიკის წინააღმდეგ. ღარიბაშვილის პრემიერობა 2013-2015 წლებში უკრაინის მაიდნის მოვლენებს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასა და აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას დაემთხვა. 2014 წლის დეკემბერში, ჟურნალისტის კითხვაზე, იყო თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საქართველოსა და უკრაინის მტერი, ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ ქვეყნისა და ხალხის მტერი სააკაშვილი იყო. მისი თქმით, სააკაშვილს, ერთი მხრივ, საქართველოს შიგნით კონფლიქტი და არეულობა სურდა, მეორე მხრივ კი – შეიარაღებული კონფრონტაცია რუსეთთან (სამოქალაქო საქართველო, 2014b). ღარიბაშვილისვე პრემიერობისას, 2014 წლის მარტში, პარლამენტში უკრაინის შესახებ რეზოლუციამ „ქართული ოცნების“ უმრავლესობასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ენმ რეზოლუციაში რუსეთისადმი სანქციების პუნქტის შეტანას ითხოვდა, რასაც უმრავლესობა შეეწინააღმდეგა. ენმ-ის დეპუტატებმა „ქართულ ოცნებას“ რუსეთისადმი ლოიალურობაში დასდეს ბრალი, „ოცნების“ კანონმდებლებმა კი ოპონენტები რუსეთისადმი სკანდალური და პროვოკაციული პოლიტიკის გატარების მცდელობაში დაადანაშაულეს, რასაც, მათი თქმით, ენმ თავისი მმართველობის პერიოდში ეწეოდა (სამოქალაქო საქართველო, 2014).

თუმცა, „ქართული ოცნების“ რუსეთისადმი „კონსტრუქციულმა“ პოლიტიკამ, რომელსაც ზოგიერთმა მკვლევარმა „შემრიგებლურიც“ კი უწოდა, საქართველო არც ნატოსთან დააახლოვა და არც – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრასთან (Kakachia and Lebanidze, 2019). რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების, საქართველოში რუსი ტურისტების ნაკადის გაზრდის თუ კულტურული კავშირების გაცხოველების მიუხედავად, მთავარი პრობლემა – საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციისა – კვლავაც გადაუჭრელი რჩებოდა. 2018 წლის ძლიერ პოლარიზებული საპრეზიდენტო არჩევნების და 2019 წლის ანტისაოკუპაციო პროტესტის ფონზე, „ქართულმა ოცნებამ“ რუსეთის შესახებ დისკურსი რამდენადმე შეცვალა და ამჯერად, პრორუსულობის იარაღები, რასაც მის წინააღმდეგ იყენებდნენ, ოპონენტებს შემოუტრიალა.

რუსეთის ფაქტორის პოლიტიკური ოპონენტების დემონიზებისათვის ორმხრივმა გამოყენებამ არნახულ მასშტაბებს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიაღწია. თავისი კანდიდატურის წარდგენისას, 2018 წლის 6 აგვისტოს, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თუმცადა „ომი საუკუნის წინ რუსეთმა დაიწყო“, 2008 წელს „საქართველომ დაიწყო ეს ნაწილი საომარი ვითარების“. მისი თქმით, „ჩვენ იმ დროს ჩავერთეთ რუსეთის პროვოკაციაში და წავედით ამ საომარ ვითარებაში“. განცხადებას მრავალი კრიტიკული გამოხმაურება და ზურაბიშვილისადმი პრორუსულობის ბრალდებები მოჰყვა. კრიტიკის პასუხად, პრეზიდენტობის კანდიდატმა 8 აგვისტოს, ომის 10 წლისთავზე, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა:

„როგორი კვალიფიკაცია უნდა მივცეთ იმ მოვლენებს, როდესაც დაიწყო საომარი მოქმედებები, იმ დროს, როდესაც საქართველოს არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა; იმ დროს, როდესაც საქართველო იყო გაფრთხილებული, თავისი ყველა მოკავშირეებისგან, რომ სამხედრო ნაბიჯი არ გადაედგა და გაფრთხილებული იყო, რომ არანაირი დახმარება არ იქნებოდა... როდესაც ეს ყველაფერი არის სახეზე, იმ მომენტში პროვოკაციაზე აყოლა და შენს ტერიტორიაზე, შენს მოსახლეობაზე მასიური დაბომბვის დაწყება, ამას რა ჰქვია? უგუნურობა, გიჟი პრეზიდენტის ახირება [მიხეილ სააკაშვილის], თუ რაღაც უცნაური და გაუგებარი გარიგება ჩვენს საუკუნოვან მტერთან...“ (სამოქალაქო საქართველო, 2018).

ნომინალურად დამოუკიდებელი, თუმცა მოგვიანებით „ოცნებისაგან“ მხარდაჭერილი კანდიდატის კრიტიკისადმი პასუხმა არანაკლებ კრიტიკას დაუდო სათავე. პასუხად, 9 აგვისტოს ზურაბიშვილმა განაცხადა:

„ამ ყველაფრის შეხსენება ორი მიზეზის გამოა აუცილებელი: არ დაბრუნდნენ დამნაშავეები ხელისუფლებაში და მომავალში არცერთმა ხელისუფლებამ არ ჩაიღიბოს მსგავსი გამოუსწორებელი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მე ამ ყველაფერს ვიტყვი ყოველთვის, რამდენადაც მწარე არ უნდა იყოს ეს სიმართლე ნაციონალებისა და მათი სატელიტებისათვის, რომლებიც იყვნენ და არიან რუსეთისა და ანტიდასავლური ძალების საუკეთესო საყრდენი ჩვენს ქვეყანაში“ (სამოქალაქო საქართველო, 2018).

ზურაბიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ არ უარუყვია რუსეთის, როგორც აგრესიული მეზობლის როლი კონფლიქტში, ბრალი სააკაშვილზე გადაიტანა და ყოფილი პრეზიდენტი რუსეთთან გარიგებაში დაადანაშაულა. 9 აგვისტოს გამოსვლაში, რომელშიც მან მტკიცებულებების გარეშე ენმ-ს რუსეთის „საუკეთესო საყრდენობა“ დააბრალა, ზურაბიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის წინააღმდეგ გალაშქრებას შეეცადა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ზურაბიშვილის თავდაპირველი გამოსვლის „გრძელვადიანი მიზანი“ პოლიტიკური ოპონენტების დემონიზება იყო. მკვლევრებმა ასევე შენიშნეს, რომ აგვისტოს ომზე მისი გამოსვლები და ოპონენტებისათვის პრორუსული იარაღიყების მიწებება ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებთან იყო კოორდინირებული. ივანიშვილმა მაშინ ენმ ქვეყნის „ღალატში“ დაადანაშაულა (Silagadze and Gozalishvili, 2019).

მმართველი პარტიის მომხრე მედიასაშუალებებმა საპრეზიდენტო არჩევნებში ენმ-ის კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე (რომელიც საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო ზურაბიშვილის მსგავსად და 80-იან წლებში

საბჭოთა დიპლომატიად მუშაობდა) „პუტინის პროექტად“ მონათლეს. შეიძლება ითქვას, ამ პერიოდიდან „ქართულმა ოცნებამ“ ახალი დისკურსი – ენმ-ის რუსეთის აგენტებად შერაცხვის – წამოიწყო. თუმცა, ეს გზა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატისთვის საპრეზიდენტო არჩევნებში პირველ ტურში გასამარჯვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ სწორედ აგვისტოს ომსა და რუსეთზე წინააღმდეგობრივი განცხადებებიც იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც ზურაბიშვილს პირველივე ტურში გამარჯვებაში ხელი შეუშალა. პირველ რაუნდში მან ხმათა 39% მოაგროვა და მცირედით ჩამოიტოვა უკან გრიგოლ ვაშაძე. მეორე ტურში უკიდურესად დაძაბული და პოლარიზებული კამპანიის ფონზე ზურაბიშვილმა გამარჯვება კი მოიპოვა, თუმცა ამ რთულად მოპოვებულმა საკამათო წარმატებამ მასაც და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასაც შეახსენა, რომ ქართველი ელექტორატი, სხვა პრობლემებთან ერთად, რუსეთისადმი მთავრობის პოლიტიკითაც იყო უკმაყოფილო. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, „ქართული ოცნების“ მიერ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხს 2021 წლის ივნისში დადებითად მხოლოდ 23% აფასებდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 9 წლის განმავლობაში, ხოლო უკმაყოფილოთა რიცხვი რეკორდულად მაღალ, 70%-იან ნიშნულზე იყო. შედარებისთვის, 2015 წელს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხზე მმართველი პარტიისადმი კმაყოფილებას 57% გამოთქვამდა, უარყოფითს – 29%. 2018 წლის აპრილში, დადებითად იყო განწყობილი 34%, ხოლო 45% – უარყოფითად; 2019 წლის ივნისში საკითხს დადებითად აფასებდა 33%, უარყოფითად – 52% (სამოქალაქო საქართველო, 2021c).

„გავრილოვის ღაფა“ და შედეგობრივი მოვლენები

2019 წლის 20 ივნისის საღამომ, როცა ათასობით ქართველმა პარლამენტის წინ გააპროტესტა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის სავარძლიდან რუსი კომუნისტი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის სხდომის წაყვანა, ქართულ პოლიტიკაში ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი. ამ დღიდან მოყოლებული, პოლიტიკური აქტორები განახლებული ძალებით შეუდგნენ ერთიმეორისადმი რუსული იარაღების მიწებებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა ამ დღეს თქვა, რომ „დაცვა სჭირდება ჩვენს ქვეყანას იმ ხელისუფლებისაგან, რომელიც თანამშრომლობს ოკუპანტებთან“. ელენე ხოშტარიამ, „ევროპული საქართველოს“ დეპუტატმა, განაცხადა, რომ მმართველმა პარტიამ ქვეყანაში ოკუპანტები შემოუშვა. ენმ-ის კიდევ ერთმა დეპუტატმა, თინათინ ბოჟუჩავამ კი, „ქართულ ოცნებას“ „რუსული ოცნება“ უწოდა. ოპოზიციამ გააძლიერა რიტორიკა, რომ მმართველი პარტია რუსეთის ინტერესებს ემსახურება. ამ მხრივ, ოპოზიციის განსაკუთრებული სამიზნე გახდა გიორგი გახარია, რომელიც 20 ივნისის აქციის საპოლიციო დაშლისას შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. გავრილოვის ინციდენტის შემდეგ, საზოგადოების მიერ ფაქტის დაგმობის კვალდაკვალ, მმართველი პარტიის ლიდერებმა და ქვეყნის ხელმძღვანელმა პირებმაც უარყოფითად შეაფასეს მომხდარი და რუსეთზე საუბრისას უჩვეულოდ მკაცრ რიტორიკას მიმართეს. პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის სიტყვებით, „იმ ქმედებებს, რომლებიც მომდინარეობს რუსეთის ფედერაციიდან, არაფერი საერთო არ აქვს არც ქრისტიანობასთან, არც – მართლმადიდებლობასთან“. თავის მხრივ, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თქვა: „რა მართლმადიდებლური

კავშირი და ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს ჩვენ და იმ ქვეყანას შორის, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპანტია, არამედ ებრძვის რელიგიასაც და ყველა ქრისტიანულ წესს?!“ (სამოქალაქო საქართველო, 2019b).

ე.წ. გავრილოვის ღამის საპოლიციო დაშლის შემდეგ, ოპოზიციისა და სამოქალაქო აქტივისტების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა შს მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომა გახდა. გადადგომის ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ გახარია პრემიერ-მინისტრად დააწინაურა. ამ ამბის შეფასებისას, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ზაალ უდუმაშვილმა თქვა, რომ „საქართველოს მოსახლეობა არასდროს შეეგუება, რომ გავრილოვი იყოს პრემიერ-მინისტრი“ (სამოქალაქო საქართველო, 2019c). ოპოზიციაში „მოსკოვის პროექტ“ გახარიათი უკმაყოფილების კვალდაკვალ, მმართველი პარტია ოპოზიციას პირიქით ედავებოდა პრორუსულობას. 2019 წლის ნოემბერში ივანიშვილმა თქვა, რომ 2008 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „ყველაფერი გააკეთა, რომ რუსეთის ჯარი შემოეყვანა აქ“ (სამოქალაქო საქართველო, 2019a).

2019 წლის ივნისიდან ორი წლის თავზეც კი, ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს კვლავაც „გავრილოვებს“ უწოდებენ. მაგალითად, 2021 წლის თებერვალში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას „გავრილოვები“ უწოდა (ინტერპრესნიუსი, 2021). მსგავსი იარლიყების მიწებების ადრესატი ოპოზიციაცაა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ „გავრილოვები“ „პერიოდულად მაშველ რგოლადაა გადმოგდებული „ნაციონალური მოძრაობისთვის“. „ერთ მშვენიერ დღესაც ყველა აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში რუსეთის ყველაზე დიდი აგენტი არის... მთლიანობაში ეს დესტრუქციული ოპოზიცია“, – თქვა სუბარმა (საქართველოს პირველი არხი, 2021).

რუსეთის ფაქტორისა და რუსეთის აგენტის იარლიყის გადამეტებული გამოყენებით, ქართული პოლიტიკის აქტორები რთულ და მრავალწახნაგოვან რეალობას უკიდურესად ამარტივებენ და, ამასთან, ყურადღება გადააქვთ იმ პრობლემებიდან, რომლებიც მოსახლეობის დიდ ნაწილს ყველაზე მეტად აწუხებს. საშინაო პრობლემათა მომეტებული ექსტერნალიზაცია დემოკრატიული კონსოლიდაციისავე მიმავალ გზაზე ხელშემშლელი ფაქტორიცაა და არსებული პრობლემების სიმპტომიც. ერთმანეთისათვის პრორუსულობის იარლიყის მიწებებისას, ქართველი პოლიტიკოსები, გაურკვეველი კრიტერიუმებით საზღვრავენ პრორუსულობას ან კრემლის აგენტობას და, ჩვეულებრივ, ვერ ახერხებენ შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. ცხადია, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში რუსეთთან საეჭვოდ მოთანამშრომლე აქტორები მოიძებნებიან. თუმცა, ოპონენტების დემონიზაციისათვის პრორუსულობის ფაქტორის გამუდმებით გამოყენება დათვურ სამსახურს უწევს იმ პოლიტიკური ძალებისადმი ადეკვატური პოზიციების ჩამოყალიბებას, რომლებსაც ნამდვილად აქვთ საეჭვო პოლიტიკური კავშირები კრემლთან.

რუსეთის საკითხთან დაკავშირებული ერთ-ერთი ბოლო ინციდენტი იყო რუსი-ამერიკელი ჟურნალისტის, ვლადიმირ პოზნერის თბილისში ვიზიტი, რომელსაც საქართველოში აფხაზეთზე საკამათო მოსაზრებებითაც იცნობენ. ქვეყანაში მისი სტუმრობის ფონზე, ოპოზიციამ ახალი ძალებით კვლავაც განაახლა საუბარი ხელისუფლების პრორუსულობის შესახებ. ამის პასუხად, მმართველი პარტიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ „საფუძვლიანი ეჭვი“ ჰქონდა ელენე ხოშტარიას, ამ ამბის გამსაჯაროებლის რუსეთის აგენტობის შე-

სახეზე. მმართველი პარტიის თავმჯდომარემ სამოქალაქო აქტივისტები შოთა ღიღმელაშვილი და გიგა მაქარაშვილიც რუსეთის აგენტებად შერაცხა. პოზნერის სტუმრობის ამბის ცოდნა თუ გასაჯაროება, ცხადია, ვერ გამოდგება საკმარის მტკიცებულებად, თუმცა ამას მმართველი პარტიის ლიდერისათვის ხელი არ შეუშლია, ოპონენტისათვის კრემლის აგენტები ეწოდებიან. საპასუხოდ, მაქარაშვილმა მოგვიანებით თქვა, რომ „თუკი რამე არ მოსწონს ქართულ ოცნებას, ყველაფერს იქით [სხვას] აბრალებს“ (სამოქალაქო საქართველო, 2021a). თავად კობახიძეც რუსული აგენტობის ბრალდების სამიზნე არაერთხელ გამხდარა. ყველაზე პოპულარული პროოპოზიციური ტელეკომპანიის, „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას თქმით, ირაკლი კობახიძე რუსეთის ოფიციალური აგენტის შვილია და „რუსეთის პროექტის, ბიძინა ივანიშვილის მონა“ (საქართველოს პირველი არხი, 2020).

დასკვნის მაგიერ

სულ მცირე, ბოლო ორი ათწლეულის პოლიტიკური ცხოვრება აჩვენებს, რომ ქვეყნის სათავეში მყოფი ძალები საშინაო გამოწვევებისა თუ მოსახლეობაში უკმაყოფილების ზრდის კვალდაკვალ, ოპონენტებისათვის კრემლის აგენტობის იარლიყის მიწებებას არ ერიდებიან. იმ ფონზე, როცა რუსეთი ქვეყნის მთავარი საგარეო საფრთხეა, პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები მოწინააღმდეგეებს „რუსეთის დამქაშობას“ აბრალებენ, საკუთარ თავს კი ეროვნული და პატრიოტული ინტერესების დამცველად წარმოაჩენენ. მსგავსი ბრალდებების აღრესატები ოპოზიციური ძალების მხრიდან თავად სახელისუფლებო გუნდებიც ხდებიან.

ამგვარი იარლიყების მიწებება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება პოლიტიკური თუ საარჩევნო კრიზისების დროს, რაც მიზნად ელექტორალური მხარდაჭერის მობილიზებას თუ ოპონენტების დისკრედიტაციას ისახავს. 2007 წლის ნოემბრის ოპოზიციური გამოსვლების ძალადობრივი დაშლისას, სააკაშვილის მთავრობამ მიტინგის ორგანიზატორები მოსკოვთან კოლაბორაციასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა, ცხადია, ჯეროვანი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე. საშინაო პრობლემების კვალად აღმოცენებული პროტესტი არა რადიკალიზაციისაკენ მიმართული იარლიყების მიწებებას, არამედ ქვეყნის ლიდერთაგან მოსმენისა და დათმობის ისეთ სიმამაცეს და პატრიოტიზმს მოითხოვს, რაც სახელმწიფოს როგორც წინა, ისე მიმდინარე ხელმძღვანელობებს კვლავაც საპოვნელი აქვთ. სულ მცირე, 2019 წლის 20 ივნისიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, წინამორბედის მსგავსად, ოპონენტებს ხელალებით აბრალებს კრემლის აგენტობას, მათ შორის, ყველაზე უფრო ანტირუსულ პოლიტიკურ ფიგურებსაც კი.

იმის მიუხედავად, ან იქნებ იმის გამოც, რომ რუსეთი კვლავაც აგრძელებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას, საქართველოს პოლიტიკურმა მოთამაშეებმა თავი უნდა დაანებონ ერთიმეორის „კრემლის აგენტებად“ განუწყვეტელ დემონიზებას. ნაცვლად ამისა, მათ უნდა მოახერხონ, შინაარსიანი დებატები გამართონ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ თემაზე. პასუხისმგებლიანი პოლიტიკური მოთამაშეები ერთმანეთს დებატებსა და უკეთესი პოლიტიკური წინადადებების წარმოდგენაში უნდა ეჯიბრებოდნენ და არა – უსაფუძვლო იარლიყების მიწებებასა და ბრალდებებში. მით უფრო, რომ ბრალდებები და პროკრემლისტური იარლიყები ფაქტებს არ ეფუძ-

ნება, არამედ წარმოადგენს ხშირად ცარიელ რიტორიკას, რომლის პოლიტიკური მიზანი ოპონენტების დემონიზებაა. დემოკრატიულ ქვეყანაში, უცხო ქვეყნების ჩარევას საშინაო საქმეებში თუ ჯაშუშობას, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები – პარტიული ჩარევებისაგან დამოუკიდებლად – უნდა იძიებდნენ.

უკიდურესი პოლარიზაცია, რომელსაც წლებია ურთიერთდემონიზება და შანტაჟი მხოლოდ და მხოლოდ ამწვავებს, აფერხებს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას, იწვევს დასავლეთში მის დისკრედიტაციას და რუსულ საქმეს ეხმარება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, უახლოეს ხანებში ქვეყანაში პოლიტიკური დისკურსი შეიცვალოს. ამკარაა, რომ მისი ორი ყველაზე დიდი პოლიტიკური ძალა დისკრედიტაციის კამპანიებითა და პოლიტიკური პოლარიზაციით ყველაზე მეტად ხეირობს.

აკტორის შესახებ

ოთარ კობახიძეს მოპოვებული აქვს მაგისტრის ხარისხი ნაციონალიზმის კვლევებში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან. ამჟამად ის მუშაობს სამენოვანი ქართული ინტერნეტგამოცემის "სამოქალაქო საქართველოს" (Civil.ge) მთავარ რედაქტორად.

ბიბლიოგრაფია

- ინტერპრესნიუსი (2021) „ნია მელია – “პარლამენტში” მივლენ ჩემი ადვოკატები – იმედია, გავრილოვები მორიგ სიგიჟეს არ მოიმოქმედებენ და შეუშვებენ“, 16 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/642202-nika-melia-parlamentshi-mivlen-chemi-advokatebic-imedia-gavrilovebi-morig-sigizhes-ar-moimokmedeben-da-sheushveben/> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- რეხვიაშვილი, ჯ. (2006) „იგორ გიორგაძის მხარდამჭერები სამშობლოს დაღატაკის ბრალდებით დააპატიმრეს“, 6 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1548562.html> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2004) „საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია შედგა“, 25 იანვარი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/131450> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2005) „მზად ვარ პუტინს მეგობრობის ხელი კიდევ ერთხელ გაუწოდო“, 10 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/134318> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2006a) „არჩევნები 5 ოქტომბერს გაიმართება“, 28 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/138870> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2006b) „დედაქალაქის მერი რუსეთის მიერ მხარდაჭერილ “მოლაღატეებს” აკრიტიკებს“, 8 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/115272> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2006c) „მერაბიშვილი გირგვლიანის მკვლელობის სკანდალში გაეხვა“, 1 მარტი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/137342> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2006d) „მერაბიშვილი: მითი რუსეთის ყოვლისშემძლეობის შესახებ ისტორიას ჩაბარდა“, 30 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/115470> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2006e) „ნათელაშვილი გიორგაძის მომხრეების დაპატიმრებების გამო პროტესტს აცხადებს“, 8 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/138971> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).

- სამოქალაქო საქართველო (2007a) სააკაშვილის უკომპრომისო პოზიცია არჩევნების თარიღზე კონფრონტაციას აღრმავებს“, 5 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/141823> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2007b) „საქართველო სამი რუსი დიპლომატის გაძევებას გეგმავს“, 8 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/141888> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2008) „პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლის სრული ტექსტი“, 25 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/144549> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2010a) „სააკაშვილი რუსეთთან, აშშ-სთან და ევრო-კავშირთან ურთიერთობებზე“, 26 მაისი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/147885> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2010b) „სააკაშვილი: საქართველოს რუსეთი იდეო-ლოგიურად უპირისპირდება“, 4 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/148214> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2011) „მმართველი პარტია ივანიშვილის რუსეთთან კავშირზე საუბრობს და პარტიებს მეტ დაფინანსებას პირდება“, 11 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/149599> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2012a) „ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობების შესახებ“, 24 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/151251> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2012b) „ივანიშვილი: რუსეთთან ურთიერთობებს 'ვიწყებთ ახალი ფურცლით'“, 1 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/151051> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2013) „ივანიშვილი ნატოზე და რუსეთთან ურთიერთობებზე“, 14 მაისი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/151738> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2014a) „პარლამენტმა უკრაინის შესახებ რეზოლუცია მიიღო, თუმცა ერთსულოვნება ვერ გამოიჩინა“, 6 მარტი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/123560> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2014b) „ლარიბაშილი უკრაინის შესახებ საუბრობს“, 26 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/153751> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2018) „სალომე ზურაბიშვილის განცხადებები აგვისტოს ომზე“, 13 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/253756> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2019a) „ივანიშვილი ჩაგდებულ საკონსტიტუციო ცვლილებაზე, დასავლეთთან ურთიერთობებზე, არასამთავრობოებსა და უმუშევრობაზე“, 28 ნოემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/329839> (ბოლო ნახვა: 20 ივლისი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2019b) „პარლამენტში რუსი დეპუტატის ქმედებას მმართველი პარტიის მწვავე კრიტიკა მოჰყვა“, 20 ივნისი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/309207> (ბოლო ნახვა: 6 ნოემბერი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2019c) „პრემიერად გახრიას წარდგენას პოლიტიკოსები აფასებენ“, 3 სექტემბერი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/318701> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2021a) „ირაკლი კობახიძე ეჭვობს, რომ აქტივისტები 'რუსეთის აგენტები' არიან“, 1 აპრილი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/410172> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- სამოქალაქო საქართველო (2021b) „პრეზიდენტი ზურაბიშვილი: 'საქართველო არ შეეგუა ოკუპაციას'“, 25 თებერვალი. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/401394> (ბოლო ნახვა: 27 აგვისტო, 2021).

- სამოქალაქო საქართველო (2021c) „საგარეო პოლიტიკის, მედიისა და კოვიდის საკითხები IRI-ს კვლევაში“, 3 აგვისტო. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435384> (ბოლო ნახვა: 28 აგვისტო, 2021).
- საქართველოს პირველი არხი (2020) „ნიკა გვარამია – ეს ხელისუფლება დაემხო აუცილებლად და ეს ელჩები ბოდიშს მოიხდინან ანტიქართული ქცევის გამო“, 13 დეკემბერი. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/nika-gvaramia-es-khelisufleba-daemkhoba-aucileblad-da-es-elchebi-bodishs-moikhdian-antiqartuli-qcevis-gamo/> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- საქართველოს პირველი არხი (2021) „სოზარ სუბარი – გავრილოვები, ნარიშკინები, პატრიკ დაუნები, თუ რუსული ხელისუფლების წარმომადგენლები, პერიოდულად მაშველ რგოლად გადმოგდებული “ნაციონალური მოძრაობისთვის”“, 11 მარტი. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/sozar-subari-gavrilovebi-narishkinebi-patrik-daunebi-tu-rusuli-khelisuflebis-warmomadgenlebi-periodulad-mashvel-rgoladaa-gadmogdebuli-nacionaluri-modzraobistvis/> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- Barrinha, A. (2011) “The political importance of labelling: terrorism and Turkey’s discourse on the PKK,” *Critical Studies on Terrorism*, 4(2). doi: 10.1080/17539153.2011.586203.
- BBC (2011) “Saakashvili foe Ivanishvili loses Georgian citizenship,” 11 October. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-europe-15261961> (ბოლო ნახვა: 20 ივლისი, 2021).
- van den Broek, H.-P. (2017) “Labelling and Legitimization: Justifying Political Violence in the Basque Country,” *Terrorism and Political Violence*, 29(1). doi: 10.1080/09546553.2014.995788.
- Cheterian, V. (2008) “Georgia’s Rose Revolution: Change or Repetition? Tension between State-Building and Modernization Projects*,” *Nationalities Papers*, 36(4), pp. 689-712. doi: 10.1080/00905990802230530.
- Human Rights Watch (2007), *Crossing the Line – Georgia’s Violent Dispersal of Protestors and Raid on Imedi Television*.
- International Crisis Group (2007) *Georgia: Sliding towards Authoritarianism?* Tbilisi/Brussels. ხელმისაწვდომია: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/georgia-sliding-towards-authoritarianism> (ბოლო ნახვა: 27 აგვისტო, 2021).
- Kakachia, Kornely. and Lebanidze, Bidzina. (2019) “Georgian Dream Meets Georgia’s Nightmare,” *Foreign Policy*, 25 June. ხელმისაწვდომია: <https://foreignpolicy.com/2019/06/25/georgian-dream-meets-georgias-nightmare/> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- Kakachia, K. and Minesashvili, S. (2015) “Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior,” *Journal of Eurasian Studies*, 6(2), pp. 171–180. doi: 10.1016/J.EURAS.2015.04.002.
- Milliken, J. (1999) “The Study of Discourse in International Relations,” *European Journal of International Relations*, 5(2). doi: 10.1177/1354066199005002003.
- Paton, N. (2006) “First wine, now Russia bans Georgia’s water.” ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/world/2006/may/06/russia.nickpatonwalsh> (ბოლო ნახვა: 20 ივლისი, 2021).
- Reed, L. (2001) *Political Labels Are a Poor Substitute for Critical Thinking*. ხელმისაწვდომია: <https://www.mackinac.org/3606> (ბოლო ნახვა: 27 ივლისი, 2021).
- Silagadze, G. and Gozalishvili, N. (2019) *Extreme Political Polarisation as a Threat to Democratisation: The Case of Georgia*. ხელმისაწვდომია: https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/extreme-political-polarisation-as-a-threat-to-democratisation-d331d7f6592b#_ftn34 (ბოლო ნახვა: 20 ივლისი, 2021).
- Stronski, P. and Vreeman, A. (no date) *Georgia at twenty-five: in a difficult spot*. ხელმისაწვდომია: https://carnegieendowment.org/files/StronskiVreeman_Georgia_at_Twenty_Five.pdf (ბოლო ნახვა: 20 ივლისი, 2021).
- Tsygankov A. and Tarver-Wahlquis, M. (2009) “Duelling Honors: Power, Identity and the Russia-Georgia Divide,” *Foreign Policy Analysis*, 5(4).

საქართველო რუსულ დისკურსებში: კრიტიკული მოსაზრებები* **

ანდრეი მაკარიჩევი
ტარტუს უნივერსიტეტი

შესავალი

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს შესახებ რუსული დისკურსების სამი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული კლასტერის გამოკვეთას და ანალიზს, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც ბიო-გეო-პოლიტიკური, რელიგიური და პოპულარული/ხალხური. გეოპოლიტიკური პერსპექტივა ხაზს უსვამს უსაფრთხოების საკითხებს როგორც სივრცითი, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით, და საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკას მოსკოვის კონფლიქტური ურთიერთობების უფრო ფართო კონტექსტში ათავსებს, რომელიც ზოგადად დასავლეთსა და ევროკავშირთან, და კონკრეტულად – ნატოსთან ურთიერთობებს გულისხმობს. ამ ჩარჩოში, საქართველო, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, ძირითადად წარმოდგენილია როგორც არალოიალური მეზობელი, რომელიც უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს რუსეთის მიმართ, და როგორც ქვეყანა, რომელსაც არ შეუძლია გააკონტროლოს თავისი ტერიტორია.

ბიოპოლიტიკური კომპონენტი ზემოთ აღნიშნულს უმატებს ძლიერ აქცენტს სიცოცხლის გადარჩენის (რუსეთის შემთხვევაში) და სიცოცხლისათვის საშიშ (საქართველოს შემთხვევაში) პოლიტიკაზე, რომელიც აყალიბებს ორი ქვეყნის ორმხრივ ურთიერთობებს.

რელიგიური გადმოსახედიდან, საქართველოს აღქმა ზემოთქმულისგან იმ განსხვავებული და არსებითად ნორმატიული დაშვებიდან გამომდინარეობს, რომელიც საქართველოს როგორც გლობალური მართლმადიდებლური საზოგადოების წევრს ხედავს, რომელიც კონსერვატიულ რუსულ ღირებულებებსა და ტრადიციონალისტურ ეროვნულ იდენტობას იზიარებს, როგორც ალტერნატივას დასავლური ლიბერალიზმისთვის (მათ შორის, ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა უმცირესობების უფლებების დაცვა, მულტიკულტურალიზმი, სექსუალური ემანსიპაცია და ასე შემდეგ). რელიგიური დისკურსის თანახმოვნება რუ-

* სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავენ ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

** ყველა აღნიშვნა/სახელი, რომელიც მიუთითებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ასახავს რუსულ დისკურსს და/ან კრემლის მედიის ნარატივს და არ გამოხატავს ნაშრომის ავტორის პოზიციას.

სეთსა და საქართველოში შეიძლება „პასტორალური ძალაუფლების“ თვალსაზრისით აიხსნას.

რაც შეეხება *პოპულარულ/ხალხურ* განზომილებას, იგი რუსულენოვან საზოგადოებაში საქართველოს ყოფითი სახე-ხატების ფართო წარმოდგენითაა გამოხატული (ძირითადად სოციალურ მედიაში), რომელსაც მხარს უჭერს და ხელს უწყობს ტურისტული ინდუსტრია, რომელიც ფართო რუსულ საზოგადოებაში საქართველოს მიმართ მეგობრულ ნარატივებს უჭერს მხარს.

ამ კვლევაში, რუსულ კონტექსტში გაშლილი ამ დისკურსების საკვანძო წერტილებს და ძირითად არგუმენტებს ვიკვლევ, და ვსვამ შემდეგ საკვანძო კითხვებს: როგორ არის ეს დისკურსები ორგანიზებული, როგორ ფუნქციონირებენ ისინი და რა პოლიტიკურ ეფექტს იძლევიან? ამ პროექტის სხვა სტატიებთან დამაკავშირებელი პუნქტის სახით, დასკვნაში, რუსეთიდან მომდინარე დისკურსების მრავალფეროვნებისა და ქართულ კონტექსტში მათი განსხვავებული ინსტრუმენტალიზაციის გათვალისწინებით, განვიხილავ, თუ რას ნიშნავს იყო „პრორუსული“ ან „ანტირუსული“ საქართველოში. ამ დისკურსებს შორის დაპირისპირება და განსხვავებები განსაკუთრებით რთულს და საკამათოს ხდის რუსეთთან როგორც იდენტიფიკაციას, ისე დამორცხვას.

თეორიული ჩარჩო

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს დისკურსული ანალიზის მეთოდის გამოყენებას იმის საჩვენებლად, რომ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება და მისი აღქმა რუსეთში შეიძლება ჰეტეროგენულობით, ცვალებადობითა და სხვადასხვა ნარატივზე დაფუძნებით ხასიათდებოდეს, რომლებიც შეიძლება ერთმანეთს ავსებდეს, ფარავდეს ან ეწინააღმდეგებოდეს კიდეც. ეს კვლევა ცხადყოფს, რომ არსებობს ერთზე მეტი „სუბიექტური პოზიცია“ (Carpentier, De Cleen, and Van Brussel 2019, 7) საქართველოს შესახებ დისკურსებში რუსეთში. კრიტიკული დისკურსული ანალიზის ენაზე (Jakobs 2018, 301), ეს დისკურსები არის როგორც ზედმეტად წინასწარ განპირობებული (ე.ი. მჭიდროდ გაჯერებული ემოციებითა და გადაჭარბებული განზოგადებით), ასევე განუპირობებელი (ანუ ისინი უგულებელყოფენ ან ჩამოწერენ ზოგიერთ ინტერპრეტაციას ან მოსაზრებას, რომელიც არ ჯდება კრემლის ჰეგემონურ ნარატივში). შესაბამისად, დისკურსული ანალიზი „არ არის მხოლოდ მეთოდი, არამედ იგი ხედვაცაა“ (Carta 2019, 82), რომელიც გვეხმარება ინსტრუმენტული ენობრივი ტექნიკური მახასიათებლების მიღმა გასვლასა და მათ უკან არსებული პოლიტიკური საზრისების უკეთ გაგებაში.

რუსული დისკურსების ემოციური ელემენტები განსაკუთრებით საინტერესო ფენომენია, რომლებიც შეიძლება არგუმენტაციის თეორიის (როგორც სკოლის, რომელიც სწავლობს, თუ როგორ ხდება პოლიტიკური არგუმენტების წარმოება, არტიკულაცია და კომუნიკაცია კონკრეტულ აუდიტორიასთან) ლინზებით აიხსნას. ერთი ახსნა, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ამ სფეროში არსებული ლიტერატურიდან, არის განსაკუთრებული აქცენტი *ad hominem* არგუმენტაციაზე (Borovali 2018), რომელიც მიხეილ სააკაშვილის პიროვნული თვისებების პრიზმაში საქართველოსა და უკრაინის მოვლენების მედიაგამუქებაში ჩანს. კიდევ ერთი ახსნა არის ისეთი ღრმად რედუქციონისტური და ესენციალისტური ცნებების ფართოდ გამოყენება, როგორიცაა „რუსოფობია“, როგორც რუსეთის მიმართ იმ სკეპტიკური ან რუსეთისადმი ფრთხილი დამოკიდებულების მთელ

კომპლექსში გამოკვეთილი უნივერსალური აღმნიშვნელი, რომელიც საქართველოსა და მთელ მსოფლიოში არსებობს. არგუმენტაციის თეორიაში მნიშვნელოვანიდან მეორეხარისხოვანზე ყურადღების გადატანაზე მიმართული ეს ხერხი ცნობილია, როგორც „ნაჩქარევი განზოგადება“ და „ჩალის კაცის“ ცდომილება, იგი „გულისხმობს არგუმენტებს, რომლებშიც პოლიტიკოსები თავიანთი ოპონენტის პოზიციას შეურაცხმყოფელი სახით ასახავენ, რათა ის ამაზრუნად ან თუნდაც საშიშად გამოიყურებოდეს“ (Blassnig et al. 2019, 120).

ვინაიდან თითოეული დისკურსი მნიშვნელობების უპირატესი ან საკვანძო წერტილებით დაფიქსირებას გულისხმობს (Stengel and Nabers 2019, 254), ეს კვლევა გამოყოფს მათგან სამს: ბიო-გეოპოლიტიკურს, რელიგიურსა და სახალხოს. თითოეული მათგანი განიხილება, როგორც რთული „დისკურსიული ობიექტი“ (Banta 2018, 382) მრავალშრიანი სტრუქტურითა და გარე ურთიერთკავშირებით.

გეოპოლიტიკისა და ბიოპოლიტიკის კავშირი ადამიანის სიცოცხლის ტერიტორიულ (გეოპოლიტიკურ/გეოკულტურულ/გეოეკონომიკურ) კონცეფციებთან ერთად განხილვის საშუალებას იძლევა. ეს მიდგომა განსაკუთრებით განვითარდა სასაზღვრო კვლევების ლიტერატურაში (Johnson and Jones 2018) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კვლევებში (Kivelä and Moisiö 2017). გეოპოლიტიკა და ბიოპოლიტიკა ამ მხრივ ძალაუფლებითი ურთიერთობების ორი ურთიერთდაკავშირებული ფორმაა, რაც შესაბამისად აღნიშნავს მათ სივრცულ-ტერიტორიულ და სხეულებრივ (ორგანიცისტულ) ასპექტებს. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ იმპერიები და ყოფილი იმპერიები (Kearns 2014, 772), ისევე როგორც დიდი სახელმწიფოები (Kiersey 2009), განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან ბატონობის გეოპოლიტიკური და ბიოპოლიტიკური ინსტრუმენტების შეერთებისკენ. კერძოდ, ბიონორმატიული გეოპოლიტიკის იდეა (Gerhardt 2009) მიზნად ისახავს ადამიანთა სიცოცხლესა და სხეულზე ნორმატიული ჰეგემონიისა და გეოპოლიტიკური ექსპანსიის ინსტრუმენტების გაერთიანებას.

პასტორალური ძალაუფლება, კონცეფცია, რომელიც სათავეს იღებს ფრანგი პოლიტიკური ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს ნაშრომებიდან, აღნიშნავს ძალაუფლებითი ურთიერთობების ტიპს, რომელიც „ხაზს უსვამს ადამიანის მორჩილების ღირებულებას და არა ადამიანის თავისუფლების წინაპირობას“ (Cooper 2019, 15). არსებულ კვლევებში პასტორატი ძირითადად განიხილება, როგორც ძალაუფლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი (Ojakangas 2012), რომელიც სახელმწიფოების მიერ გამოიყენება როგორც სულების მწყემსის, მათი მართვისა და ხელმძღვანელობის ტექნიკა და მას ისეთი მთავრობებიც იყენებდნენ, რომლებიც რაღაც თვალსაზრისით ლიბერალური პრინციპებისადმი ერთგულებას ამტკიცებდნენ. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობები პასტორალური ძალაუფლების მნიშვნელოვან ნორმატიულ განზომილებას ავლენს, რომლებიც ძლიერ არის გაჯერებული არალიბერალური საზრისებით.

თუმცა, გარდა ელიტების მიერ მოწოდებული ნარატივებისა, პოლიტიკური მსჯელობა „ღია ყველა დისკუსანტისთვის, მიმართავს ჰეტეროგენულ აუდიტორიას და არის გახსნილი“ (Tonnard 2008, 332), რაც შესაძლებელს ხდის იმ ინდივიდებისა და ჯგუფების აზრიან მონაწილეობას და წვლილს, რომლებიც არ არიან ასოცირებული სახელმწიფოსთან. სწორედ ამ მხრივაა მნიშვნელოვანი რუსი ტურისტებისა და ვიდეობლოგერების მიერ წარმოებული საქართველოს ვიდეო სახე-ხატებები და წარმოდგენები, რომლებიც ხელმისაწვდომია მათი

YouTube-არხების ან სხვა საშუალებებით, რადგან ისინი უარყოფენ კრემლისა და ოფიციალური მედიის კონფრონტაციულ პოზიციას და საქართველოს შესახებ განსხვავებულ მხერას გვთავაზობენ, რომელიც გაჯერებულია პირადი გამოცდილებისა და ემოციების სიმრავლით.

დისკურსული ანალიზის სტანდარტების შესაბამისად, ზეპირსიტყვიერი ტექსტები და ვიზუალი სამივე კლასტერისთვის „შეირჩა მათი გამორჩეული კატეგორიების წარმოქმნის“ (Tatum 2018, 353) და უფრო ფართო დისკურსის კონცეპტუალური კონტურების საფუძველზე. ვინაიდან ამ კვლევაში გამოყენებული ყველა მასალა რუსულენოვანია, მათი ადრესტები არიან როგორც შიდა რუსული აუდიტორია, ასევე რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ქართველები, რომელთა საინფორმაციო სამომხმარებლო სივრცეც რუსულენოვან მედიას მოიცავს.

გეო-და ბიოპოლიტიკური ნარატივები

გეოპოლიტიკური პერსპექტივა რუსულ დისკურსში უსაფრთხოების ლოგიკას ემყარება: კრემლი საქართველოს განიხილავს, როგორც რუსეთის დაუცველობის წყაროს (Pankov 2010, 28-35), ვინაიდან, რუსეთის ოფიციალური პირების აზრით, ეს ქვეყანა უშვებს არარეგიონულ ძალებს, მისი ტერიტორია თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ (Parlamentskaya Gazeta 2019). ეს ხსნის რუსეთის თანმიმდევრულ მცდელობებს, ხელი შეუშალოს საქართველოს ევროკავშირისა და ნატოსთან ასოცირებაში, ისევე როგორც მის ძალისხმევას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთში ინტეგრაციისთვის. ეს მხოლოდ აძლიერებს თბილისის უნდობლობას მოსკოვის მიმართ და ამცირებს თბილისზე რუსეთის ზეწოლის ბერკეტებს. ამის გარდა, იწვევს მზარდ ხარჯებს, რომლებიც რუსეთის ბიუჯეტს აწვება.¹

აქედან გამომდინარე, რუსული გეოპოლიტიკური ხედვა საქართველოს მიმართ ეფუძნება საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურულ შეხედულებას და უარყოფს რუსეთის პროაქტიულ აგენტობას: რუსეთს ურჩევნია წარმოაჩინოს თავი, როგორც ძალამ, რომელიც იძულებულია უპასუხოს საქართველოს მტრულ ქმედებებს, რომლებიც თითქოსდა მანიპულირებულია აშშ-ის პოლიტიკით. იმავდროულად, მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის პირობებშიც კი, რუსეთი აცხადებს, რომ იმ მნიშვნელოვან აქტორად რჩება, ვისთანაც საქართველოს კომუნიკაცია უწევს სხვადასხვა არაპოლიტიკურ საკითხზე, დაწყებული ვაჭრობიდან, დასრულებული რუსეთში არსებული ქართული დიასპორის საკითხებით, რაც სერიოზულად ართულებს საქართველოს მცდელობებს გავიდეს რუსეთის გეოპოლიტიკური წვდომის სივრციდან.

სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებული როლის შესახებ რუსეთის პრეტენზიებს ამყარებს 1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთის სამშვიდობო მისიაც საქართველოში, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები არც მზად იყვნენ და არც სურდათ კონფლიქტის მხარეების დამორიშორებისთვის (ერთი მხრივ, ქართველები და, მეორე მხრივ, აფხაზები და სამხრეთოსები) მოსკოვის სამხე-

1 ჩვენს ხელთ არსებული შეფასებებით, რუსეთმა თავისი ბიუჯეტიდან 606 მილიონი დოლარი დახარჯა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განვითარებისთვის. <https://www.bbc.com/russian/features-40862115>

დრო ძალების ალტერნატივა შეექმნათ. რეტროსპექტულად, რუსეთი რეგიონში თავის როლს პატიოსან შუამავლობასა და მომრიგებლობაში ხედავს. კერძოდ, 1998-დან 2008 წლამდე მოსკოვი აფხაზეთის მიმართ სანქციებს ახორციელებდა მისი საქართველოდან სეპარაციის გამო. ამავე მოსაზრებით, 1997 წელს ევგენი პრიმაკოვი შუამავლობდა სეპარატისტული აფხაზეთის ხელმძღვანელს, ვლადისლავ არძინბასა და საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს, ელუარდ შევარდნაძეს შორის მოლაპარაკებებში. მან აფხაზეთისგან თანხმობაც კი მიიღო „ქართულ სახელმწიფოში“ გაერთიანებაზე. პრიმაკოვის მოგონებების მიხედვით, გარიგება ჩაიშალა იმის გამო, რომ შევარდნაძემ დაჟინებით მოითხოვა „ერთიანი“ უნიტარული სახელმწიფოს ფორმულა, რაც აფხაზური მხარისთვის მიუღებელი იყო (Kommersant 1997). რამდენიმე წლის შემდეგ, კრემლმა, უფრო კონკრეტულად, რუსეთის უშიშროების საბჭოს მაშინდელმა მდივანმა, იგორ ივანოვმა (Lenta.ru 2004), მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ასლან აბაშიძისა და მისი სეპარატისტული კლანის საქართველოს აჭარის რეგიონიდან ჩამოშორებაში, რაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ პოლიტიკური დახმარების ჟესტად განიხილებოდა.

ეს ეპიზოდები გამოიყენა კრემლმა იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ სააკაშვილის მთავრობის მიერ გაცხადებული ეთნიკური ნაციონალიზმის მოდელი უნდა იყოს დამნაშავე თბილისსა და მოსკოვს შორის არსებულ კრიზისში (კანდელაკი 2019). თუმცა, რუსეთმა ვერ გადააქცია ეს არგუმენტები თანმიმდევრულ ნარატივად, რომელიც მიმზიდველი იქნებოდა როგორც საქართველოსთვის, ასევე მისი მეზობელი ქვეყნებისთვის. იმის ნაცვლად, რომ პატიოსანი შუამავლის როლი ეთამაშა, რუსეთმა სამხედრო ძალის დემონსტრაციასთან ერთად საქართველოს მოწყვლადობის შესწავლა დაიწყო (სტიმულების შექმნის სანაცვლოდ). კერძოდ, ცდილობდა გამოეყენებინა ქართულ საზოგადოებაში დასავლური ინსტიტუტების მიმართ სეპტიკური დამოკიდებულებები და აცხადებდა, რომ ასოცირების შეთანხმება, რომელსაც საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა, ასიმეტრიულია და საქართველოს ბრიუსელზე დამოკიდებულს ხდის. საქართველოში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაძლო განლაგების შესახებ დისკუსიები განიხილება, როგორც ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზაციის გამოწვევა, პროცესი, რომელსაც რუსეთი საქმოსნური პერსპექტივით აფასებს და არა რბილი ძალის პროეცირების შესაძლებლობის გადმოსახედიდან. ნორმალიზაციის დასაბუთება, რომელიც საკმაოდ პოპულარულია რუს კომენტატორებში, პოლიტიკური განცხადებებისგან განსხვავებით, ორიენტირებულია პრაგმატულ ინტერესებზე (Markedonov 2019), რომელიც არ მუშაობს საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის კონსენსუალური არჩევანის გათვალისწინებით (Markedonov 2021).

თუმცა რუსეთის ლოგიკას ძირს უთხრის წმინდა სახის დეკლარაციული რწმენა აშშ-ის ყველგანმყოფობის შესახებ, რომელიც, მოსკოვის აზრით, რუსეთის მიმართ საქართველოს ყველანაირი პოლიტიკის უკან დგას. საქართველოს მიმართ რუსეთის ამერიკაცენტრირებული პოლიტიკის კარგი ილუსტრაციაა 2019 წლის გავრილოვის სკანდალი.² რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ამ კრიზისში საქართველოს დასავლელი პარტნიორები დაადანაშა-

2 2019 წლის ივნისში რუსი დეპუტატი, კომუნისტური პარტიის წევრი სერგეი გავრილოვი საქართველოს პარლამენტის შენობაში გამართულ მართლმადიდებლობის 26-ე გენერალურ საპარლამენტთაშორისო ასამბლეას თავმჯდომარეობდა. საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძლიდან რუსულ ენაზე გავრილოვის გამოსვლას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა პარლამენტის შენობის წინ.

ულა, რაც, როგორც ჩანს, რუსი ოფიციალური პირების რიტორიკაში ზოგადი მიდგომაა: „დასავლელი ზედამხედველები მზად არიან თვალი დახუჭონ ნაციონალისტების გადაჭარბებაზე, რუსოფობიაზე, თუნდაც ისინი ჩვენს ქვეყანასთან ქართველი ხალხის ყოველგვარ კავშირს წყვეტდნენ“ (Kucera 2019). კიდევ უფრო მკაცრი სიტყვებით გამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელი ვიაჩესლავ ვოლოდინი, რომელმაც განაცხადა, „ჩვენი რუსი მოქალაქეები საქართველოში დასასვენებლად არ უნდა გავაგზავნოთ“-ო და ჟურნალისტი გიორგი გაბუნიას რუსეთში ექსტრადიციაც მოითხოვა. იმავდროულად, ფედერაციის საბჭოს წევრმა არსენ ფაძაევმა თბილისის ცენტრში გაბუნიას სიკვდილით დასჯა მოითხოვა (Sokolov 2019). რუსეთი თავისი მოქალაქეების მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელის გამო საქართველოსგან ბოდიშის მოხდას ელოდა (Ar'kov 2019). საქართველოს დაშინების მიზნით, რუსულმა მეინსტრიმმედიამ ხაზი გაუსვა „უსაფრთხოების საკითხებზე შფოთვის“, რომელიც შესაძლოა რუსეთს ჰქონდეს პანკისის ხეობაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე (ხაჩიძე 2019). ამ მაგალითების მიხედვით, ყველაზე „პატრიოტულად მოაზროვნე“ რუს გამომსვლელებს სურდათ, თბილისში მომხდარი მოვლენები „რუსოფობიულ პროვოკაციად“ წარმოეჩინათ, რომელიც ირიბად იყო შთაგონებული საქართველოს უცხოელი მფარველების მიერ (აფხაიძე 2019). მაშინდელ რუსულ მედიაში წაიკითხავდით, რომ „ამ უკმაყოფილოა რუსეთ-საქართველოს დაახლოებით და ამიტომ მასში ჩაერია“. დასავლეთში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მოვლენებში „დასავლური ხელის“ შესახებ ბრალდებები კვალიფიცირებულ იქნა, როგორც ყალბი ამბები (Fake: Georgian Protests Engineered by the West and Ukraine, Stop Fake, 2019) .

ამ ნარატივის ცენტრალური ფიგურა ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც საქართველოდან გაქცევიდან წლების შემდეგ კვლავ რუსოფობიაში ადანაშაულებენ (YouTube 2019). რუსული მედიის სახელგანთქმულმა ქართული წარმოშობის ვარსკვლავმა თინა კანდელაკმა სააკაშვილს სუბადამიანი უწოდა (YouTube 2019b), რითაც ხაზი გაუსვა რუსულ მედიაში საქართველოს შესახებ დისკუსიების ემოციურ ტონს. მოსკოვი სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოში გახსნილ სისხლის სამართლის საქმეს იყენებს, იმის დასამტკიცებლად, რომ „ფერადი რევოლუციები“ გარე ძალების მიერ ორგანიზებული სამწუხარო და საზიანო მოვლენებია. რუსულ დოკუმენტურ ფილმში „სიმართლის აღსრულება“ (2018, NTV), 2008 წლის ომის შესახებ ნარატივმა ცალსახად ევროსკეპტიკური მიმართულება მიიღო. სამხრეთ ოსეთში საქართველოს სამხედრო ოპერაცია ასახული იყო, როგორც ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ავრცელებს საქართველო „ევროპულ ღირებულებებს“ ძალითა და ძალადობით (YouTube 2018a). რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის მარია ზახაროვას თქმით, 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კამპანიამ რუსეთს ასწავლა, რომ დასავლეთში არ არსებობს მიუკერძოებელი, ობიექტური და ნეიტრალური ჟურნალისტიკა და დაეხმარა მოსკოვს იმის გაცნობიერებაში, თუ რა სახის საინფორმაციო მანქანასთან უწევს დაპირისპირება დასავლეთში.

ამის ფონზე, რუსეთი აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება თბილისის ანტირუსულ პოლიტიკაზე პასუხი იყო. შესაბამისად, საქართველოს შექმნილ ტერიტორიების დაკარგვის თავიდან აცილება, მოსკოვთან უფრო ახლოს რომ ყოფილიყო და კრემლის ზედმეტად გაღიზიანებისგან თავი შეეკავებინა. ამ გეოპოლიტიკური ხედვის ჩარჩოში ევრაზია ისახება, როგორც მზარდი რეგიონი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთით, ხოლო საქართველოს ევროპული არჩევანი – როგორც „ნათელი მომავლის“

უტოპიური ნარატივი. სააკაშვილის რეჟიმის მიმართ უკმაყოფილება მნიშვნელოვანი დამატებაა ამ ნარატივისთვის, რომელიც საქართველოს მოსკოვთან დეპოლიტიზებული, „ჩვეულებრივი საქმოსნური“ ტიპის ურთიერთობებისკენ მოუწოდებს. ზოგიერთი რუსი კომენტატორის თვალთახედვით, ამ პოლიტიკის ალტერნატივა არის საქართველოს შემდგომი ფრაგმენტაცია (Amelina 2015), რომელიც შესაძლოა თბილისისთვის შენიღბულ მუქარად ჟღერდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია ბიოპოლიტიკური დისკურსების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება თავდაცვაზეც მიაწვდებოდეს და საფრთხეზეც. ბიოპოლიტიკური დაცვა მოქალაქეობის პოლიტიკისა და პასპორტიზაციის გზით რუსეთში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცოცავ ინკორპორაციას გულისხმობს, რაც დე ფაქტო ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის ნარატივს ეწინააღმდეგება. საქართველოს ორივე სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის რუსეთის მოქალაქეობა შეიძლება ბიოპოლიტიკურ იარაღად ჩაითვალოს, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას ავსებს.

რუსეთის მიერ ბიოპოლიტიკური საფრთხის გეოპოლიტიკურ მიდგომასთან კომბინაცია ხელს უწყობს მის ნარატივში აშშ-სთან საქართველოს კონტაქტების თავდაცვის საკითხების რანგში განხილვას ისეთ სფეროებშიც კი, როგორიცაა მედიცინა და ჯანდაცვა. უფრო კონკრეტულად, რუსული ბიოპოლიტიკური რიტორიკის მიერ მსგავსი გასამხედროების ობიექტია ვირუსების შემსწავლელი კვლევითი ლაბორატორია, რომელიც საქართველოში ამერიკელი პარტნიორების დახმარებით შეიქმნა. რუსეთი მიიჩნევს, რომ ეს ლაბორატორია ზოგიერთ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში (მათ შორის, უკრაინასა და ყაზახეთში) აშშ-ის მიერ შექმნილი სხვა ცენტრების ქსელის ნაწილია, რომელიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოლოგიური იარაღის შემუშავებაზე. რუსული მედია პირდაპირ აკავშირებს ლუგარის ცენტრს უფრო ფართო დებატებთან აშშ-ის საზღვრებს მიღმა არსებულ შეერთებული შტატების საიდუმლო ციხეების თაობაზე (MK 2018).

რუსეთი ასეთი სამედიცინო იარაღის პოტენციურ მსხვერპლად აღიქვამს თავს, რაც ხსნის იმ ბრალდებების გავრცელებას, რომელთა თანახმადაც, თითქოს, ლუგარის ლაბორატორია ადამიანებზე ახალ წამალს სცდის (YouTube 2018b), რამაც, სავარაუდოდ, მრავალი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია. ეს ლაბორატორია, როგორც რუსული თვალთახედვით ჩანს, შესაძლოა, საქართველოში დაავადებების გავრცელების თანამონაწილე იყოს (YouTube 2018c). ბიოლოგიური პათოგენების განვითარებისთვის იგი ასევე მწერებსა და ღამურებს შეიძლება იყენებდეს. ზოგიერთი რუსი ჟურნალისტი იქამდე მივიდა, რომ ლუგარის ლაბორატორია ოსვენციმს (YouTube 2018d) (სიკვდილის ლაბორატორია) შეადარა. „ბიოლოგიური ყოფნა“ (ლაბორატორიის არსებობა რუსეთის სიახლოვეს) (YouTube 2020) გახდა მედიატროპი, რომელიც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ბიოლოგიურ ტერორიზმში ადანაშაულებდა, მაგალითად, ინფიცირებული პირუტყვის მეშვეობით (YouTube 2018e). ზოგიერთი სხვა რუსი კომენტატორი საქართველოში ლუგარის ცენტრის ფუნქციონირებას ამერიკულ კვლევას უკავშირებს, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის გენეტიკური მასალის ნიმუშების შეგროვებას გულისხმობს. ეს მსჯელობა კონსპირაციულ ნარატივებს უხსნის გზას. „იზვესტიის“ სტატიამი ნათქვამია, რომ შესაძლოა არსებობდეს კავშირი აშშ-ის მიერ დაფინანსებულ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებსა

და, მაგალითად, ებოლას პანდემიის გავრცელებას შორის, ანდა ბრიტანეთში სკრიპალების მოწამვლის ფაქტთანაც კი („იზვესტია“ 2018). ყოველივე ეს ჰგავს ფაქტებისა და არგუმენტების აღრევას, ერთმანეთთან მათ ხელოვნურად დაკავშირებას, რათა აშშ-ის ბოროტი განზრახვების შესახებ შექმნას შთაბეჭდილება. „სპუტნიკ-აფხაზეთმა“ ამ კონტექსტში მესამე მსოფლიო, ამჯერად ბაქტერიოლოგიური, ომის პერსპექტივაზე ისაუბრა და ლუგარის ცენტრის „ასე თუ ისე“ ლიკვიდაციისკენ მოწოდება გამოთქვა (Sputnik Abkhazia 2019). სხვა მედიასაშუალებებმა გაავრცელეს სპეკულაციური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება იყოს ლუგარის ცენტრი დაკავშირებული რუსეთსა და აფხაზეთში ღორის ჭირის ეპიდემიასთან 2016 წელს, ასევე თაღიბების მიერ „თხევადი ჰეროინის“ წარმოებასთან (TV Zvezda 2018). მეტიც, საქართველო წარმოჩენილი იყო, როგორც ტესტირების ლაბორატორია (YouTube 2018f), რაც რუსული ინტერპრეტაციით სუვერენიტეტის ნაკლებობას გულისხმობს. გენადი ონიშენკოს სიტყვებით, COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო გაამძაფრა რუსეთის შემფოთება და ეჭვები (YouTube 2020).

როგორც ვხედავთ, საქართველოში რუსული გეოპოლიტიკისა და ბიოპოლიტიკის შერწყმა კოლონიური მიდგომების ძლიერი მემკვიდრეობით გამოირჩევა. რუსეთი ახალი ძალით ცდილობს წარმოაჩინოს თავისი იმპერიული მემკვიდრეობა, როგორც ინკლუზიური და დამცავი ძალისა, რომელიც შესაძლებლობებს უქმნის სუბალტერნულ ერებს. უკვე დამკვიდრებული გაგებით, რუსულ ცივილიზაციაში საქართველოს ინტეგრაციის იმპერიული მოდელი ქართული ნაციონალიზმის საპირისპიროდ მოიაზრებს თავის თავს, რომელიც, მოსკოვის აზრით, დამნაშავე უნდა იყოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ომებში, ასევე 1990-იანი წლების აჭარის რეგიონთან ჩამოყალიბებულ რთულ ურთიერთობებში. ამ მხრივ, *პოსტკოლონიური პერსპექტივა* შეიძლება სასარგებლო იყოს ძალაუფლებითი და ჰეგემონიური ურთიერთობების ასახსნელად, რომლებიც გეო- და ბიოპოლიტიკურად მეორდებიან იმპერიული მმართველობის დასრულების შემდეგაც კი. თამარ კოპლატაძემ სამართლიანად შენიშნა კავკასიის რომანტიზებული ხედვა რუსულ კულტურულ ტრადიციაში, ისევე როგორც „იმპერიული მზერის“ მუდმივი არსებობა, რომელიც კვლავაც დამახასიათებელია საქართველოს მსგავსი ქვეყნების აღქმისთვის რუსეთში. ამ ტიპის დისკურსები ან უარს ამბობენ რუსეთის კოლონიური წარსულის ძალადობრივი ხასიათის აღიარებაზე, ან მას ამართლებენ, როგორც ცივილიზაციისა და მოდერნულობის გავრცელებას. კერძოდ, ამჯერად პოსტკოლონიალურია დომინანტური რუსული განწყობები ისეთი საკითხების მიმართ, რომლებიც სამხრეთელი მეზობელი ქვეყნებიდან მიგრაციას ეხება (კოპლატაძე 2019, 481). მაღინა ტლოსტანოვას თანადროული მოსაზრებით, დასავლეთთან ურთიერთობებში რუსეთი მიდრეკილია, საკუთარი არასრულფასოვნება თავის ყოფილ დე ფაქტო კოლონიებზე მიმართოს და თვითგამოცხადებული მოდერნიზატორისა და ცივილიზატორის როლით მოგვევლინოს (Tlostanova 2015, 272), რომელთა შორისაც საქართველო, როგორც ჩანს, ერთი მაგალითია.

მართლგადიდებლური საძმო და რუსული „პასტორალური ძალა“

გეოპოლიტიკური დისკურსი ხშირად გადაჯაჭვულია ნორმატიულ ნარატივებთან.

ბევრი რუსი კომენტატორი, რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან ქართულ საქმეებში ჩარევაში წმინდა მატერიალურ ინტერესებს ხედავს, იმავე ნიშნით რუსეთის პოლიტიკაში რაიმე მატერიალური გათვლების ქონას უარყოფს. რუსეთის ამგვარ დასურათებაში, მისი მისია განისაზღვრება სამართლიანობის ძიებითა და სუსტების, ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, დაცვით.

მიუხედავად ამისა, არსებობს კონკურენტული ნორმატიული ნარატივი, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერაა წარმოებული. მიშელ ფუკოს ბიოპოლიტიკური აზროვნების პარადიგმის კვალდაკვალ, ეკლესიებსა და რელიგიურ დიპლომატიას შეიძლება მისივე „პასტორალური ძალაუფლების“ პერსპექტივიდან მივუდგეთ. ესაა კონცეფცია, რომელიც ფრანგმა პოლიტიკურმა ფილოსოფოსმა შეიმუშავა, რათა დაეხასიათებინა ძალაუფლების ინსტრუმენტი, რომელსაც რელიგიური ფესვები აქვს და გულისხმობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურვეობას, სულიერ ხელმძღვანელობასა და სხეულის დისციპლინას. შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის კონსერვატიული შემობრუნების მთავარი კომპონენტია. საგარეო-პოლიტიკური პერსპექტივიდან, რუსული ეკლესიის მიერ საქართველოსთან კულტურული და რელიგიური კავშირის აქცენტირება არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხაზგასმულია „ტრადიციული“ მართლმადიდებლური ღირებულებების შეუთავსებლობა ევროკავშირის ლიბერალურ ემანსიპატორულ დღის წესრიგთან. საქართველოში ეს ბევრს აფიქრებინებს, რომ რუსეთი ფართოდ გავრცელებული რელიგიური გრძნობებითა და მართლმადიდებლობის თაყვანისცემით მანიპულირებს, რათა საქართველო დასავლეთს ჩამოაშოროს.

ამ ფონზე, რუსული ეკლესიის პასტორალური ძალა კონსერვატიული რიტორიკის ჩარჩოებში შეიძლება დახასიათდეს, რომელიც დასავლეთს ქართული საზოგადოებისთვის ლიბერალური ემანსიპატორული ცხოვრების წესის დაწესებაში აღანაშაულებს. ამ თვალსაზრისით, რუსეთის მიერ მართლმადიდებლური იდენტობის დაცვა დასავლეთის ალტერნატივად არის დასახული. რუსული მედიის მიერ ანტიდასავლური ნარატივების სისტემატურ გავრცელებას გარკვეული რეზონანსი მოჰყვა ქართულ მემარჯვენე ჯგუფებში, რომლებიც რუსეთთან კავშირებს უარყოფენ, მაგრამ, ფაქტობრივად, იზიარებენ რუსეთის მიერ გადმოცემული ქსენოფობიური და ანტილგბტ განწყობების დიდ ნაწილს, რასაც მაგალითად Russia Today და მსგავსი ავრცელებენ (სვანიძე 2018). საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ზოგიერთი მაღალი რანგის სასულიერო პირი ასევე მიიჩნევს, რომ დასავლური ღირებულებები ძირს უთხრის საქართველოს პატრიარქალურ და კონსერვატიულ ტრადიციებს. ამ მხრივ, მოსკოვის მიერ ექსპორტირებული კონსერვატიზმი ცდილობს, ქართული სოციალური ტრადიციონალიზმის არსებული ტენდენციები გამოიყენოს, ხოლო საერთო სოციალური კონსერვატიული აზროვნება ევროსკეპტიკურ და ანტიდასავლურ განწყობებად აქციოს.

თავისი სტრატეგიის ფარგლებში, რუსეთის ეკლესიის პატრიარქმა კირილემ არაერთხელ აღნიშნა ხაზგასმით, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აგრძელებენ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ ყოფნას (Gazeta.ru 2009). რუსეთის ეკლესიამ არ უარყო 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა „კანონიერი ტერიტორიების“ საზღვრების პატივისცემის პრინციპს. კრემლისგან განსხვავებით, რუსეთის ეკლესია არ არის დაინტერესებული საზღვრების გადახედვით და, მეტიც, მეტი ენთუზიაზმით აგრძელებს ურთიე-

რთობებს საქართველოსთან, ვიდრე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. ამ პოზიციას, სავარაუდოდ, რამდენიმე ახსნა აქვს, რომელიც განსხვავდება რუსეთის ეკლესიის პოლიტიკისგან უკრაინის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, რუსეთის ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის მთლიანობას საქართველოში გავლენის დაკარგვის შიშით და თავისი ინტერესით, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გვერდით იყოლიოს იმ საკითხებში, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, როდესაც საქმე ეხება მის არცთუ იოლ ურთიერთობას უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ფაქტობრივად, ეს ლოგიკა სიმეტრიულად ემთხვევა რუსეთის მთავრობის ადრინდელ პოლიტიკას, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომამდე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც სეპარატისტული ტერიტორიების, სანქცირებას ცდილობდა. თუმცა, რუსეთის სახელმწიფოსგან განსხვავებით, რუსეთის ეკლესიამ უარი თქვა ხუთდღიანი ომის განხილვაზე, როგორც თამაშის შეცვლაზე, რომელიც რადიკალურ პოლიტიკურ შემობრუნებას მოითხოვდა. გარდა ამისა, კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც უკრაინისგან საქართველოს განსხვავებას ნათელყოფს, ისაა, რომ რუსული სამყაროს ეთნოცენტრული კონცეფციის საქართველოზე პროექცია შეუძლებელია და თავისი სამწყსოს სახით რუსეთის ეკლესიას თავისი განშტოება საქართველოს ტერიტორიაზე არ აქვს.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უდავოდ აქვს არსებითი გავლენა ქართულ მართლმადიდებლურ კულტურაზე, დიდწილად რუსული სასულიერო ლიტერატურის საშუალებით. მაგრამ მას თითქმის არ აქვს ხელშესახები პრაქტიკული შედეგები. კომენტატორები ამბობდნენ, რომ 2013 წელს საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ვიზიტმა მოსკოვში ბევრი პრაქტიკული საკითხი (მაგ.: ქართველი მეფეების ასტრახანიდან საქართველოს ტერიტორიაზე ხელახალი დაკრძალვის პერსპექტივები) გადაუჭრელი დატოვა (გამახარია 2013). საქართველოს ეკლესიის მეთაურს არაერთხელ გაუკეთებია პროდასავლური განცხადებები და მისი აღსაყდრებიდან 30 წლის იუბილე რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლების გარეშე აღინიშნა.

პოლიტიკურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წინააღმდეგობრივი ინსტიტუტია. ის მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ტრანსატლანტიკურ ინტეგრაციას (Panfilov 2017) და ასევე მხარს უჭერს სტალინურ სიმპათიებს; ილია მეორე კრიტიკულად აფასებს რუსეთის პოლიტიკას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თუმცა შეხვდა აშკარად პროკრემლურ ბაიკერთა ჯგუფს „ლამის მგლებს“, რომელიც ცნობილია თავისი ნაციონალისტური იდეოლოგიით. თუმცა, თუნდაც საქართველოს ეკლესიის ნარატივები რომ ავიდოთ, რომლებიც პრორუსულ სიმპათიებს ასხივებს, ჩნდება კითხვა: ეს სიმპათიები რუსული რელიგიური დიპლომატიის პროდუქტია თუ ორი მონათესავე ეკლესიის იდეოლოგიური თანხმობიდან მომდინარეობს? ისიც მართალია, რომ თავად პატრიარქმა ილია მეორემ პუტინს „ბრძენი მმართველი“ უწოდა, რომელიც „აუცილებლად დაეხმარება საქართველოს გაერთიანებას... და რუსეთის იდეა სულიერების დაცვაა“. ასევე, ისიც მართალია, რომ ქართველ მღვდელმსახურებს შეუძლიათ საჯარო განცხადებებში თავიანთი რუსი სულიერი მოძღვრები მოიხსენიონ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალი პრაქტიკა გადმოიტანონ, მაგრამ ყოველივე ეს მაინც გარეგან ძალად აღიქმება ქართული მართლმადიდებლური საზოგადოების უმრავლესობის მიერ.

აფხაზეთთან დაკავშირებით ორ ეკლესიას შორის ურთიერთობებში უთანხმო-

ების ნიშნები შეინიშნება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არაერთხელ ჩიოდა, რომ რუსეთის ეკლესიას არ გააჩნია თანმიმდევრული პოლიტიკა, საქართველოს ჩამოცილებული ტერიტორიები საქართველოს ეკლესიის რელიგიურ იურისდიქციაში აღიაროს. საქართველოს ეკლესიამ ასევე გააპროტესტა რელიგიური ღვთისმსახურება ცხინვალში (Civil.ge 2021), რაც გაურკვევლობას ქმნის იმის თაობაზე, თუ როგორია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ნამდვილი დამოკიდებულება ამ ორი სეპარატისტული ტერიტორიის მიმართ (Golos Druga 2014).

2019 წელს მოსკოვის საპატრიარქოსგან გამიჯვნამ და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამ (ცნობილი როგორც ტომოსი) ორ ეკლესიას შორის ურთიერთობაში ახალი კონტექსტი შექმნა. რუსეთის მხრიდან, ზოგიერთმა კრემლის მომხრე კომენტატორმა თქვა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ სურს აღიაროს უკრაინის ეკლესიის მოსკოვისგან დამოუკიდებლობა (Markedonov 2018). თუმცა, საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ცდილობენ, უკრაინის ეკლესიის საკითხზე რუსული რელიგიური დიპლომატიის მიმართ კრიტიკული დისტანცია შეინარჩუნონ (Regnum 2020), და, ამასთან ერთად, იპოვონ ბალანსი მართლმადიდებლობის ერთიანობის შენარჩუნებასა და მოსკოვის წესებით თამაშზე უარს შორის. შესაბამისად, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ უარი თქვა თავისი დელეგაციის გაგზავნაზე 2021 წლის თებერვალში ამანში გამართულ მართლმადიდებლურ კრებაზე, რომელიც მართლმადიდებლობის კონსტანტინოპოლისეული გლობალური ხედვის ალტერნატივად მოიწვევებოდა (RIA Novosti 2020), და ფაქტობრივად თავი შეიკავა, რომელიმე მხარე დაეჭირა რუსეთის ეკლესიასა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს შორის კონფლიქტში (TASS 2018). მეტიც, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა გააკეთა განცხადებები, რომლებიც შეიძლება მოსკოვის იურისდიქციისგან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტონომიის მხარდაჭერად განიმარტოს (Hromadske 2018). ყველა ეს მანევრი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჰიბრიდულობას ასახავს. ანტიდასავლური და ანტილიბერალური ღირებულებებისა და ნარატივების პროპაგანდით, იგი თავს რუსეთის ოფიციალური დისკურსის მოკავშირედ აქცევს, მაგრამ აგრძელებს რუსეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერას და, ამავდროულად, ეს დამოკიდებულება უკრაინაზეც გადააქვს.

სამოხმარებლო სახალხო განწყობები

რუსეთის ტურისტული ინდუსტრია და სოციალური მედიის ინდივიდუალური მომხმარებლები საკუთარ ნარატივებს ქმნიან საქართველოს შესახებ, რაც ხელს უწყობს საქართველოს, როგორც დასვენების, გართობისა და შვებულების გატარებისთვის მიმზიდველი ადგილის სახის დამკვიდრებას. ამ პერსონალიზებულ და ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტებში საქართველო გამოსახულია, როგორც ახლო, მაგრამ ყოველთვის გასაოცარი და ავთენტური ქვეყანა გასაოცარი სამზარეულოთი, ღვინითა და კულტურით, ასევე სუზონურად დასათვალიერებელი ღირსშესანიშნაობების უზარმაზარი შესაძლებლობებით. რუსი მოგზაურების, ბლოგერებისა და ტურისტული კომპანიების მიერ მომზადებული მრავალი ვიდეო საქართველოს წარმოადგენს მშვიდობიან, მეგობრულ და სტუმართმოყვარე ქვეყნად, რაც განსხვავდება მოსკოვის ოფიციალური პროპაგანდისგან (YouTube

2019c). 2021 წლის ივნისში, პანდემიასთან დაკავშირებული ჩაკეტვის შემდეგ საქართველოს სახმელეთო საზღვრების გახსნა, რუსმა ტურისტულმა ბლოგერებმა, რომლებიც YouTube-არხებს იყენებდნენ საქართველოში ფასების, მარშრუტებისა და COVID-თან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად, განსაკუთრებით აღნიშნეს. ვიზუალურ მასალაში საქართველო წარმოდგენილია, როგორც შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი (YouTube 2018g), განსაკუთრებული კულტურული და რელიგიური მახასიათებლებით, რასაც პროპაგანდას უწევს და კომოდიფიცირებულია (Gruzinskaya Pravoslavnaya Tserkov). „რეალური საქართველოს“ (YouTube 2017) დასურათება, რომელიც პოლიტიკურ გამყოფ კონოტაციებსაა მოკლებული, კრემლის მიერ კონტროლირებადი მედიის საშუალებით გადმოცემული და გავრცელებული პოლიტიზებული და თავდაცვის ნარატივების ალტერნატივაა. საქართველოს მიმართ მეგობრული ხალხური ნარატივების საილუსტრაციო მაგალითია საქართველოში მცხოვრები ორი რუსი გოგონას ექსპერიმენტული ვიდეო, რომლებმაც საჯარო წარმოდგენა დადგეს პლაკატით „ჩვენ ვართ რუსეთიდან და გვიყვარს საქართველო“ და ჩახუტებას სთავაზობენ ყველას, ვინც მათ გზავნილს მეგობრობისა და ნდობის შესახებ (YouTube 2019d) გააზიარებდა. რუსების მიერ წარმოებული და გამოქვეყნებული ეს ვიზუალური მასალა მაყურებლის ფართო სპექტრისთვისაა განუთვნილი: ქალთა აუდიტორიისთვის, საშუალო კლასის ახალგაზრდა წყვილებისთვის, ბუნებისა და მუსიკის მოყვარულთათვის, ქართული სამზარეულოს მოყვარულთათვის, ბავშვებთან ერთად დამსვენებელი ოჯახებისთვის და, ასევე, უფროსი თაობისთვის, რომელსაც საქართველო საბჭოთა დროიდან ახსოვს.

ზოგიერთი რუსული მედია, მაგალითად, „სპუტნიკ საქართველო“, მხარს უჭერს ამ ტურისტულ ნარატივს.³ თუმცა, საკმაოდ ხშირად ხდება, რომ რუსეთის მთავრობა ცალსახად ან ირიბად ახდენს ტურიზმის გეოპოლიტიზებას (YouTube 2019e) და სეზონურ ტურიზმს იყენებს საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა ბიუჯეტები დიდად არის დამოკიდებული სტუმართმოყვარეობისა და დასვენების ინდუსტრიებზე. იმის გამო, რომ რუსი ტურისტების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია შედარებით იაფი ჩარტერული ფრენების ხელმისაწვდომობაზე, რუსეთის მთავრობას მანიპულაციური ინსტრუმენტების მთელი ნაკრები აქვს. მათ შორისაა უცხოური კურორტების მიმართულებით რუსული დაბალბიუჯეტური ფრენების გაუქმება ან რუსი ტუროპერატორებისთვის სამიზნე ქვეყნებში კოლეგებთან მუშაობაში ხელის შეშლა. ამ შემზღუდავი ზომების გამო, 2021 წლის ზაფხულში რუსი ტურისტების ნაკადი საბერძნეთსა და ბულგარეთში მკვეთრად შემცირდა, როგორც ეს მოხდა 2015 წელს თურქეთში (Gotev and Michalopoulos 2021).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წელს გავრილოვის ინციდენტის შემდეგ, საქართველოც იყო მსგავსი ზომების სამიზნე, რამაც შეზღუდა რუსული ტურიზმი ქვეყანაში. ამის კარგი მაგალითია პუტინის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულება, რომელიც 2019 წლის 8 ივლისიდან რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოში ფრენას უკრძალავს „რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რუსეთის მოქალაქეების დანაშაულებრივი ქმედებებისგან დასაცავად“ (AFP 2019). რუსი ტუროპერატორები საქართველოში საგზურების გაყიდვას მოერიდნენ და რუსეთის მომხმარებელთა დაცვის სააგენტომ დროული გაფრთხილება

3 <https://sputnik-georgia.ru/tourism/>

გამოსცა, რომ აკვირდებოდა საქართველოდან იმპორტირებულ ალკოჰოლურ პროდუქტებში „ხარისხის კლებას“. როგორც რუსმა კომენტატორმა აღნიშნა, მოსკოვი, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობს იმავე ლოგიკით, რომელიც უკრაინაში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერის გამო ამერიკისა და ევროპის მთავრობებმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებისას გამოიყენეს:

„ეს სარკისებურად ასახავს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიდგომას, თქვენ გსურთ დიდი ფასი გადაახდევინოთ ქართულ ბიზნესს, რათა მათ ზეწოლა მოახდინონ თავიანთ მთავრობაზე ნებისმიერი ანტირუსული ქმედებების გამო, რასაც ისინი განიზრახავენ“ (Kucera 2019a). 2021 წლის აპრილში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი კიდევ ერთ, ამჯერად რუს ტელეჟურნალისტ ვლადიმირ პოზნერთან დაკავშირებულ ინციდენტს გამოეხმაურა, იმაზე საუბრისას, რომ საქართველო რუსებისთვის საშიში ქვეყანაა (RIA Novosti 2021).⁴

ამრიგად, შეიძლება დავინახოთ თვალსაჩინო პარალელი, ერთი მხრივ, საქართველოში მოგზაურობის აკრძალვის ოფიციალურ შემოღებას და მის გამართლებასა და, მეორე მხრივ, იმ რუსების მიკრონარატივებს შორის, რომლებიც ძირითადად სოციალური მედიის გამოყენებით უარს ამბობდნენ დამორჩილებოდნენ ამ ნარატივებს და გამოეხატათ იმპლიციტური უთანხმოება თავიანთი სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართ, რომელიც მათ ხელს უშლის იმოგზაურონ, სადაც სურთ და როცა სურთ. 2019 წლის გადაწყვეტილება, ტურისტებისთვის საქართველოში მოგზაურობა აკრძალათ, იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ „იმ რუსებს, რომლებიც იქ მიემგზავრებიან, ეს ქვეყანა მისი საკვებისა და ღვინის მიღმა არ გაეცნოთ. საქართველო ცოცხალი საზოგადოებაა, სადაც მსგავსმა პროტესტმა, როგორც სახალხო ნების გამოხატულებამ, ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც, შეიძლება სპონტანურად იფეთქოს. ეს არის დემოკრატიული გამოხატვის ფორმა, რომლისაც, როგორც ჩანს, პუტინს ეშინია“ (ჩხიკვაძე 2019). საქართველოსკენ და იქიდან რეგულარული ფრენების დროებით შეწყვეტასა და საკურორტო სეზონის შუა პერიოდში რუსებისთვის მოგზაურობის ხელშეშლის მცდელობაზე, ბევრმა რუსმა საჯაროდ განაცხადა, რომ საქართველოში რუსოფობია არ არსებობს და ქვეყანა უსაფრთხო და მეგობრულია (Demytrie 2019). უბრალო ხალხის ეს ხმები ახალი კამპანიის „World Welcome to Georgia (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში)“ მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. კამპანიის ინიციატორი საქართველოს მთავრობა იყო (World Welcome 2019) და მას თბილისში აკრედიტებულმა მრავალმა დასავლურმა საელჩომ დაუჭირა მხარი. ისინი თავიანთ სოციალური მედიის მომხმარებლებს მოუწოდებდნენ, სწვოდნენ საქართველოს, მოგზაურობის აკრძალვაზე პუტინის განცხადების საპირისპიროდ (Cathcart 2019). რუსეთის რიგითი მოქალაქეები ცდილობდნენ დაენგრიათ ბარიერები, რომლებიც კრემლმა აღმართა. მათ სცადეს რუსული სადამსჯელო ზომების სასაზღვრო ეფექტის შერყევა. ეს არის იმ ტიპის დისკურსი, რომელსაც კრემლი ეფექტიანად ვერ აკონტროლებს და რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის ოფიციალურ პოზიციას.

4 პოზნერი, რუსულ Perviy Kanal-ში მომუშავე ჟურნალისტი, თბილისში თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამოვიდა, მაგრამ აბუჩად აიგდო ქართველთა ჯგუფი, რომელიც გაბრაზებული იყო მისი ადრინდელი განცხადების გამო აფხაზეთის საქართველოსთან რეინტეგრაციის შეუძლებლობის შესახებ.

მოცემულ მსჯელობას ორი ძირითადი პუნქტით დავასრულებ. პირველი ეხება საქართველოს შესახებ რუსული დისკურსების სტრუქტურას, რომელიც შორს არის ერთიანობისა და ერთფეროვნებისგან. როგორც ვცადე მეჩვენებინა, ზოგიერთი მათგანი ერთმანეთს ავსებს და იზიდავს, ისე როგორც, მაგალითად, საქართველოს შესახებ რუსეთის გეოპოლიტიკურად თავდაცვის ელფერში მოცემული პერსპექტივა, რომელსაც ბიოპოლიტიკური დისკურსები ამყარებს, რომლებსაც, თავის მხრივ, ჩვეულებრივ თან ახლავს და აძლიერებს ნორმატიულად დატვირთული რელიგიური ნარატივები. თუმცა, დისკურსებს შორის ასევე რჩება დაპირისპირება და განსხვავებები. მაგალითად, არ არსებობს სრული სიმეტრია კრემლის მიერ მართულ გეოპოლიტიკურ ნარატივსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პასტორალურ ძალას შორის. მრავალი სახალხო დისკურსიც შეიძლება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს კრემლის გეოპოლიტიკურ ხედვას.

მეორე დასკვნა ეხება დისკურსების მთელი ამ პოლისემიური ერთობლიობის გამოცხადებას, რომელშიც რუსეთი ისახება როგორც „მცურავი ხატება“, რომელსაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. როგორც რუსეთის ერთ-ერთი მეზობელი, რომელზეც მოსკოვის ინტერვენციონისტული პოლიტიკა ახდენს გავლენას, საქართველო, როგორც ჩანს, ძალიან მგრძნობიარეა ისეთი საჯარო განცხადებების, მოსაზრებებისა და ინტერპრეტაციების მიმართ, რომლებსაც პრორუსული იარლიყი შეიძლება მივაკრათ. თუმცა, აკადემიური პერსპექტივიდან ჯერ კიდევ არსებობს ერთგვარი გაურკვევლობა ამ დახასიათებას მიუთვნიებული კონკრეტული ნიშნულების შესახებ. ერთი კითხვა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის განხილული, ისაა, შეიძლება თუ არა, პრორუსული პირებსა და ჯგუფებს პირდაპირი კავშირი ჰქონდეთ თავიანთ მეურვეებთან რუსეთში, იქნება ეს სახელმწიფო თუ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია? ანდა, პრორუსული ხმების კატეგორია ძირითადად იმ ადგილობრივ სპიკერებს მოიცავს, რომლებიც რუსულ ნარატივს იზიარებენ (ნორმატიული სიანლოვის, უცოდინრობის ან სხვა ახსნა-განმარტებითი ფაქტორების გამო) და მას პრესის, ტელევიზიის ან სოციალური მედიის საშუალებით ავრცელებენ? შესაძლოა, ამ ეტაპზე, დაგვეხმაროს ნიუანსების დონეზე განსხვავების, ისევე როგორც სხვა ზუსტი განსხვავებების პოვნა, მაგალითად, კონსერვატიული (და შესაძლოა დასავლეთისადმი სკეპტიკური) მსოფლმხედველობის მხარდაჭერასა და ნორმატიულ საკითხებში რუსეთთან ჰარმონიულ სოლიდარობას შორის.

ამ კუთხით, ეს ანალიზი ხსნის სამ განსხვავებულ პერსპექტივას, რომელსაც რუსეთი კრემლის ოფიციალური ფარგლებს გარეთ სთავაზობს საქართველოს. გეოპოლიტიკური პერსპექტივა ასახავს რუსეთის დიდ ძალას და მის თანმხლებ განსაკუთრებულ როლს მის „ახლო საზღვარგარეთში“; ნორმატიული კონსერვატიული პლატფორმა გულისხმობს დასავლეთისადმი მორალური და რელიგიური ნიშნით ანტილიბერალურ წინააღმდეგობას; და უამრავი სახალხო წარმოდგენა, რომლებიც რიგითი რუსებისგან მოდის, რომელთაც სურთ შეისწავლონ ქართული კულტურა და წვლილი შეიტანონ საქართველოს ბიუჯეტში. ამ სამი პერსპექტივიდან პირველს, ცხადია, ქართულ საზოგადოებაში მიღების მცირე შანსი აქვს. მეორემ შეიძლება მეტი პოლიტიკური და რელიგიური თანამგრძნობი იპოვოს, ხოლო მესამე გაცილებით ნაკლებად პოლიტიკურად წინააღმდეგობრივია და მეტი პოტენციალი აქვს გააძლიეროს საქართველოს, როგორც მშვიდობიანი და რუსეთისადმი მეგობრული მეზობლის იმიჯი იმ გაგებით, რომ საფუძველი შეურყიოს კრემლის კონფრონტაციულ დისკურსს.

აკტორის შესახებ

ანდრეი მაკარიჩევი არის რეგიონული პოლიტიკის კვლევების პროფესორი ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის ჯოან სკიტის პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტში.

ბიბლიოგრაფია

- AFP 2019: Russians hit out at Kremlin ban on flights to Georgia. June 22 <https://news.yahoo.com/russians-hit-kemlin-ban-flights-georgia-103622791.html>
- Amelina, Yana (2015) Gruzia vykhodit v tirazh, *Noev Kovcheg* 8-9 (260-261), viewed on June 14, 2021, <https://noev-kovcheg.ru/mag/2015-08-09/5015.html>
- Apkhaidze, Sh. (2019) Kto vinovat v rusofobnom Maidane v Gruzii? *Polirus*, June 24, viewed on June 24, 2021, <http://www.politrus.com/2019/06/24/shota-apkhaidze-5/?fbclid=IwAR0meSoWlaAccPhon6unCttBTmApSL90eflzHz1XqK94tMyeUT8oKFj-zNg>
- Ar'kov, V. (2019) Tbilisi dolzhen ofitsialno prinesti izvineniya Moskve. 2019. *Politrus*, July 8, viewed on June 14, 2021, <http://www.politrus.com/2019/07/08/georgia-russia-72/?fbclid=IwAR1KsupZy7Q5dtPWULWBrweKTCdPO9xSBfC-HOMrj18siH6OxH2dSaBkDYU>
- Banta, Benjamin (2012) Analysing discourse as a causal mechanism, *European Journal of International Relations* 19 (2) 379–402
- Blassnig, Sina; Florin Buchel, Nicole Ernst, and Sven Engesser (2019) Populism and Informal Fallacies: An Analysis of Right-Wing Populist Rhetoric in Election Campaigns, *Argumentation* 33:107–136
- Borovali, Murat (2019) Ad hominem argumentation in politics, *Philosophy and Social Criticism* 44 (4), 426–436
- Carpentier, Nico; Benjamin De Cleen, and Leen Van Brussel (2019) Discourse Theory, Media and Communication, and the Work of the Brussels Discourse Theory Group, in Leen Van Brussel, Nico Carpentier, and Benjamin De Cleen (eds.) *Communication and Discourse Theory Collected Works of the Brussels Discourse Theory Group*. Bristol and Chicago: intellect
- Carta, Caterina (2019) “A Rose by Any Other Name”: On Ways of Approaching Discourse Analysis, *International Studies Review* 21, 81–106
- Cathcart, W. (2019) To spite Putin, come visit Georgia. *CNN*, June 29, viewed on June 14, 2021, https://edition.cnn.com/2019/06/29/opinions/cathcart-visit-georgia-to-spite-putin/index.html?fbclid=IwAR2Ok3TH_2ZZKq5fYHjamkClyRCAQ0BRUMjo9-zH081AprEhot4iBoeObk0
- Chkhikvadze, A. (2019) Why Georgia Brings Out Putin’s Insecurities. *New Republic*, June 25, viewed on June 14, 2021, <https://newrepublic.com/article/154297/georgia-brings-putins-insecurities?fbclid=IwAR1Ob57HJnJGzts3lenHqnPC55DXH-Ht04zX4gsPBdXVOxRGoxQsX4bbcMg>
- *Civil.ge* 2021: Georgian Orthodox Church Decries Russian Priest Holding Christmas Service in Tskhinvali. January 14, viewed on June 14, 2021, <https://civil.ge/archives/391115>
- Cooper, Rosalind (2019) Pastoral Power and Algorithmic Governmentality, *Theory, Culture & Society*. <https://doi.org/10.1177%2F0263276419860576>
- Demytrie, R. (2019) Russia says Georgia isn’t safe. Russians in Georgia say otherwise. *BBC*, June 27, viewed on June 14, 2021, <https://www.bbc.com/news/world-europe-48760441?fbclid=IwAR2Ce6KU2Np5tVppCAX1yzxA041NNcj9M5bu6VwgUkzYXhWuOKqmFWxKy1Y>
- Fake: Georgian Protests Engineered by the West and Ukraine. 2019. *Stop Fake*, June 24, viewed on June 14, 2021, https://www.stopfake.org/en/fake-georgian-protests-engineered-by-the-west-and-ukraine/?fbclid=IwAR2w9uE2vwRuDHC_p4zPRdWgHH6q0WrHL51jWSUISO RTNnXTLXKtMCLOJeQ
- Gamakharia, Dzhemal (2013) Gruzino-rossiiskie otnosheniya i problema Abkhazii skovoz prizmu tserkvi, *International Alert*, viewed on June 14, 2021, <https://www.international-alert.org/fr/blog/role-church-georgian-russian-relations-russian>

- *Gazeta.ru* 2009: Eparkhia metit v Abkhazskuyu tserkov, September 16, viewed on June 2021, <https://www.gazeta.ru/social/2009/09/16/3261242.shtml>
- Gerhardt, Hannes (2009) Bio-Normative Geopolitics: The US and the Darfur Crisis in Sudan, *Geopolitics*, 14:3, 488-509
- Golos druga: uslyshat i ponyat (2014) *Prikhod*, April 29, viewed on June 14, 2021, <https://prichod.ru/orthodoxy-everywhere/14261/>
- Gotev, Georgi and Sarantis Michalopoulos (2021) The Brief – Where have all the Russian tourists gone? EURACTIV, June 10, viewed on June 14, 2021, <https://www.euractiv.com/section/politics/opinion/the-brief-where-have-all-the-russian-tourists-gone/>
- Gruzinskaya Pravoslavnaya Tserkov, viewed on June 14, 2021, <https://gruziyagid.ru/dostoprimechatelnosti/gruzinskaya-pravoslavnaya-tserkov>
- *Hromadske* 2018: My nadeemsia na polozhitelnyy rezultat – glava Gruzinskoj tserkvi o tomose dlia Ukrainy. October 6, viewed on June 14, 2021, <https://hromadske.ua/ru/posts/my-nadeemsia-na-polozhytelnyi-rezultat-hlava-hruzynskoi-tserkvy-o-tomose-dlia-ukrayny>
- Jacobs, Thomas (2018) The Dislocated Universe of Laclau and Mouffe: An Introduction to Post-Structuralist Discourse Theory, *Critical Review*, 30:3-4, 294-315
- Johnson, Corey and Reece Jones (2018) The biopolitics and geopolitics of border enforcement in Melilla, *Territory, Politics, Governance*, 6:1, 61-80
- *Izvestiya* 2018, September 12, viewed on June 14, 2021, <https://iz.ru/788321/galina-volynetc/zarazitelni-tsekh-cto-skryvaet-amerikanskaia-laboratoriia-v-gruzii>
- Kandelaki, Tina (2019) Nasledie Saakashvili, *RT na russkom*, July 8, viewed on June 14, 2021, <https://russian.rt.com/opinion/648315-kandelaki-gruziya-saakashvili-televedushchii-rustavi-dva-vyhodka>
- Kearns, Jerry (2014) Governing vitalities and the security state, *Environment and Planning D: Society and Space* 32, 762– 778
- Khachidze, N. (2019) Proiskhodyashee v Gruzii ne yavliaetsa politicheskim krizisom. *Politrus*, June 24, viewed on June 14, 2021, <http://www.politrus.com/2019/06/24/georgia-news-10/?fbclid=IwAR2TZOU3FyEcpFpx17B1hY5Ng1z85u0su0Tno6g4qXo9n2nDxCitMfvAqe4>
- Kiersey, Nicholas (2009) Scale, Security, and Political Economy: Debating the Biopolitics of the Global War on Terror, *New Political Science* 31 (1), March
- Kivelä, Satu and Sami Moisio (2017) The state as a space of health: on the geopolitics and biopolitics of health-care systems, *Territory, Politics, Governance*, 5(1), 28-46
- *Kommersant* 1997, August 15, N 133, viewed on June 14, 2021, <https://www.kommersant.ru/doc/182603>
- Koplatadze, Tamar (2019) Theorizing Russia's Post-colonial Studies, *Postcolonial Studies* 22 (4), 469-489
- Kucera, J. 2019a. Kremlin continues pressure campaign against “Russophobia” in Georgia. *Eurasianet*, June 24, available at <https://eurasianet.org/kremlin-continues-pressure-campaign-against-russophobia-in-georgia?fbclid=IwAR0tk9XXKCiWx4QQmuY2GVdk6NFjcWSSV0fUc85sMf5l5a2Q6bnc8abelA>
- *Lenta.ru* 2004: Obyedinenie po metodike Saakashvili, viewed on June 14, 2021, <https://lenta.ru/articles/2004/05/07/adzar/>
- Markedonov, Sergei (2018) Pochemu Gruzinskaya tserkov podderzhivaet RPTs, a ne Ukrainu, *Novye Izvestia*, October 12, viewed on June 14, 2021, <https://newizv.ru/news/politics/12-10-2018/sergey-markedonov-pochemu-gruzinskaya-tserkov-podderzhivaet-rpts-a-ne-ukrainu>
- Markedonov, Sergei (2019) Itogi nesostoyavsheisia revoliutsii: Tbilisi ne oboitis' bez Moskvy. *Eurasia Expert*, July 9, viewed on June 14, 2021, https://eurasia.expert/pochemu-tbilisi-ne-oboytis-bez-moskvy/?fbclid=IwAR1QzD_eac6IRDQnyxLZw7cM8Gz-qBxpnYVhu

- Markedonov, Sergei (2021) Vidimost' geopolitiki. Chto oznachaet dlia Rossii i SShA noviy krizis v Gruzii. Carnegie Moscow Center, March 1, viewed on June 14, 2021, <https://carnegie.ru/commentary/83951>
- MK 2018, November 20, viewed on June 14, 2021, <https://www.mk.ru/politics/2018/11/20/obnarodovany-dannye-o-massovykh-smertyakh-v-gruzinskoy-laboratorii.html>
- Ojakangas, Mika (2012) Michel Foucault and the enigmatic origins of bio-politics and governmentality, *History of the Human Sciences* 25(1), 1–14
- Pankov, D.O (2010) Georgia in the South Caucasus Geopolitical Arena, *Vestnik RUDN*, Seria Mezhdunarodnye otnosheniia, N 2.
- Panfilov, Oleg (2017) Gruzinskaya pravoslavnyaya tserkov ukhodit na Zapad, *Krym. Realii*, December 4, viewed on June 14, 2021, <https://ru.krymr.com/a/28893482.html>
- *Parlamentskaya Gazeta* 2019, viewed at June 14, 2021, <https://www.pnp.ru/social/rossiya-prizvala-gruziyu-ne-dat-sebya-ispolzovat-v-geopoliticheskikh-igrakh.html>
- Regnum 2020: Gruzinskaya tserkov Nashla svoyu mat' v Stambule, March 1, viewed on June 14, 2021, <https://regnum.ru/news/polit/2871654.html>
- RIA Novosti 2020: Vstrecha glav pravoslavnykh tserkvei v Ammane: kto uchastvuet, a kto net. February 21, viewed on June 14, 2021, <https://ria.ru/20200221/1565047210.html>
- RIA Novosti 2021: Peskov zayavil ob opasnosti poezdok v Gruziiu posle intsidenta s Poznerom. April 1, viewed on June 14, 2021, <https://ria.ru/20210401/gruziya-1603774359.html>
- Sokolov, M. 2019. Mat – prezidentu Rossii. *Radio Svoboda*, July 9, viewed on June 14, 2021, <https://www.svoboda.org/a/30045605.html?fbclid=IwAR0NbRb1Rsokg6e7IUwUgniN6JUNhiPBfa3k6-pn5IPHOCBP48uvNGS1AZO>
- *Sputnik Abkhazia* 2019: Biolaboratoria Lugara po-prezhnemu ugrozhaet sosednim stranam, June 20, viewed on June 14, 2021, <https://sputnik-abkhazia.ru/analytics/20190620/1027684335/Biolaboratoriya-Lugara-v-Gruzii-po-prezhnemu-ugrozhaet-sosednim-stranam.html>
- Stengel, Frank and Dirk Nabers (2019) Symposium: The Contribution of Laclau's Discourse Theory to International Relations and International Political Economy, Introduction, *New Political Science*, 41:2, 248-262
- Svanidze, Tako (2018) Georgia's growing cultural divide: a sign of far-right populism? Open Democracy, 16 July, viewed on June 14, 2021, <https://www.opendemocracy.net/en/odr/georgia-growing-cultural-divide/>
- TASS 2018: Gruzinskaya tserkov poka vozderzhitsa ot vyrazhenia pozitsii po razryvu RPTs s Konstantinopolem. October 18, viewed on June 14, 2021, <https://tass.ru/obschestvo/5692017>
- Tatum, Dillon Stone (2018) Discourse, genealogy and methods of text selection in international relations, *Cambridge Review of International Affairs*, 31:3-4, 344-364
- Tlostanova, Madina (2015) Between the Russian/Soviet dependencies, neoliberal delusions, dewesternizing options, and decolonial drives, *Cultural Dynamics* 27 (2), 267 –283
- Tonnard, Yvon (2008) Comments on 'Strategic Maneuvering in Political Argumentation', *Argumentation* 22:331–334
- *TV Zvezda* 2018: Voenniy medik raskryl tseli eksperimentov SShA s biooruzhiem nad liudmi v laboratorii Gruzii, September 16, viewed on June 14, 2021, <https://tvzvezda.ru/news/201809161038-9fa7.htm>
- 'World welcome to Georgia' – new campaign goes viral amid Putin's flight ban. 2019. Agenda.ge, June 23, viewed on June 14, 2021, http://agenda.ge/en/news/2019/1672?fbclid=IwAR3ZxWe6nmHoFuPBhHOnclUGVZd_4ofwetBioJi8EloPB9Qil9mBxAH_m4g
- YouTube 2017: Gostepriimstvo devushek v Gruzii. Aleksander Kondrashov, April 7, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=27tL4yBrueU>

- YouTube 2018a: Avgust 2008: prinuzhdenie k pravde. *NTV*, August 8, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=nStRJxuf0ZU>
- YouTube 2018b: Skandal v Gruzii: voennye SShA provodili tam opyty nad ljudmi, *Rossiya 24*, September 11, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=tUeQQA7JDpQ>
- YouTube 2018c: Biologicheskoe oruzhie v Gruzii: amerikanskiy sled, *RTD na russkom*, September 16, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=P4alpszn4UE>
- YouTube 2018d: V Gruzii byut trevogu iz-za amerikanskikh opytakh na liudiakh, *REN TV Novosti*, September 11, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=z0RAbjArEeM>
- YouTube 2018e: Skandal vokrug laboratorii v Gruzii nabiraet oboroty, *Novosti na Pervom Kanale*, October 6, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=cz7oQOmKmhC>
- YouTube 2018f: Sekretnye laboratorii SShA dli opasnykh opytov nashlis na territorii vsego byvshego SSSR. *REN TV Novosti*, September 13, viewed on June 14, 2021, https://www.youtube.com/watch?v=eZ1_3JDUAo8
- YouTube 2018g: Gruzia: Mechta sbylas, ya v Gruzii. *Naska Ananaska*, June 18, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=0aG2FrRsoGM>
- YouTube 2019a: Kak v Gruzii otreagirovali na oskorblenie v adres Rossii? *60 Minut*, July 8, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=NGTVmgObE8U>
- YouTube 2019b: Rossiya pomakhala ruchkoi, a Gruzia griazno vyrugalas'. *Rossiya 24*, July 8, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=Rucvt7mgGig>
- YouTube 2019c: Otdykh v Gruzii, avgust 2019 goda. Rusophoby ili vsio zhe družia? *Perviy Shag*, September 7, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=6wrVQ2Wi5D8>
- YouTube 2019d: My russkie turisty iz Rossii, my liubim Gruziyu. Sotsialniy eksperiment. *Po Faktu*, August 5, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=LnhYxtATUuQ>
- YouTube 2019e: Gruzia. Neturisticheskiy sezon. *Rossiya 24*, July 6, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=TVRwEgDn1Qo>
- YouTube 2020: Voennye laboratorii na nashikh granitsakh: Onischenko zhostko otvetil Tbilisi, *Duma TV*, May 28, viewed on June 14, 2021, <https://www.youtube.com/watch?v=b-QxM4MDM94>

რუსულ-ქართული ურთიერთობები კოვიდ-19-ის ეპოქაში: უწყინარი უგულებელყოფა* **

ალექსანდრა იაცივი

ტარტუს უნივერსიტეტი/ლილის უნივერსიტეტი

ეს ნაშრომი ცდილობს, გააანალიზოს ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებული რამდენიმე საკვანძო ნარატივი, რასაც რუსეთის სახელმწიფო მედია აწარმოებს კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში. ქართველი და საერთაშორისო მედიის დარაჯები უზარმაზარ საქმეს ასრულებენ, ახდენენ რა ქართული საზოგადოებისადმი გამიზნული რუსული დეზინფორმაციის რეგულარულ იდენტიფიკაციას¹. თუმცა, ჯერაც ნაკლებობაა იმის გამორკვევისა, თუ როგორ აისახა პანდემიის უჩვეულო სიტუაცია რუსულენოვანი მედიის მიერ საქართველოს წარმოდგენაზე, რამდენადაც ის, უმთავრესად, რუს მაყურებელზეა ფოკუსირებული.

ანალიზი მოიცავს რუსული მედიის ოთხ სხვადასხვაგვარ ტიპს: სატელევიზიო არხებს („პირველი არხი“), ახალი ამბების სააგენტოებს („რია ნოვოსტი“), წამყვან და გავრცელებულ ბიზნესმედიას („ვედომოსტი“), ყვითელ პრესას („კომსომოლსკაია პრავდა“) და კრემლის მხარდამჭერ პროპაგანდისტულ გამოცემებს (EAdaily.com, „სპუტნიკი საქართველო“). ყოველი მათგანი სახელმწიფოსგანაა მხარდაჭერილი და რუსი სპიკერების პოპულარული საინფორმაციო წყაროა². ანალიზი მოიცავს პერიოდს 2021 წლის მარტიდან (კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან) 2021 წლის მაისამდე.

1 იხ: (Kintsurashvili, Gelava, and Gogoladze 2019), (MDF 2020), (Facebook 2020), (Kintsurashvili and Gelava 2020), (Pataridze and Kintsurashvili 2019).

2 „საზოგადოებრივი აზრის ფონდის“ (FOM) გამოკითხვის თანახმად, 2021 წლის იანვარ-თებერვლისათვის პირველ ხუთეულში (2021 წლის იანვრის მონაცემებით, რუსი მაყურებლების 47, 45 და 16 პროცენტი უყურებს ამ არხებს, ხოლო 35, 35 და 10 პროცენტი ენდობა მათ (იმავე თანმიმდევრობით)). რია ნოვოსტიმ შეინარჩუნა რუსი მკითხველების 12%, შემდეგია კომსომოლსკაია პრავდა (4%), კომერსანტი (2%), ვედომოსტი (1%). სპუტნიკი საქართველოს და EAdaily-ის მკითხველების რაოდენობის შესახებ კონკრეტული მონაცემები არ არსებობს, თუმცა ორივე მათგანი მოწინავე ადგილზეა იანდუქსის საძიებო სისტემაში ტეგ „საქართველოს“ მითითებისას.

* სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავენ ჰაინრიკ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

** ყველა აღნიშვნა/სახელი, რომელიც მიუთითებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ასახავს კრემლის მედიის ნარატივს და არ გამოხატავს ნაშრომის ავტორის პოზიციას.

რუსეთისთვის საქართველო ხვდება „პრივილეგირებულ ინტერესის სფეროში“, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსკოვს სურს საქართველოს გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე გავლენის შენარჩუნება. ამ დომინანტური პოლიტიკური მიზნის მისაღწევად რუსეთის მთავრობა საშუალებათა ფართო დიაპაზონს მიმართავს – დაწყებული ძალის პირდაპირი გამოყენებით (როგორც იყო 2008 წლის აგვისტოს შემთხვევა), დამთავრებული სადამსჯელო ეკონომიკური ზომებით (2019 წლის ივნისში ფრენების აკრძალვა საქართველოს მიმართულებით). ამავე დიაპაზონის შედარებით რბილი დაბოლოებაა დეზინფორმაცია, რომლის მიზანია საქართველოში პროდასავლური ნაციონალური კონსენსუსისთვის ძირის გამოთხრა³.

საქართველო, როგორც მიზიდველი დანიშნულების ადგილი რუსი ტურისტებისთვის და „მეცდომაში შეყვანილი ოჯახის წევრი“

რუსული მედიის ზემოაღნიშნული პერიოდის დისკურსის ანალიზმა გამოაშკარავა ორი ძირითადი ლაიტმოტივი საქართველოზე. ორივე მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ სუბნარატივებს, რომლებიც მნიშვნელობათა ჯაჭვების ახალ კომბინაციებს აწარმოებენ.

პირველი ლაიტმოტივი საქართველოს გვიხატავს, როგორც რუსი ტურისტების დანიშნულების ადგილს, რომელსაც განსაკუთრებული სენტიმენტულობა ახასიათებს, გამომდინარე საზიარო კომუნიკური წარსულიდან. სწორედ ამიტომაც, საქართველოს დადებითი აღწერილობა წარმოდგენილია ეთნიკური სტერეოტიპებით, გვიხატავენ რა მას, როგორც ხაჭაპურის, ხინკლის და კარგი ღვინის – ქართული სამზარეულოს ძირითადი ნაწარმის – ქვეყანას. ამის საილუსტრაციო მაგალითია „პირველ არხზე“ (Pervyi Kanal) 2020 წლის მარტში გაშვებული ეპიზოდი, რომელიც ხაჭაპურის სხვადასხვა რეცეპტს ისე გვაცნობს, თითქოს ის ქალთა საერთაშორისო დღის საზეიმო ტრადიციული კერძი იყოს (8 მარტი) (1tv.ru 2020).

რუსულ მედიაში გარკვეულმა ნეგატიურმა დისკუსიამ იჩინა თავი „ქართულ ტრადიციულ სტუმართმოყვარეობაზე“, რაც ორ საკითხთანაა დაკავშირებული.

პირველი ეს არის 2021 წლის აპრილში საქართველოში რუსი სატელევიზიო პოპულარული ჟურნალისტის, ვლადიმირ პოზნერის, სტუმრობა, რამაც გარკვეული პროტესტი გამოიწვია. ინციდენტს პოლიტიკური რეზონანსი მოჰყვა და მასზე აქტიურად მსჯელობდა რუსი და ქართველი პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

მეორე საკითხი დაკავშირებულია 2021 წლის მარტში საერთაშორისო ტურისტებისთვის საზღვრების გახსნასთან, მიუხედავად ღამის კომენდანტის საათისა და ნელი ვაქცინაციის პროცესისა. 2021 წლის მაისში რუსული ყვითელი პრესა „კომსომოლსკაია პრავდა“ წერს, რომ საქართველო რუსეთს ორმაგ თამაშს ეთამაშება: ერთი მხრივ, უარს ამბობს „სპუტნიკ V“-ის ვაქცინის რეგისტრაციაზე (რამდენადაც ეს „რუსეთის ჰიბრიდული იარაღია“), მეორე მხრივ კი, „სპუტნიკ V“-ით აცრილ რუს ტურისტებს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ არაოფიციალურად აძლევს უფლებას, არად ჩააგდონ სავალდებულო PCR ტესტი. რეპორტაჟი

3 მაგალითისათვის იხ.: (Shaishmelashvili 2021), (Julukhidze 2020), (Rogoža and Dubas 2008).

აგებულია დაპირისპირებაზე კორუმპირებულ ნაციონალურ ელიტებსა, რომლებიც ზედაპირულ რუსოფობიას ავლენენ, და „რიგით“ ხალხს შორის, რომლებიც წრფელად კეთილგანწყობილნი არიან რუსი ტურისტებისადმი. საქართველოს ეროვნული ვაქცინაციის კამპანიის აღსაწერად კრემლის მხარდამჭერი სადღეინფორმაციო გამოშვებები ასეთ ტიპურად პოპულისტურ ნარატივს იყენებენ.

მეორე ზოგადი ლაიტმოტივი საქართველოზე უკავშირდება მის პოლიტიკურ დაქვემდებარებულობას ევროკავშირსა და აშშ-ზე, რაც უარყოფითად აისახება მის ურთიერთობაზე (მეგობრულ) რუსეთთან. ამ ნარატივის მიხედვით, საქართველო წარმოდგენილია, როგორც შეცდომაში შეყვანილი, მოტყუებული ოჯახის წევრი (მსუბუქი ვერსია) ან როგორც დასავლეთის წინდაუხედავი მარიონეტი (მძიმე ვერსია). როგორც რუსულ დეზინფორმაციაზე არაერთი კვლევითი ნაშრომი მიუთითებს (Kintsurashvili and Gelava 2019), კრემლი განუწყვეტლივ იყენებს ასეთ სტრატეგიას საქართველოს წინააღმდეგ. კოვიდ-19-ის პანდემიამ და ეროვნული ვაქცინაციის რბოლებმა ახალი კონტურები შემატეს ამ დეზინფორმაციის მონახაზებს.

„ზომბი“ ნარატივები და ახალი ფაბულები

კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში, კრემლის მხარდამჭერმა რუსულმა მედიამ შექმნა ორი ურთიერთგადაჯაჭვული ნარატივი, რაც საქართველოს აღწერს, როგორც საეჭვო სუვერენიტეტის მქონე ქვეყანას.

პირველი ნარატივი ეხება ბიოუსაფრთხოებას. ეს ნარატივი რუსულმა მედიამ შეიმუშავა ორი მნიშვნელობით – ერთია, რუსი ხალხის საერთაშორისო ბიოუსაფრთხოება (საქართველოს სეპარატისტული რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, მცხოვრებლების ჩათვლით, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს), ხოლო მეორეა, „რიგითი“ ქართველების საშინაო უსაფრთხოება. რუსი ხალხისა და მათი მოკავშირეების ბიოუსაფრთხოების საკითხზე ძირითადად მსჯელობდნენ კრემლის მხარდამჭერი გამოცემები, რომლებიც მიმართავდნენ დეზინფორმაციის ხშირად გამოყენებულ თემას – ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის, აშშ-ის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ბიოლოგიური კვლევითი დაწესებულების, შესახებ, რომელიც თბილისის შემოგარენში მდებარეობს.

საშინაო ბიოუსაფრთხოების საკითხი საქართველოს რუსოფობიური ვაქცინაციის პოლიტიკის კონტექსტში ჩამოაყალიბეს ტიპური პოპულისტური რიტორიკული სქემის („კორუფციული ელიტები“ „რიგითი ხალხის“ წინააღმდეგ) გამოყენებით⁴. უფრო კონკრეტულად, ეს ნარატივი პროდასავლურ მმართველ წრეებს სდებს ბრალს რუსული ვაქცინისადმი მიზანმიმართულ ბოიკოტში, რაც ვნებს ხალხს, ვინც ვაქცინის დეფიციტის გამო იხოცება.

მეორე ნარატივი კონკრეტულად კოვიდ-19-ის კრიზისზე კი არ ფოკუსირდება, არამედ – ქართველების უსაფრთხოებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზოგად საკითხებზე (ქართველებისა, რომლებმაც მძიმედ იწვნიეს კოვიდ-19-ის აფეთქების შედეგები). ამ დისკურსულმა სტრატეგიამ გამოარკვია დასავლური

4 კლასიკურ პოპულისტურ რიტორიკაზე იხ.: (Laclau 1977); On populism in Georgia see: (Silagadze 2021), (Samkharadze 2021), (Gozalishvili 2021).

გავლენებით გამოწვეული პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში და რუსოფობიის შედეგები ფართო საზოგადოების ცხოვრებაზე.

ლუგარის ცენტრზე კონსპირაციის თეორიები უკვდავია

რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი, რომელიც თბილისთან ახლოს მდებარეობს, კოვიდ-19-ზე რუსული მედიის მიერ წარმოებული კონსპირაციული თეორიების ერთ-ერთი მთავარი ბრალდებულია. რუსულ დეზინფორმაციაზე ჩვენამდე მოღწეული კვლევები ცხადყოფს, რომ ლუგარის ლაბორატორიის წარმოდგენა, როგორც ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი ამერიკული საიდუმლო დაწესებულებისა, რეგულარულად ცოცხლდება რუსული მედიაში იმ დროიდან, რაც ლაბორატორიამ ოპერირება დაიწყო 2011 წელს (Civil.ge. 2020).

კრემლის მხარდამჭერი გამოცემა EADaily.com („ევრაზია ყოველდღიურად“) ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კონტრიბუტორია ამ „გაცოცხლების“ საქმეში. 2015 წლიდან, ყოველწლიურად ორი სტატიით ის უკვე იწყებს ლაბორატორიის ბრალდებას. 2018 წელს გამოაქვეყნა 28 სტატია, ხოლო 2019-ში – 23. 2020 წელს სტატიების რაოდენობამ 59-ს მიაღწია.

2020-2021 წლებში EADaily.com-ის ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული თემები მოიცავდა შემდეგ გზავნილებს:

- თუ ეს მართლაც ვირუსის კვლევის ცენტრია, მაშინ ის ჩართული უნდა იყოს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაში.

ევროპაში კოვიდ-19-ის პანდემიის გავრცელების ადრეულ პერიოდში (2020, თებერვალი), ამ გამოცემაში ლაბორატორია ნეიტრალურადაა ნახსენები (EADaily.com. 2020f), თუმცა შემდგომი ანგარიშები დაუსაბუთებლად ამტკიცებენ, რომ ლაბორატორიის „რეალური“ პროექტების მიზანი სულაც არ არის კოვიდ-19-თან ბრძოლა (Chkheidze 2020).

- ლაბორატორია აშშ-ის სატესტო ტერიტორიაა რუსეთის საწინააღმდეგო ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

ბევრი წამყვანი პოლიტიკოსი განუწყვეტლივ სდებდა ბრალს ლაბორატორიას რუსეთისადმი არამეგობრულ ქმედებებში – პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი 2018 წელს (EADaily.com 2018), რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტის დირექტორი მარია ზახაროვა 2020 წელს (EADaily.com 2020h) და სახელმწიფო დუმის თავმჯდომარე ვიაჩესლავ ვოლოდინი 2021 წელს (TASS 2021a). 2018 წელს EADaily.com-მა გამოაქვეყნა ბულგარელი ჟურნალისტის, დილიანა გაიტანდჟიევას, გამოძიება, რომელიც თითქოსდა ამტკიცებდა რუსეთის ბრალდებებს ლაბორატორიისადმი (EADaily.com 2021i). თუმცა, მოგვიანებით, „მითების დეტექტორმა“, მედიის განვითარების ფონდთან ერთად, გამოამჟღავნა გამოძიების სიყალბე (Gelava 2018).

- ლაბორატორია არის აშშ-ის ბიოტერორიზმის აგენტი და საფრთხეს უქმნის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის (KGB) თებერვლის (EADaily.com 2020g), აპრილის (EADaily.com. 2020d), მაისისა (EADaily.com. 2020d) და ივნისის (EADaily.com 2020e) განცხადებებით, ლუგარის ლაბორატორია პასუხის-

მგებელი იყო სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების კოვიდ-19-ით მიზანმიმართულ ინფიცირებაზე. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა (KGB) ასევე მიანიშნა, რომ ლაბორატორიამ ადგილობრივების შესახებ მოაგროვა ბიოლოგიური მონაცემები სამედიცინო მკურნალობის საბაბით, თუმცა მისი ძირითადი მიზანი სეპარატისტული ჯგუფების წმენდა იყო. 2020 წლის ივლისში გამოცემამ გააშუქა, რომ სამხრეთ ოსეთში, სეპარატისტების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, საქართველომ მოაგროვა ინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიისთვის „უსაფრთხო ბუნაგის“ შესახებ (EAdaily.com. 2020c). 2021 წლის მარტში სამხრეთმა ოსეთმა და აფხაზეთმა უარი თქვეს საქართველოს მთავრობის შეთავაზებაზე, მათი მოქალაქეები უფასოდ აეცრათ და განაცხადეს, რომ ასეთი დახმარება რუსეთისგან უკვე მიეღოთ (Caucasian Knot 2021).

- ალექსეი ნავალნი მოწამლულია ისეთი ნივთიერებით, რისი წარმოებაც ლუგარში იყო შესაძლებელი.

მას შემდეგ, რაც 2020 წლის სექტემბერში გერმანიამ განაცხადა, რომ რუსი ოპოზიციონერი, ალექსეი ნავალნი, მოწამლული იყო ნერვული აგენტი „ნოვიჩოკით“, სამხედრო პოლიციელი, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, იური შვიტკინი, ამტკიცებდა, რომ რუსეთი არ აწარმოებდა ქიმიურ აგენტ „ნოვიჩოკს“ და რომ ლუგარის ლაბორატორიას ჰქონდა მსგავსი ნივთიერება (მიუხედავად იმ ცხადი ფაქტისა, რომ ეს ბიოლოგიურ-კვლევითი დაწესებულებაა) (RIA News 2020). კრემლმა ჯერ კიდევ 2018 წელს მიმართა დეზინფორმაციის ამ სტრატეგიას, რათა დაეკავშირებინა სკრიპალის მოწამვლა ლუგარის ლაბორატორიასთან (EUvsDisInfo 2018).

„სპუტნიკ V“ და ქართული „რუსოფობია“

ლუგარის ლაბორატორიის შესახებ უკვდავი „ზომბის“ ნარატივისგან განსხვავებით, რუსული „სპუტნიკ V“-ის საკითხი რუსულ მედიაში 2021 წლის იანვარში გამოჩნდა. უკრაინის მსგავსად, საქართველომაც არ მისცა აკრედიტაცია „სპუტნიკ V“-ს ეროვნული ვაქცინაციისთვის და მსწრაფლვე გახდა რუსული სადეზინფორმაციო ახალი კამპანიის სამიზნე (EAdaily.com 2021f). საქართველოს მთავრობის მცდელობების ფონზე, დაეჯავშნათ ვაქცინები *კოვაქს* პლატფორმაზე, კრემლის მხარდამჭერი რუსული მედია ავრცელებდა ინფორმაციას „სპუტნიკ V“-თან კოლექტიური დასავლეთის ვითომდა „ბინძური“ შეჯიბრებისა და „აფორიაქებული“ საქართველოს დასავლეთისგან შეცდენის შესახებ (EAdaily.com. 2021a). რუსულ ვაქცინას სახავდნენ, როგორც პანაცეას ქართველი ხალხისთვის, მათთვის, ვისაც შეეყარა და ვინც გარდაიცვალა კოვიდ-19-ისაგან (EAdaily.com 2021h) მაშინ, როდესაც უიმედოდ ელოდებოდნენ ჩინურ და დასავლურ ვაქცინებს.

რუსული მედიაგამოცემები ატრიალებდნენ ინფორმაციას მტკიცებით, თითქმის ქართველ კორუმპირებულ ელიტებს პირი შეეკრათ დასავლურ ფარმაცევტულ კომპანიებთან, რათა გამდიდრებულიყვნენ ყალბი ფინანსური სქემებით მაშინ, როცა უგულებელყოფდნენ დასავლური ვაქცინების ვითომდა საშიშ უკუჩვენებებს (EAdaily.com. 2021c). „ასტრაზენეკას“ ან „ფაიზერის“ ინექციის გაკეთებისას ხალხი გადატენილი იარაღით თამაშობს რულეტს“, – 2021 წლის მარტში აღნიშნავს EAdaily.com-ი ქართველი ექთნის, მეგი ბაქრაძის, ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, რომელიც „ასტრაზენეკას“ ვაქცინით აიცრა. კიდევ ერთმა დეზინფორმაციულმა საკითხმა წარმოაჩინა ლუგარის ლაბორატორია, როგორც

საწამლავისა და ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს დაავადებებისაგან იცავდეს. ეს გამოცემები ამავე კონტექსტში ამტკიცებდნენ, რომ ექთნის უდროო გარდაცვალების განმაპირობებელი ფაქტორი იყო არა ქართული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელმძღვანელთა კომპეტენციის ნაკლებობა, არამედ ანტირუსული ისტერია, რაც ქართულმა მთავრობამ დასავლეთისაგან შეითვისა (EAdaily.com. 2021g). EAdaily.com-ის რეპორტაჟში საქართველოს არასახარბიელო დილემა შეუპირისპირეს ეპიდემიოლოგიურ უსაფრთხოებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში, სადაც დაცულები იყვნენ „სპუტნიკ V“-ით და ამიტომაც ქართველებისგან არ სჭირდებოდათ არანაირი დახმარება (EAdaily.com 2021b).

„დასავლეთისგან ინდოქტრინირებული ქართველები სახეს კარგავენ“

ისეთი დიად პროპაგანდისტული გამოცემებისგან განსხვავებით, როგორიცაა, მაგალითად, EAdaily.com, რუსული წამყვანი მედიასაშუალებები – *პირველი სატელევიზიო არხის*, ტელევიზია *რასია 24*-ის თუ ფართოდ გავრცელებული ბიზნეს-გაზეთ *ვედომოსტის* ჩათვლით – საქართველოს უმთავრესად განიხილავდნენ, როგორც პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყანას, რომელმაც „არასწორი“ გზა აირჩია.

ამ გზავნილის კარგი ილუსტრაციაა ინციდენტი პოპულარულ, რუს სატელევიზიო პერსონასთან, ვლადიმირ პოზნერთან, რომელიც 2021 წლის აპრილში ესტუმრა თბილისს თავის 87 წლის იუბილეს აღსანიშნად. პოზნერი თბილისში ჩამოვიდა დაახლოებით 50 მეგობრის თანხლებით და კოვიდ-19-თან დაკავშირებული კომენდანტის საათისა და დახურულ სივრცეებში დიდი თავყრილობების აკრძალვის მიუხედავად, სასტუმრო „ვინოტელ ბუტიკში“ ვახშმობას შეუდგა. ამან პროტესტი გამოიწვია ოპოზიციონერ აქტივისტებში, რომლებმაც გაიხსენეს პოზნერის 2010 წლის განცხადება, რომ საქართველომ აფხაზეთი სამუდამოდ დაკარგა. დემონსტრანტებმა ჩამალეს პოზნერის იუბილე და ხელისუფლებაც აიძულეს, მისი 32 სტუმარი კომენდანტის საათის დარღვევისთვის დაეჯარიმებინათ (Kinchia 2021). ამასთან დაკავშირებულ ვითარებაში დაუდგენელმა პირებმა ვანდალურად დააზიანეს ალექსანდრე გრიბოედოვის (ცნობილი რუსი დიპლომატისა და მწერლის) მონუმენტი თბილისში – პულვერიზატორით მიაწერეს „რუსეთი ბოროტება“ (New Izvestia 2021). „პოზნერის საქმემ“ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში მაღალჩინოსნების ხმამაღალი რეაქციები გამოიწვია (TASS 2021d, TASS 2021c, TASS 2021b, TASS 2021). რუსული მედია აქტიურად იყენებდა ამ ეპიზოდს საქართველოს რუსოფობიაში ბრალდებისათვის და, ამასთან, მმართველი ელიტების დადანაშაულებისათვის, რომ ისინი ამის აღმოსაფხვრელად არაფერს აკეთებენ.

რუსეთის „პირველი არხის“ მიხედვით, ინციდენტი დაგეგმილი რუსოფობიური პროვოკაცია იყო, ორგანიზებული ქართული ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების მიერ და მართული ევროკავშირისა და აშშ-ისგან. პოზნერთან დაკავშირებული არეულობის მნიშვნელობა აგრესიულად გააზვიადეს და წარმოადგინეს, როგორც საქართველოს „ძლიერი და უგუნური გატაცება ევროპული გზით“ და „გაზაფხულის შემოტევა“ [მენტალურ დაავადებასთან ასოცირებით] (1tv.ru 2021), რამაც შესაძლებელი გახდა „რადიკალური ძალების ასეთი მცდელობები, რათა შეეფერხებინათ რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრი-

გების პროცესი“ (Vedomosti 2021). როგორც „პირველმა არხმა“ აღნიშნა, წინდაუხედავი დასავლური გავლენის შედეგად, საქართველომ თავისი ჭეშმარიტი სტუმართმოყვარეობა და უფროსების პატივისცემა დაკარგა, რაც მისი ბრუნდული იდენტობა იყო საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული. მოკლედ რომ ვთქვათ, „ევროპულ კოსტიუმში“ შენიღბვის მცდელობისას, საქართველომ არა მხოლოდ რუსეთს აქცია ზურგი, არამედ საკუთარ ტრადიციულ ღირებულებებსაც, მისი კულტურა კი დეგრადირდა (1tv.ru 2021).

ეს არის ძალიან ნაცნობი პროპაგანდისტული საშუალება, რისი მიზანიც საქართველოსა და დასავლეთს შორის განხეთქილების ჩამოგდებაა, ერთი მხრივ, ქართულ ტრადიციულ, კონსერვატიულ თუ პატრიარქატულ ღირებულებებზე, ხოლო მეორე მხრივ, ევროპულ ლიბერალიზმზე, მულტიკულტურალიზმსა და ტოლერანტობაზე ხაზგასმით.

როგორ აღიქვამენ ერთმანეთს რუსები და ქართველები?

აგრესიული პროპაგანდის პირობებში, რას ფიქრობენ რუსები და ქართველები ერთმანეთზე?


რუსების დამოკიდებულება ქართველებისადმი

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ჩატარებული რუსეთის „საზოგადოებრივი აზრის ფონდის“ (FOM) მიერ 2021 წლის იანვარში, მიუთითებს, რომ რუსების უმრავლესობა უყურებს „პირველ სატელევიზიო არხს“ (TV Channel 1) და რომ მას იყენებენ ინფორმაციის მთავარ წყაროდ (რესპონდენტების 63%). თუმცა, როდესაც ამ საკითხზე ასაკობრივ ჯგუფებად კლასიფიცირებაზე მიდგება საქმე, მხოლოდ 60+ (58%) და 46-60 (49%) ასაკობრივი ჯგუფები ამჯობინებენ „პირველ სატელევიზიო არხს“ სხვა არხებს; 13-30 ასაკობრივ ჯგუფში – 40%; 31-50 ასაკობრივ ჯგუფში კი – 42%. რესპონდენტების ნახევარზე ნაკლები (43%) ენდობა „პირველ არხს“. საინტერესოა, რომ ამ არხისთვის მინიჭებული სანდოობის დონე საგრძნობლად არ განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. მაგალითად, როგორც 31-45, ისე 46-60 ასაკობრივ ჯგუფებში 34% ენდობა რუსულ მთავარ სახელმწიფო ტელევიზიას. ეს მაჩვენებელი ოდნავ დაბალია (32%) 13-30 ასაკობრივ ჯგუფში. 60 წელს გადაცილებული რესპონდენტების 40% მიიჩნევს „პირველ არხს“ სანდო წყაროდ (FOM 2021). რამდენადაც განუწყვეტელი სახელმწიფო პროპაგანდის სამიზნე აუდიტორია მნიშვნელოვნად დიდია, პრინციპში, დუზინფორმაციის ამ მცდელობებს ბევრ რუსში უნდა გამოეწვია ის, რომ საქართველო შეეყვანათ რუსეთისთვის მტერი ქვეყნების რიცხვში.

თუმცა, მთელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც დამოუკიდებელი რუსული „ლევადას კვლევის ცენტრმა“ 2020 წლის აგვისტოში ჩატარა (Levada Center 2020), ცხადყოფს, რომ იმათმა პროცენტულობამ, ვინც საქართველოს მიიჩნევს რუსეთის ყველაზე მტრულ ქვეყნად, ბოლო 11 წელში 5-ჯერ დაიკლო (თუ შევადარებთ 2009 წლის 62 პროცენტს): რესპონდენტების მხოლოდ 16-მა პროცენტმა შეიყვანა საქართველო რუსეთის ხუთი მტერი ქვეყნის სიაში (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1


რუსების დამოკიდებულება ქართველებისადმი



წყარო: ავტორიზებული დიაგრამა „ლევადის კვლევის ცენტრის“ მონაცემებზე დაყრდნობით, 2020 წლის აგვისტო

ასეთივე ტენდენცია აჩვენა მთელი რუსეთის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომელიც ჩაატარა რუსულმა „საზოგადოებრივი აზრის ფონდმა“ (FOM) 2019 წლის ივლისში – თბილისში გავრილოვის ღამის მღელვარების, ამის მერე კი პუტინის მიერ საქართველოსაკენ ფრენების აკრძალვის შემდგომ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2008-2019 წლებში ქართველებისადმი უარყოფითად განწყობილი ჯგუფის სიდიდე 20 პროცენტით შემცირდა – 2008 წლის 28 პროცენტიდან 2019 წლის 8 პროცენტამდე. ამ პერიოდში მათი რიცხვი, ვინც საქართველოს მეგობარ ქვეყნად მიიჩნევდა, მერყეობდა 32%-სა და 37%-ს შორის. თუმცა, საქართველოსადმი გულგრილად განწყობილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2018 წელს 54 პროცენტს მიაღწია, რაც ბოლო 11 წელში მაქსიმალური მაჩვენებელი იყო. საინტერესოა, რომ 2020 წელს საქართველოსადმი კეთილგანწყობილი 37 პროცენტის თქმით, მათი ეს დამოკიდებულება განპირობებული იყო ტურისტებისადმი გამოვლენილი ქართული სტუმართმოყვარეობით, რამაც დადებითად იმოქმედა მათ მოსაზრებაზე (Levada Center 2020:25) (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2




წყარო: ავტორიზებული დიაგრამა „საზოგადოებრივი აზრის ფონდის“ (FOM) მიხედვით, 2019 წლის ივლისი

გამოკითხვა ცხადყოფს რუსული მასობრივი ცნობიერების დანაწევრებულობას. ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრი ერთმნიშვნელოვნად არის კრემლის დისკურსის გავლენის ქვეშ. შესაბამისად, რესპონდენტთა ნახევარი იზიარებდა კრემლის განცხადებას, რომ საქართველო საფრთხის შემცველია რუსი მოქალაქეებისთვის (2019 წელს თბილისის პროტესტების გამო) (FOM 2019a: 27). გარდა ამისა, რესპონდენტთა დიდი ნაწილი (39%) მხარს უჭერდა რუსეთის მთავრობის მიერ ფრენების აკრძალვას საქართველოს მიმართულებით (FOM 2019a: 31).

ქართული რუსოფობია, რუსი მოქალაქეების დაუცველობა, დასავლეთის ანტირუსული გავლენა, კორუფცია და პოლიტიკური კრიზისი საქართველოში – ეს იყო მათ მიერ ჩამოთვლილი მთავარი მიზეზები, ვინც კრემლის გადაწყვეტილებას უჭერდა მხარს.

მეორე მხრივ, რესპონდენტთა 71% მიიჩნევს, რომ ორმხრივი კარგი ურთიერთობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია: ეს ჯგუფი 18%-ით გაიზარდა – 2006 წლის 53%-დან 2019 წლის 71%-მდე. ამასთან, მათი პროცენტულობა, ვინც მიიჩნევდა, რომ საქართველო უფრო დაინტერესებული იყო რუსეთთან ურთიერთობების დალაგებით, ვიდრე რუსეთი, 2006 წლის 32%-დან 2019 წელს 19%-მდე ჩამოვიდა. ისეთი ოპტიმისტების რიცხვი, ვისაც რუსულ-ქართული ურთიერთობის გამოსწორების სჯერა, 2014 წლის თებერვლის 44%-დან 2019 წლის ივლისში 56%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 3) (FOM 2019a: 26).

დიაგრამა 3



წყარო: ავტორიზებული დიაგრამა „საზოგადოებრივი აზრის ფონდის“ (FOM) მიხედვით, 2019 წლის ივლისი

როგორც დიაგრამა 3 აჩვენებს, 2005-2019 წლებში პრაქტიკულად არ შეცვლილა მათი პროცენტულობა, ვისაც საქართველოსთან ურთიერთობა ანადვლებს. ეს მიანიშნებს, რომ 2012 წელს მთავრობის ცვლილებას, რასაც თან სდევდა რუსეთისადმი უფრო პრაგმატული და ნაკლებკონფრონტაციული პოლიტიკა, არ ჰქონია გაზომვადი გავლენა რუსულ მოსახლეობაზე.

შესაბამისად, 2013-2019 წლებში მათი პროცენტული მაჩვენებლის მცირედით (6%-ით) მატებას, ვინც ფიქრობდა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, სავარაუდოდ, ნაკლები კავშირი აქვს საქართველოს სამთავრობო ცვლილებებთან და მეტადაა დაკავშირებული რუსეთის მთავრობის პროპაგანდულ კამპანიასთან, რაც ფოკუსირებული იყო ორმხრივი ურთიერთობების „ნორმალიზაციისაკენ“. თავის მხრივ, ეს გამომდინარეობს კრემლის შიშით, რომ საქართველოზე დაკარგავს გეოპოლიტიკურ გავლენას.

რუსეთის საქართველოსადმი გულგრილობის მეორეგვარი ახსნა დაკავშირებულია საშინაო პროპაგანდის საქართველოდან უკრაინაზე გადანაცვლებასთან, რაც მოჰყვა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და სამხედრო არეულობას აღმოსავლეთ უკრაინაში 2014 წელს. ამას ამოწმებს „ლევადას ცენტრის“ საზოგადოებრივი აზრის 2020 წლის გამოკითხვა, რამაც ნათლად გამოავლინა მტერი ქვეყნების ინდექსში საქართველოდან უკრაინაზე მნიშვნელოვანი გადანაცვლება 2014 წლიდან (Levada Center 2020).

როგორც ზემოაღნიშნული გამოკითხვები აჩვენებს, საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მიდევნებები თუ მისი მცდელობები მეტი დემოკრატიზაციისკენ არანაირ როლს არ თამაშობს რუსული საზოგადოების მისდამი დადებითი დამოკიდებულების ფორმირებაში. თუმცა, როცა საქმე ეხება საქართველოსადმი უარყოფით დამოკიდებულებას, რესპონდენტები მყარად მიჰყვებიან რუსული მთავრობის დისკურსს – საქართველოს კრიტიკას დასავლური ზეგავლენის, რუსოფობიის შეთვისებისა და რუსეთისადმი მხოლოდ კომერციული ინტერესების გამო.


ქართველების დამოკიდებულება რუსებისადმი და რუსული დეზინფორმაცია

მაშინ როცა, რუსები უმეტესწილად გულგრილ დამოკიდებულებას ავლენენ ქართველებისადმი, ეს უკანასკნელნი აშკარად მეტად ემოციურები არიან დიდ ჩრდილოეთ მეზობელთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. როგორც „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) და „ქართული ცოდნის ცენტრის“ მიერ 2021 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რესპონდენტთა 87%-მა რუსეთთან ამჟამინდელი ურთიერთობა შეაფასა, როგორც „ცუდი“ (IRI and CISR 2021: 83). გამოკითხვის თანახმად, 88% ფიქრობს, რომ რუსეთი მათი ქვეყნისათვის ყველაზე დიდი პოლიტიკური საფრთხეა (IRI and CISR 2021: 66), 78%-მა დაასახელა რუსეთი, როგორც ეკონომიკური საფრთხე საქართველოსათვის (IRI and CISR 2021: 67). რუსეთს საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტნიორად რესპონდენტების მხოლოდ 11 პროცენტი, ხოლო ეკონომიკურ პარტნიორად მხოლოდ 9 პროცენტი მიიჩნევს (IRI and CISR 2021: 63-64).

რუსეთთან დიალოგზე ქართველების ოპტიმიზმის დონე 2010 წლის 95%-დან 2021 წლისათვის 71%-მდე შემცირდა. საინტერესოა, რომ 2013 წლის თებერვალში, „ქართული ოცნების“ მმართველობის დასაწყისში, ოპტიმიზმის დონე 95%-მდე შენარჩუნდა, თუმცა ამის შემდეგ მკვეთრად დაიკლო. ამის ერთ-ერთი სავარაუდო ახსნაა ქართული საზოგადოების მზარდი იმედგაცრუება სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებული სტატუს-კვოთი, რასაც თან ახლავს „ბორდერიზაციის“ პროცესი და დე ფაქტო საზღვრის კვეთის გამო ბევრი ქართველი მოქალაქისადმი ძალადობრივი მოპყრობის შემთხვევები. დიალოგის მოწინააღმდეგეთა რიცხვი 2010 წლის 4%-დან 2021 წლისათვის 24%-მდე გაიზარდა (იხ. დიაგრამა 4)⁵.

5 ეს არის „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის“ დიაგრამის ადაპტირებული ვერსია – 2021, გვ. 68. პასუხები „სრულიად ვუჭერ მხარს“ და „მეტ-ნაკლებად ვუჭერ მხარს“ გაერთიანდა „ვეჭერ მხარს“ პოზიციად, იმავენაირად ადაპტირდა პასუხები „სრულიად ვეწინააღმდეგები“ და „მეტ-ნაკლებად ვეწინააღმდეგები“. გავასაშუალოე ისეთი რიცხვები, რომლებიც ერთი და იმავე წლის ორ პერიოდს აღნიშნავდა. შეათედები კი დავამრგვალე.


დიაგრამა 4



წყარო: ავტორიზებული დიაგრამა ემყარება შემდეგ მონაცემებს – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI), „საზოგადოებრივი გამოკითხვის ცოდნის ცენტრი“, 2021 წლის თებერვალი

ამისგან განსხვავებით, გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ქართველების დაუცველობის განცდის დონის ძლიერი კლება: მათი პროცენტულობა, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთის საქართველოსადმი აგრესია კვლავაც გრძელდება, 2019 წლის 77%-დან 2021 წელს 70%-მდე ჩამოვიდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5




ავტორიზებული დიაგრამა ემყარება შემდეგ მონაცემებს – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI), „საზოგადოებრივი გამოკითხვის ცოდნის ცენტრი“, 2021 წლის თებერვალი

მონაცემებმა გამოავლინა ისეთი მოქალაქეების მზარდი პროცენტულობა, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს ცალსახად პროდასავლური: 2016 წლის 22%-დან 2021 წლის – 40%-მდე. ისეთი რესპონდენტების რიცხვი, ვინც პროდასავლური პოლიტიკის გატარებასა და, ამავდროულად, რუსეთთან ურთიერთობების შენარჩუნებას უჭერს მხარს, მეტ-ნაკლებად შემცირდა: 2016 წლის 52%-დან 2021 წლის 45%-მდე (იხ. დიაგრამა 6) (IRI and CISR 2021: 77).

დიაგრამა 6

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი?




წყარო: „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) და „ქართული ცოდნის ცენტრი საზოგადოებრივი გამოკითხვისათვის“ (CISR) 2021: 76

რუსეთისადმი კოლექტიური საფრთხის განცდა დიდად არ შეცვლილა. მათი პროცენტულობა, ვინც საქართველოში დაცულად გრძნობს თავს რუსეთთან მიმდინარე პოლიტიკის კონტექსტში, ისეთსავე დონეზე დარჩა 2021 წლისათვის (58%), როგორიც 2017 წელს იყო (იხ. დიაგრამა 7). მათმა რიცხვმა კი, ვინც თავს დაუცველად გრძნობს, 2016 წლის 42%-დან 2021 წლისათვის 37%-მდე დაიკლო.

2008 წლიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი აზრის განმეორებითი გამოკითხვა ასევე აჩვენებს, რომ ქართველებში ევროატლანტიკურ ალიანში ინტეგრაციის მხარდაჭერა კვლავაც ძლიერია, მერყეობს რა 2008 წლის 87%-სა (გასაკვირი არ უნდა იყოს ეს აბსოლუტური მაქსიმუმი რუსეთთან ხუთდღიანი ომის პერიოდში) და 2019 წლის 68%-ს შორის. 2021 წელს რესპონდენტების 78%-მა დაუჭირა მხარი საქართველოს ნატოში ინტეგრაციას (IRI and CISR 2021: 71), ხოლო 83%-მა – ევროკავშირში გაერთიანებას (IRI and CISR 2021: 75).

დიაგრამა 7



ავტორიზებული დიაგრამა ემყარება შემდეგ მონაცემებს – „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI), „საზოგადოებრივი გამოკითხვის ცოდნის ცენტრი“, 2021 წლის თებერვალი

როგორც ეს და წინააღმდეგობის გამოკითხვები ცხადყოფს, საქართველოში ეროვნული კონსენსუსია რუსეთთან ურთიერთობაზე, ხოლო ქვეყნის ზოგადი განვითარება აჩვენებს, რომ უშედეგოა რუსეთის მთავრობის მცდელობა, გააღვივოს სოციალური დესტაბილიზაცია.

IRI-ის 2021 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართველების უმრავლესობა ინფორმაციის მთავარ წყაროდ ასახელებს ქართულ არხებსა (87%) და სოციალურ მედიას (49%). ქართველების მხოლოდ მცირე რაოდენობა ასახელებს რუსულ არხებსა (5%) და ონლაინწყაროებს (1%) (IRI and CISR 2021: 79).

ეს ამყარებს CRRC საქართველოს მიერ 2021 წლის ივნისში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს, რის მიხედვითაც რესპონდენტების მხოლოდ 4 პროცენტს სჯერა, რომ ლუგარის ლაბორატორია გარეული იყო კოვიდ-19-ის ვირუსის გავრცელებაში, მაშინ როცა 66 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს ლაბორატორია ებრძოდა ვირუსის გავრცელებას (IRI and CISR 2021: 27). და მაინც, ქართული საზოგადოება დაუცველია კონსპირაციის თეორიებისაგან, რაც აისახა კიდევ იმ 30 პროცენტზე, ვისაც სჯეროდა, რომ კოვიდ-19 ხელოვნურადაა შექმნილი ლაბორატორიაში. ამასთან, 22 პროცენტი ფიქრობდა, რომ ვირუსი შემთხვევით შეიქმნა ლაბორატორიაში, 13 პროცენტს კი სჯეროდა, რომ ვირუსი ბუნებრივად მომდინარეობს ღამურებისაგან (IRI and CISR 2021: 24).

რაც შეეხება ბრალდებას, 35 პროცენტს სჯეროდა, რომ გარკვეული ქვეყნები მიზანმიმართულად ავრცელებენ დეზინფორმაციას, 30 პროცენტი კი რუსეთს სდებდა ბრალს ამ ქმედებებში (IRI and CISR 2021: 35-36). იმავე კვლევის თანახმად, მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი უკეთ გაუმკლავდა კოვიდ-19-ს (59%), ვიდრე აშშ და ევროკავშირი (63%). უმრავლესობას (60%-ს) არ სჯერა, რომ ლუგარის ლაბორატორია იყო ჩართული ბიოლოგიური იარაღის შექმნაში რუსეთის წინააღმდეგ (IRI and CISR 2021: 38).

კოვიდ-19-ის პერიოდში საქართველოსთან მიმართებით რუსული სახელმწიფო მედიის პოლიტიკის საუკეთესო აღწერილობაა „უწყინარი უგულბელყოფა“. რუსულ მედიაში საქართველო გამოყვანილია არა როგორც პირდაპირი მოწინააღმდეგე, არამედ როგორც „შეცდომაში შეყვანილი ოჯახის წევრი“, რომელიც „აშშ-ის მარიონეტად“ იქცა. ამ ნარატივის მიხედვით, რუსეთი მზადაა საქართველოს დაეხმაროს დასავლური კონტროლისგან გათავისუფლებაში და ამ პატარა კავკასიურ ერს შესთავაზოს პოლიტიკური და ეკონომიკური მფარველობა. ამის კარგი ილუსტრაციაა მედიის რეგულარულად განმეორებული თემა, რაც აზვიადებს რუსული ტურიზმის მნიშვნელობას ქართული ეკონომიკისათვის იმაზე ხაზგასმით, რომ ტურიზმის შემცირებამ, გამოწვეულმა საქართველოს მთავრობის კოვიდ-19-ის შეზღუდვებითა თუ პოლიტიკური არასტაბილურობით, შეიძლება ავნოს „რიგითი“ ქართველების ყოველდღიურობას. ჩვეულებრივ, რუსული მედია საქართველოს, როგორც დასავლური გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნის, უარყოფითად გაშუქებისას მიდრეკილია აშშ გააიგივოს ევროკავშირთან. ამასთან, უფრო ხშირია საქართველოსადმი დამცინავი ნარატივი, რომ ის ამერიკის სატელიტი ქვეყანაა, ვიდრე ღიად ანტიევროკავშირული გზავნილები.

რუსეთის პატრონაჟული დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითი იყო სერგეი ნარიშკინის, რუსული საგარეო სადაზვერვო სამსახურის (SVR) დირექტორის, 2021 წლის მარტში გაკეთებული განცხადება. ნარიშკინმა მმართველი „ქართული ოცნების“ პარტია შეაქო ვაშინგტონის ზეგავლენაზე წინააღმდეგობის გაწევისათვის, რამაც, მასვე თუ დავემოწმებით, ამერიკის იმედგაცრუება გამოიწვია (Vedomosti 2021a). ამას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დებატები მოჰყვა საქართველოში, რამდენადაც ოპოზიციამ ნარიშკინის განცხადება განმარტა, როგორც „ქართული ოცნების“ რუსეთისაგან მხარდაჭერის მტკიცებულება, რისი ეჭვიც მათ დიდი ხანია ჰქონდათ (Civil.ge. 2021). თუმცა, ერთმანეთის დადანაშაულება რუსეთთან საიდუმლო კავშირებსა თუ რუსეთის ფარულ გავლენებში არის ერთ-ერთი ხშირი ტაქტიკა, რომელსაც მიმართავს როგორც მთავრობა, ისე ოპოზიცია. ეს თვალშისაცემი იყო 2020 წლის სადავო საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელ და მის შემდგომ განვითარებულ პოლიტიკური კრიზისის პერიოდში (Yatsyk 2021).

ვაქცინის პოლიტიკაზე საქართველოსაკენ მიმართული რუსული მედიადისკურსი ცდილობს დასავლური ვაქცინების დისკრედიტაციას, რაც შეგვიძლია გავიგოთ, როგორც „სპუტნიკ V“-ის სარეკლამო კამპანია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ უარი თქვა მის რეგისტრაციაზე, ხელისუფლება მაინც მიუთითებდა, რომ ისინი ამ ვაქცინის რეგისტრაციას განიხილავდნენ, თუ ის „ევროპის სამედიცინო სააგენტოსაგან“ მიიღებდა მარეგულირებელ აკრედიტაციას, რაც 2021 წლის მაისში ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო (Interfax.ru 2020).

რუსული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ჩატარებული 2019-2020 წლებში, აჩვენებს, რომ რუსების უმრავლესობა ქართველებისადმი გულგრილადაა განწყობილი. ბოლო ათწლეულში დაიწყო იმ რესპონდენტების რიცხვმა, ვინც საქართველოს რუსეთის მტრად მოიხსენებს. თუმცა, უმნიშვნელოდ გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც ამის საწინააღმდეგოს ფიქრობს.

არ არსებობს მონაცემები, რაც აჩვენებს რუსული პროპაგანდის პირდაპირ გავლენას რუსი საზოგადოების საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე, თუმცა

ამ ინფორმაციის ამოკრეფა შეიძლება აუდიტორიისათვის უპირატესი საინფორმაციო წყაროებისა და ქვეყნისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის მონაცემებით, რუსების მხოლოდ 15 პროცენტი არ არის ნამყოფი საქართველოში (FOM. 2019a: 27), ქვეყნის აღწერისას გამოყენებული ნეგატიური სტერეოტიპები (FOM. 2019a : 25, 30, 32), დიდი ალბათობით, გამომდინარეობს სახელმწიფოსაგან მართულ საინფორმაციო სივრცეებში მოტრიალუ პროპაგანდისაგან და არა – მათი პირადი სამოგზაურო გამოცდილებებიდან.

ზემოაღნიშნული გამოკითხვის მონაცემები მიგვანიშნებს, რომ საქართველო ნაკლებად მოწყვლადია რუსული პირდაპირი დეზინფორმაციისადმი. თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებობს ახალი ამბების ანტიდასავლური გამოცემები, რომლებიც ხშირად თარგმნიან და რეტრანსლირებენ რუსული სადეზინფორმაციო წყაროების შინაარსს⁶, დეზინფორმაცია რაღაც დოზით შედგევს მაინც ახერხებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ეს არ გავრცელდება. საზიარო საბჭოთა წარსული, მართლმადიდებლური ერთმორწმუნეობა და სოციალურად კონსერვატიული, ლგბტქ თემისადმი შეუწყნარებელი შეხედულებები გარკვეულ ჯგუფებს უბიძგებს, გახდნენ უფრო მოწყვლადები რუსული დეზინფორმაციისადმი, თუმცა ეს არასაკმარისია ქვეყნის გეოპოლიტიკურ ტრაექტორიასთან დაკავშირებული სოციალური დამოკიდებულებების ძირეული ცვლილებებისათვის. რამდენადაც რუსეთს დღემდე ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, ხოლო ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხი კვლავაც საგანძურითაა შემონახული საქართველოს კონსტიტუციაში, ნაკლებმოსალოდნელია, რომ მოსკოვმა ქართველების გული და გონება დაიპყროს.

აკტორის შესახებ

ალექსანდრა იაცივი არის მოწვეული პროფესორი ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტში და ლილის უნივერსიტეტის მკვლევარი საფრანგეთში. მას მოპოვებული აქვს სოციოლოგიის დოქტორის ხარისხი რუსეთში და აქვს მუშაობის გამოცდილება ესტონეთის, პოლონეთის, ავსტრიის, შვედეთის, ფინეთის, რუსეთისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს იდენტობის ჩამოყალიბებას და რუსეთის გავლენას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში.

ბიბლიოგრაფია

- 1tv.ru. 2020. "Put' k serdcu lezhit cherez hachapuri: recept dlja prazdnichnogo stola." *1tv.ru*, March 7. https://www.1tv.ru/news/2020-03-07/381663-put_k_serdtu_lezhit_cherez_hachapuri_retsept_dlya_prazdnichnogo_stola
- 1tv.ru. 2021. "Vladimir Pozner v Tbilisi. Vremja pokazhet. Fragment vypuska ot 01.04.2021." *1tv.ru*, April 1. <https://www.1tv.ru/-/ahgpu>
- Caucasian Knot. 2021. "Abkhazija i Juzhnaja Osetija otkazalis' ot pomoshhi Gruzii v vakcinacii." *Caucasian Knot*, 30 March. <https://kavkaz-uzel.media/articles/362310/>
- Chkheidze, Irakly. 2020. "Koronavirus v Gruzii: amerikanskaja biolaboratorija ne spravilas' s Covid-19." *EAdaily.com*, November 25. <https://eadaily.com/ru/news/2020/11/25/>

6 „კრემლის 10 დეზინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ საქართველოში“, ISFED, 26 მარტი, 2020, <https://isfed.ge/eng/sotsialuri-mediis-monitoringi/kremlis-10-dezinformatsia-COVID-19-is-shesakheb-saqartveloshi>

- Civil.ge. 2020. "MDF Releases Report on Anti-western Propaganda in Georgia." *Civil.ge*, July 22. <https://civil.ge/archives/360158>
- Civil.ge. 2020a. "Public Attitudes in Georgia. Results of June 2020 survey. Carried for NDI by CRRG Georgia." *Civil.ge*, June. https://civil.ge/wp-content/uploads/2020/07/NDI-Georgia-Poll-Results_June_2020_Final-Version_ENG.pdf
- Civil.ge. 2021. "In Quotes: Georgian Politicians on Russian Foreign Intelligence Statement." *Civil.ge*, March 11. <https://civil.ge/archives/404701>
- EAdaily.com. 2018. "Geneticheskie razrabotki v centre Lugara v Gruzii vyzyvajut trevogu Putina." *EAdaily.com*, October 18. <https://eadaily.com/ru/news/2018/10/18/geneticheskie-razrabotki-v-centre-lugara-v-gruzii-vyzyvajut-trevogu-putina>
- EAdaily.com. 2020b. "Biomaterial zhitelej Juzhnoj Osetii sobirajut dlja centra Lugara — KGB." *EAdaily.com*, May 20. <https://eadaily.com/ru/news/2020/05/20/biomaterial-zhiteley-yuzhnoj-osetii-sobirayut-dlya-centra-lugara-kgb>
- EAdaily.com. 2020c. "Grazhdanin Gruzii iskal v Juzhnoj Osetii letuchih myshej dlja centra Lugara." *EAdaily.com*, July 4. <https://eadaily.com/ru/news/2020/07/16/grazhdanin-gruzii-iskal-v-yuzhnoj-osetii-letuchih-myshey-dlya-centra-lugara>
- EAdaily.com. 2020d. "Zhitelej Juzhnoj Osetii mogut prednamerenno inficirovat' Covid-19 — KGB." *EAdaily.com*, February 28. <https://eadaily.com/ru/news/2020/04/28/zhiteley-yuzhnoj-osetii-mogut-prednamerenno-inficirovat-covid-19-kgb>
- EAdaily.com. 2020e. "KGB proverjaet, primenjaet li Tbilisi protiv Juzhnoj Osetii bioterrorism." *EAdaily.com*, June 4. <https://eadaily.com/ru/news/2020/06/04/kgb-proveryaet-primenjaet-li-tbilisi-protiv-yuzhnoj-osetii-bioterrorizm>
- EAdaily.com. 2020f. "Koronavirusa v Gruzii net, no ushherb ot nego sostavil \$ 10 mln." *EAdaily.com*, February 26. <https://eadaily.com/ru/news/2020/02/26/koronavirusa-v-gruzii-net-no-ushcherb-ot-nego-sostavil-10-mln>
- EAdaily.com. 2020g. "Rasprostranenie koronavirusa: Juzhnuju Osetiju bespokoit centr Lugara v Gruzii." *EAdaily.com*, February 27. <https://eadaily.com/ru/news/2020/02/27/rasprostranenie-koronavirusa-yuzhnyu-osetiju-bespokoit-centr-lugara-v-gruzii>
- EAdaily.com. 2020h. "SShA narashhivajut biologicheskoe prisutstvie na territorii byvshego SSSR — MID." *EAdaily.com*, April 18. <https://eadaily.com/ru/news/2020/04/18/ssha-narashchivajut-biologicheskoe-prisutstvie-na-territorii-byvshego-sssr-mid>
- EAdaily.com. 2021a. "«Vakcina podchinenija»: pochemu Gruzija stavit na Pfizer, a ne na «Sputnik»?" *EAdaily.com*, January 21. <https://eadaily.com/ru/news/2021/01/29/vakcina-podchineniya-pochemu-gruziya-stavit-na-pfizer-a-ne-na-sputnik>
- EAdaily.com. 2021b. "Abhazija budet privivat'sja rossijskoj vakcinoy, pomoshh' Gruzii ej ne nuzhna." *EAdaily.com*, March 30. <https://eadaily.com/ru/news/2021/03/30/abhazija-budet-privivatsya-rossijskoj-vakcinoy-pomoshch-gruzii-ey-ne-nuzhna>
- EAdaily.com. 2021c. "Vakcina protiv korrupcii: pochemu Gruzija ne proizvodit «Sputnik V»." *EAdaily.com*, April 1. <https://eadaily.com/ru/news/2021/04/01/vakcina-protiv-korrupcii-pochemu-gruziya-ne-proizvodit-sputnik-v>
- EAdaily.com. 2021f. "Vopros politiki — Gamkrelidze ob otkaze Gruzii ot «Sputnika V»." *EAdaily.com*, March 17. <https://eadaily.com/ru/news/2021/03/17/vopros-politiki-gamkrelidze-ob-otkaze-gruzii-ot-sputnika-v>
- EAdaily.com. 2021g. "Medsestru v Gruzii ubila ne AstraZeneca, a politika rusofobii ee vlastej." *EAdaily.com*, March 24. <https://eadaily.com/ru/news/2021/03/24/medsestru-v-gruzii-ubila-ne-astrazeneca-a-politika-rusofobii-ee-vlastej>
- EAdaily.com. 2021h. "Prikazano umirat': pochemu Zapad zapreshhaet Gruzii brat' rossijskuju vakcinu?" *EAdaily.com*, March 7. <https://eadaily.com/ru/news/2021/03/07/prikazano-umirat-pochemu-zapad-zapreshchaet-gruzii-brat-rossijskuyu-vakcinu>
- EAdaily.com. 2021i. "Sekretnye biolaboratorii Pentagona u granic Rossii:

rassledovanie." *EAdaily.com*, January 23. <https://eadaily.com/ru/news/2018/01/23/sekretnye-biolaboratorii-pentagona-u-granic-rossii-rassledovanie>

- EAdaily.com. 2021j. "Tbilisi predlozhl abhazskim i osetinskim vracham podkljuchit'sja k vakcinacii." *EAdaily.com*, March 30. <https://eadaily.com/ru/news/2021/03/30/tbilisi-predlozhl-abhazskim-i-osetinskim-vracham-podkljuchitsya-k-vakcinacii>
- EUvsDisInfo. 2018. "DisInfo: Georgian trace may be found in the case of poisoning ex-GRU Colonel Sergei Skripal in Great Britain." *EUvsDisInfo*, Issue 105, April 16. <https://euvsdisinfo.eu/report/georgian-trace-may-be-found-in-the-case-of-poisoning-ex-gru-colonel-sergei-skripal-in-the-great-britain/>
- Facebook. 2020. "Coordinated Inauthentic Behavior Report." *Facebook*, October. <https://about.fb.com/wp-content/uploads/2020/11/October-2020-CIB-Report.pdf>
- FOM. 2019. "Possija i Gruzija." *Public Opinion Foundation*, July 11. <https://media.fom.ru/fom-bd/d27rig2019.pdf>
- FOM. 2019a. "Russia and Georgia. *Dominants*." *Public Opinion Foundation*, week 27, November 11. <https://media.fom.ru/fom-bd/d27rig2019.pdf>
- FOM. 2021. "Istochniki informacii: dopuskaet li TV-auditorija perekljuchenie na drugie istochniki informacii?" *Public Opinion Foundation*, February 06. <https://fom.ru/posts/download/14536>
- Gelava, Sopho. 2018. "How Kremlin Tries to Cover up Russian Trace in Skripal Case with Lugar Laboratory." *MythDetector*, September 28. <http://mythdetector.ge/en/myth/how-kremlin-tries-cover-russian-trace-skripal-case-lugar-laboratory>
- Gozalishvili, Nino. 2021. "The Contested Triangle of Disinformation, Democratization and Populism in Georgia." Policy Memo No. 42, *Georgian Institute of Politics*, February. http://gip.ge/wp-content/uploads/2021/02/Policy-Memo-42_Gozalishvili.pdf
- Interfax.ru. 2020. "Minzdrav Gruzii dopustil zakupku «Sputnik V», esli vakcinu odobrit VOZ." *Interfax.ru*, December 22. <https://www.interfax.ru/world/742525>
- IRI and CISR. 2021. "Public Opinion Survey: Residents of Georgia." *IRI and Centre for Insights for Survey Research February*. https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf
- ISFED. 2020. "The Kremlin's 10 disinformation narratives on Covid-19 in Georgia." *ISFED*, March 26. <https://isfed.ge/eng/sotsialuri-mediis-monitoringi/kremlis-10-dezinformatcia-COVID-19-is-shesakheb-saqartveloshi>
- Julukhidze, Grigol. 2020. "How Russian propaganda works in Georgia." *New Eastern Europe* 24(4):13-19
- Karpitskaya, Dina. 2021. "Gruziny: Shhedrye russkie, priezhajite! U nas komendantskij chas i shtrafy. No zarabotat' hochetsja," *Komsomolskaya Pravda*, May 11. <https://www.kp.ru/daily/27275/4410699/>
- Kincha, Shota. 2021. "Protesters foil birthday celebration of famous Russian journalist in Tbilisi." *OC-Media*, April 1. <https://oc-media.org/protesters-foil-birthday-celebration-of-famous-russian-journalist-in-tbilisi/>
- Kintsurashvili, Tamar, Gelava Sopho, and Tina Gogoladze. 2019. "Anti-Western Propaganda – 2018." *Media Development Foundation*, July. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/119/file/eng/Anti_West-2018-ENG.pdf
- Kintsurashvili, Tamar, Gelava, Sopho. 2020. "Anti-Western Propaganda 2019." *Media Development Foundation*. <http://mdfgeorgia.ge/uploads/library/173/file/eng/AntiWest-Booklet-ENG.pdf>
- Laclau, Ernesto. 1997. *On Populist Reason*. London: Verso
- Levada Center. 2020. "Attitudes towards countries." *Levada Center*, September 30. <https://www.levada.ru/en/2020/09/30/attitudes-toward-countries-4/>

- MDF. "New Campaign: Georgia should stand up to the Kremlin's manipulation of WWII and commemorate #VEDaywithEurope." *Media Development Foundation*, May. http://www.mdfgeorgia.ge/eng/view_news/509
- New Izvestia. 2021. "Monument to Alexander Griboyedov was desecrated in Tbilisi." *New Izvestia*, April 2. <https://en.newizv.ru/news/world/02-04-2021/monument-to-alexander-griboyedov-was-desecrated-in-tbilisi>
- Pataridze, Mariam, Kintsurashvili, Tamar. 2019. "The "Russian World" in Georgia." *Media Development Foundation*, May. http://mdfgeorgia.ge/uploads/library/117/file/eng/rusuli_samyaro_saqarTveloSi_EN.pdf
- RIA news. 2020. "Deputat napomnil o laboratorijah po izgotovleniju "Novichka" v Gruzii i SShA." *RIA news*, September 9, 2020. <https://ria.ru/20200902/novichok-1576642485.html>
- Rogoza, Jadwiga, Dubas, Agata. 2008. "The Russian propaganda war: media as a long- and short-range weapon." *CesCommentary*, Issue 9, September 11. https://www.files.ethz.ch/isn/91705/commentary_09.pdf
- Samkharadze, Nino. 2021. "Who Supports National Populism in Georgia? Drawing Parallels with the West." Policy Memo No. 39, *Georgian Institute of Politics*, January. <http://gip.ge/wp-content/uploads/2021/01/Policy-Memo-39.pdf>
- Shaishmelashvili, Giorgi. 2021. "Russia's Permanent War against Georgia." *Foreign Policy Research Institute*, March 2. <https://www.fpri.org/article/2021/03/russia-permanent-war-georgia/>
- Silagadze, Givi. 2021. "Euro-sceptic, therefore, Pro-Russian?" Policy Memo No. 41, *Georgian Institute of Politics*, January. <http://gip.ge/wp-content/uploads/2021/01/Policy-Memo-41.pdf>
- TASS. 2021. "V Sovfede sochli incident s Poznerom v Gruzii srezhissirovannoj provokaciej." *TASS*, April 1. <https://tass.ru/obschestvo/11048337>
- TASS. 2021a. "Volodin dopustil proishozhdenie koronavirusa vsledstvie utechki iz amerikanskoj laboratorii." *TASS*, April 27. <https://tass.ru/obschestvo/11253773>
- TASS. 2021b. "Volodin prokommentiroval incident s Poznerom v Gruzii." *TASS*, April 1, 2021. <https://tass.ru/politika/11046617>
- TASS. 2021c. "Glava komiteta Dumy nazval situaciju s Poznerom politicheskim demarshem radikal'noj oppozicii." *TASS*, April 1. <https://tass.ru/politika/11049227>
- TASS. 2021d. "Zaharova: gruzinskie jekstremisty pytajutsja zatrudnit' process normalizacii otnoshenij s RF." *TASS*, April 2. <https://tass.ru/politika/11059281>
- Vedomosti. 2021. "V Tbilisi proshla akcija protesta iz-za vizita Poznera." *Vedomosti*, April 1. <https://www.vedomosti.ru/society/news/2021/04/01/864101-tbilisi-aktsiya-protesta-poznera>
- Vedomosti. 2021a. "Naryshkin zayavil o planah SShA vmeshat'sja vo vnutrennie dela Gruzii." *Vedomosti*, March 9. <https://www.vedomosti.ru/politics/news/2021/03/09/860727-narishkin-zayavil-o-planah-ssha-vmeshatsya-vo-vnutrennie-dela-gruzii>
- Yatsyk, Alexandra. 2021. "Russian Influence on the Parliamentary Elections 2020 in Georgia." *The Kremlin's Influence Quarterly* 3, Free Russia Foundation, 18-25. https://www.4freerussia.org/wp-content/uploads/2021/03/Malign-Influence_3_ENG_FINAL.pdf

